საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 253 (2364) ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 1996 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისის გარეთ 45 თეთრი.

მის აღმატებულებას კოფი ანანს, გაეროს გენერალურ მდივანს

თქვენო აღმატებულებავ,

საქართველოს ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ გაეროს გენერალურ მდივნად არჩევას. გისურვებთ, თქვენი ამ მაღალ თანამდებობაზე ყოფნის დროს გაეროს შეესრულებინოს თავისი ისტორიული მისია საუკუნეების მიჯნაზე და განსაკუთრებული წვლილი შეეტანოს კაცობრიობის ნათელი ოცნებების განხორციელებაში.

საქართველო პატარა ქვეყანაა და მუდმივი ძალისხმევა სჭირდება, რათა მისი პრობლემები და ტკივილები მსოფლიო თანამეგობრობის ზრუნვის საგნად იქცეს. ჩვენ მადლობელნი ვართ გაეროსი, რომლის ყურადღება არასდროს გვაკლდა, იქნებოდა ეს ტექნიკური თუ ფინანსური თანადგომა, ხელშეწყობა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, დახმარება ჰუმანიტარულ სფეროში. ცალკე გამოვყოფდი უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებმაც აფხაზეთში კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების იურიდიული საფუძველი შექმნა. იმასაც აღვნიშნავდი, რომ ეს კონფლიქტი სერიოზულ ტვირთად აწევს დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დამდგარ ახალგაზრდა ქართულ სახელმწიფოს. გაერო რომ უფრო გაბედულად ახორციელებდეს თავის წესდებაში ჩადებულ პრინციპებსა და დებულებებს, დღევანდელ მსოფლიოში გაცილებით ნაკლები მოუგვარებელი პრობლემა იქნებოდა. ჩვენ ვთვლიდით და კვლავაც ვთვლით, რომ გაერო, როგორც მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს ინტერესების გამომხატველი და დამცველი ორგანიზაცია სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს.

ბატონო გენერალურო მდივანო, ორგანიზაცია, რომელსაც თქვენ უდგებით სათავეში და რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გლობალური საფრთხის თავიდან აცილებაში, დღეს სერიოზული გამოცდის წინაშე დგას. იმედს გამოვთქვამ, რომ თქვენ ღირსეულად განახორციელებთ თქვენს საპასუხისმგებლო მისიას და გაერო რეალურად იქცევა დედამიწაზე უშიშროების, სტაბილური განვითარებისა და ეკონომიკური აყვავების გარანტად.

გულწრფელად თქვენი,
ედუარდ შევარდნაძე.

16 დეკემბერი, 1996 წელი.

ავტომატების სროლით ახალი წლის მობრძანების აღნიშვნამ შარშან 7 კაცი — ერთი კომენდატურის თანამშრომელი და 6 მოქალაქე ციხის კარზე მიიყვანა.

ნუ გაიმეორებთ ახალ, 1997 წელს.

დემურ მიქაძე გვაფრთხილებს

— ორიოდ კვირა და — მოგვადგება ახალი წელი. თბილისის პოლიციის შეფს, ალბათ, უკვე დაეწყო ამის გამო თავის ტკივილი?

— იცით, — არა, — უპასუხა ჩვენი კორესპონდენტის ამ შეკითხვას პოლიციის გენერალ-მაიორმა დემურ მიქაძემ, — შარშანდელმა ახალმა წელმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელებმა და თბილისის პოლიციამ ერთმანეთს გავუგეთ. ყველა დამიდასტურებს, რომ აღარ იყო გამაყრუებელი სროლა თითქმის ყველა სახეობის იარაღიდან, რომელიც 2-3 წლის წინათ შიშის ზარს სცემდა თბილისელებს და ბევრი უბედურება სდევდა თან.

— ჩვენ, — განაგრძო დემურ მიქაძემ, — წლევანდაც ქუჩაში ვიქნებით და ვიმორიგევებთ 31 დეკემბრის ღამეს. დამუშავებული გვაქვს დანაშაულის ამოცნობის სრულყოფილი მეთოდი და წესრიგის ნურცერთ დამრღვევს ნუ ექნება იმის იმედი, რომ შეუმჩნეველი დაგვრჩება. ან რა ვაჟკაცობაა ჩირგვებიდან სროლა?!

— იმასაც გეტყვით, — ხაზი გაუსვა ქალაქის პოლიციის შეფმა, — რომ არ დავუშვებთ ადამიანის უფლებათა შელახვას — გვეზეიმება, ვიზეიმოთ, ვიდღესასწაულოდ ერთად. თქვენც, იმედია, მხარში ამოგვიდგებით.

გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, დიდ ბედნიერებას და მშვიდ თბილისს გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო.

აფხაზეთი - ტკივილი ჩვენი

კავკასიელი ტყვე ქალი

ბოლო თვეების მანძილზე სოხუმსა და აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში დაბრუნდა ბევრი აფხაზი ახალგაზრდა ქალი, რომლებიც 1993-1995 წლებში ცოლად გაჰყვნენ აფხაზეთში მეომარ ჩეჩენ „ბოევიკებს“.

სოხუმში გამომავალმა გაზეთმა „ეხო აფხაზიი“ (ეს არის სეპარატისტთა წამყვანი ორგანიზაცია „აიდგილარას“ ორგანო), გამოაქვეყნა ინტერვიუ ერთ-ერთ მათგანთან.

საიდა (მის გვარს გაზეთი „ეხო აფხაზიი“ არ წერს), აღნიშნავს, რომ იგი 1994 წელს ცოლად გაჰყვა აფხაზეთში შამილ ბასაევის რაზმში მებრძოლ ჩეჩენს. ახალგაზრდები რეგისტრაციაში გატარდნენ სოხუმის მმაჩში და გაემგზავრნენ ჩეჩნეთს, სადაც პატარძალმა ჩასვლისთანავე მიიღო ისლამი და დღეში ხუთჯერ ნამაზს ასრულებდა. და მაინც გაუჭირდა იქ ცხოვრება — ჩეჩნეთში აფხაზთათვის სრულიად უცნობი წეს-ჩვეულებანია. რაც ყველაზე მეტად სწყინდა აფხაზ პატარძალს, ის იყო, რომ ბევრი ჩეჩენი, მათ შორის, ქმრის ნათესავებიც დღენიადაგ უსაყვედურებდნენ აფხაზებსა და პირადად საიდას, რომ აფხაზები ჩეჩნეთს ცოტას ეხმარებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომში, თუმცა ჩვენ დიდი დახმარება გავუწიეთ აფხაზეთს, როცა იქ ომი იყოო.

ჩანს, ყოველივე ეს საიდას მობეზრდა, მით უმეტეს, რომ მისი ქმარი თითქმის ორ წელიწადს იბრძოდა ბასაევის რაზმებში ჩეჩნეთში და შინ არ ბრუნდებოდა. მან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დახმარებით შეძლო სოხუმამდე ჩაღწევა.

თენგიზ პაჭკორია,
საქინფორმის კორ.

სადისკუსიო კლუბი „პრესა“

სიტყვითმკვლელობა

ვისაც კომუნისტების დროს ქართულ სკოლაში უსწავლია, ალბათ, ახლაც ემახსოვრება ალიო მირცხულავას აფორიზმად ქცეული სიტყვები: „წიგნი შრომის დროს აგურია და ბრძოლის დროს ტყვიით სავსე ყუმბარა“.

სწორედ ამიტომ წიგნი, ანუ სიტყვა, საწყისი და საზომი ყოველივესი, კომუნისტური რეჟიმის დროს მკაცრად რეგლამენტირებული და მართული გახლდათ. მარტო საქვეყნოდ ცნობილ საბჭოთა ცენზურას არ ვგულისხმობ.

სიტყვის გამო კლავდნენ და სიტყვით კლავდნენ.

სიტყვით აშენებდნენ მას, რისი აშენებაც თავად სურდათ, უტოპიურ და სისხლიან საზოგადოებას, ხოლო იმავე სიტყვით ებრძოდნენ მას, რაც, მათი აზრით ხელს უშლიდა „კომუნისტურ ბედნიერებას“.

რა სისხლი, რა ტრაგედიები, რა დანაშაულობანი მოჰყვა ამ ყოველივეს, ყველამ იცის, ყველამ იცის მსოფლიო მასშტაბები ამ ძალადობისა.

მადლობა ღმერთს, ახლა ეს ყველაფერი უკან დარჩა.

ვამბობ ამას და თავადვე მეპარება ეჭვი ნათქვამში (დამთავრდა კი ეს კოშმარი?), რადგან სიტყვას ყოველთვის ექნება დამანგრეველი თუ აღმშენებლობითი ფუნქცია, გააჩნია ვისგან და როგორ, სად და როდის ითქმება თუ დაიწერება იგი.

და თუ დღეს არც ხელისუფლების ცენზურა მოქმედებს, არც პიროვნული და არც პროფესიული სინდისის ბარიერი, უვიცობის, უსინდისობისა და უზნეობის ფონზე სიტყვა იმ იარაღად იქცა, რომელიც გაუკულმართებულ სიტყვითმწერალთა დიქტატურას ამყარებს ჩვენს საზოგადოებაში.

ნამუსს ლაში გაეხა და „პრესის თავისუფლებასა“ და „მეოთხე ხელისუფლების“ ფირნიშს ამოფარებულნი ჯგუფურ თუ პიროვნულ ანგარიშს უსწორებენ თავის მსხვერპლთ სხვისი დაკვეთითა თუ საკუთარი ინიციატივით.

და თუ არსებობს დაქირავებული მკვლელი, რომელიც იარაღით კლავს მსხვერპლს, არსებობს დაქირავებული სიტყვითმწერალიც, რომელიც ასევე ფულის საზღაურად აკეთებს შავ საქმეს, სიტყვით კლავს.

არ შეიძლება ასე.

ყოველივე ეს დამანგრევლად მოქმედებს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ზნეობაზე, რადგან ყოველდღე და ყოველწამიერ ნერგავს ადამიანებში დაუსჯელობისა და უპასუხისმგებლობის ფსიქოლოგიას. ჩვენ, ყოველდღე, უტყვი მოწმენი ვხდებით სიტყვითმკვლელობისა და ჩვენი გულგრილობით — ხშირად თანამონაწილენიც.

მიეჩვია თვალი და ყური ყველაფერს.

აღარავინ და აღარაფერი აღარ რჩება წმინდა და ხელშეუხებელი, არც პიროვნება და არც სახელმწიფო, არც ერი და არც ბერი, არც პრეზიდენტი და არც მოქალაქე... კომუნალური სამზარეულოებისა თუ საერთო ეზოების ჭორმა და ცილისწამებამ ყველგან გააღწია, რადიოსა და ტელევიზიაშიც, გაზეთსა თუ პარლამენტშიც...

წინა პარლამენტის სტილი მოწინააღმდეგის ლანძღვისა და შეურაცხყოფისა ჩვენი ჟურნალ-გაზეთების მეშვეობით ლამის ქართველთა ეროვნულ თვისებად იქცეს...

ნუთუ ასეთები ვართ ქართველები?

ნუთუ ამ ყველაფერს ვჭარავდით და როგორც კი საშუალება მოგვეცა, პანდორას ყუთივით ამოვაფრქვიეთ ყველა უკეთურება?

ხშირად ვფიქრობ, ნაგვის გაქექვა არ ღირს, მაგრამ როდესაც ამ საქმით ახლანდელი და ყოფილი დეპუტატები არიან დაკავებულნი, პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის როლში, ეს უკვე ნაგავი აღარ არის, რომელსაც გადაყრი, ეს პოლიტიკური პროვოკაციაა და მასზე რეაგირება აუცილებელია.

* * *

ნოემბრის თვეში გაზეთმა „მანსი პლუს“ (25, 1996) დაბეჭდა დეპუტატ ბორის კაკუბავასა და ყოფილი დეპუტატის, ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას დიალოგი სათაურით „ეგზოტიკური საჩუქარი პრეზიდენტისათვის, ანუ მეორედ მოსვლა მეორედ მოსვლის შემდეგ“.

მე არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ეს პუბლიკაცია, რადგან მასში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ბორის კაკუბავა საქართველოს პრეზიდენტს ბრალს სდებს ქვეყნის ღალატსა და სხვა ქვეყნის ინტერესებისათვის ქმედებაში, წარმოაჩენს მას სხვა ქვეყნის ემისრად, ეს მხოლოდ ლანძღვა-გინება კი არა, უმძიმესი ბრალდებაა.

კაკუბავა წერს, ხოლო ჟურნალისტი ყურს უგდებს და გაზეთში აქვეყნებს: „ბატონი შევარდნაძე აქ რუსეთის იმპერიალისტური ძალების წარმომადგენელია. იგი მსოფლმხედველობითაც არ არის ქართველი. იგი რუსეთის და კომუნისტური პარტიის აღზრდილია. მის მიზანს არ შეადგენს ქართული საქმის კეთება, საქართველოს სახელმწიფოს შენება, რადგან ასეთი მიზანი მის პატრონს — იმპერიალისტურ რუსეთს არ გააჩნია. როგორ შეიძლება შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, როდესაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიები შევარდნაძემ რუსეთს ქრთამის სახით მისცა, მისი ხელისუფლების სათავეში მიყვანისა და ამ ხელისუფლების განმტკიცებისათვის“.

შემდეგ, იქვე, რესპუბლიკის პრეზიდენტის მისამართით: „ეს იცოდა რუსეთმა და თავის ემისარს საქართველოში უკრძალავდა ამის გაკეთებას, რაც ამ უკანასკნელმა გააკეთა კიდევაც“.

ამას რომ დეპუტატი იტყვი ან დაწერ, იმ ქვეყანაში ან პრეზიდენტი აღარ უნდა დატოვონ თავის ადგილზე (თუ ბრალდება დაუმტკიცდება!), ან დეპუტატი უნდა გააძევონ პარლამენტიდან.

ასე მართლა აღარ შეიძლება.

სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა აქ რაიმე რეალურ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს — არც დაუსჯელობის სინდრომით გათავხედებული დეპუტატისა, არც პასუხისმგებლობას თვითგარიდებული წამყვანისა და არც გაზეთის რედაქტორისა.

ეს დემოკრატია არ გახლავთ.

არ შეიძლება, რასაც ორდინარულ სუფრაზე არავინ გაპატიებს, სახელმწიფო მასშტაბის დაუსჯელ თავხედობამდე აიყვანო.

ეტყობა, თვით საზოგადოებამ გადააბიჯა ღირსების შელახვის ზღვარს და ახლა ყველაფერი სულერთია და ყველაფერი დასაშვები.

ასე სახელმწიფო ვერ აშენდება.

იქ, სადაც დაუცველია ქვეყნის პრეზიდენტის ღირსება, დაუცველია ყოველი ჩვენგანის ღირსებაც.

იხ. მე-4 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 26 ნოემბერი ქ. თბილისი

ზ. მეფარიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ენერგეტიკული ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზის“ სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველოს უფროსი ზურაბ მეფარიძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 2 დეკემბერი ქ. თბილისი

ა. ხურციძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ვეტერანთა მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ალექსანდრე ხურციძე დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 16 დეკემბერი ქ. თბილისი

დასვენების დღის გადატანის შესახებ

გადატანილ იქნეს დასვენების დღე შაბათი — 1997 წლის 4 იანვარი ხუთშაბათს, 1997 წლის 2 იანვარს, ხოლო დასვენების დღე კვირა — 1997 წლის 5 იანვარი — პარასკევს, 1997 წლის 3 იანვარს.

ე. შევარდნაძე.

ხაზინა

სახელმწიფო ბიუჯეტს — სახელმწიფოებრივი მიდგომა

ვაგრძელებთ მასალების გამოქვეყნებას, თუ ვინ რა თანხა შემატა სახელმწიფო ბიუჯეტს:

სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარე	
ფოთი	
კოლხიდნავმრეწველ	— 4000
შპს „შელფი-92“	— 4000
ნავსადგური	— 45000
წისქვილქარხანა	— 13000
ავტოსატრანსპორტო საწარმო	— 1000
პრივატიზაციის სამმართველო	— 6500
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მხარე	
ამბროლაური	
ურავის ქიმიური კომბინატი	— 5000
სოფელ ჭრებალოს საკრებულო	— 1200
სოფელ ბარის საკრებულო	— 460
ონი	
სოფელ ჭიორის საკრებულო	— 380
სოფელ ღების საკრებულო	— 1200
ონის კავშირგაბმულობის განყოფილება	— 445.

პარტნიორული ურთიერთობის განვითარებისათვის

17 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელები გადასცა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ჩვენს ქვეყანაში პიტერ ვან რენსბურგ გუსენმა.

შეხვედრაზე, რომელიც ტრადიციული საზეიმო ცერემონიის შემდეგ გაიმართა, ხაზი გაესვა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების აუცილებლობას, ითქვა, რომ ამ პროცესის წარმატებით განვითარებას ხელს შეუწყობს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება.

ედუარდ შევარდნაძემ სრულად გაიზიარა ელჩის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოსა და სამხრეთ აფრიკის საქმიანი წრეების პირადი კონტაქტების ინტენსიფიკაცია, აგრეთვე, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროების წარმომადგენელთა ურთიერთგაცვლა სტიმულს შესძენს ორი სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის განვითარებას.

საქართველოს პრეზიდენტმა ელჩს სთხოვა მოწვევა გადასცეს სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტს ნელსონ მანდელას, რათა მისთვის სასურველ დროს ესტუმროს საქართველოს.

საერთაშორისო სტანდარტების დონეზე

17 დეკემბერს თბილისში, ჯანმრთელობის დაცვის მართვის ეროვნულ ცენტრში საზეიმოდ გაიხსნა ეროვნული საინფორმაციო სასწავლო ცენტრი (ესსც).

ესსც წარმოადგენს თბილისი-ატლანტის ჯანდაცვის პარტნიორობის პროგრამას, რომელიც დააფინანსეს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტომ და ამერიკის საერთაშორისო ჯანდაცვის კავშირმა, პროექტის განხორციელებაში აქტიური წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ამერიკის შეერთებული შტატების ატლანტის შტატის ემორის უნივერსიტეტმა.

— ცენტრის დაფუძნება ერთ-ერთი პირველი ნიშანია იმისა, რომ საქართველო შედის მსოფლიოს სამედიცინო სივრცეში, — აღნიშნა საზეიმო გახსნის ცერემონიაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. მისი განცხადებით, ამ სამსახურის ჩამოყალიბება ქვეყნის მედიცინას შეუქმნის სათანადო ბაზას, რომელიც იმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე და, ამასთან, ხელს შეუწყობს სამედიცინო სფეროში რეფორმების განხორციელებას.

საზეიმო ცერემონიაში მონაწილეობდნენ ჯანდაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, დედაქალაქის მერი ბადრი შოშიტაიშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩვენს ქვეყანაში უილიამ კორტნი.

გიგლა ბარამიძე გვპირდება

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო და რაიონული ხელისუფლების ძალისხმევით, ქ. თბილისის მერიისა და ცეკავშირის თანადგომით, 25 დეკემბრიდან თბილისში მოეწყობა წინასაახალწლო ვაჭრობა სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფართო ასორტიმენტით, ფასები შედარებით შეღავათიანი იქნება.



იმედია, ამ წამოწყებას მხარს დაუჭერს ქვეყნის სხვა რეგიონებიც, ხოლო თბილისის მერია დააჩქარებს მხარისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სავაჭრო ობიექტების გამოყოფას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით რეგულარული ვაჭრობისათვის.

საქართველოდან ნობელის პრემიის მოსაპოვებლად

ამ დღეებში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახელზე შვედეთიდან მოვიდა ფრიად მნიშვნელოვანი წერილი. ნობელის პრემიის საერთაშორისო კომიტეტი ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს მიმართავს თხოვნით, ითანამშრომლოს მასთან და სისტემატურად წარუდგინოს კანდიდატურა საქართველოდან ნობელის პრემიის მოსაპოვებლად ლიტერატურის დარგში.



იძულებითი დაშვება აფრენიდან შვიდ წუთში

16 დეკემბერს ბათუმის აეროპორტიდან 16 საათსა და 22 წუთზე სახელმწიფო ავიასატრანსპორტო კომპანია „როსიას“ „ტუ-134“ თვითმფრინავი (რეისი 974 ბათუმი-მოსკოვი) აფრენიდან შვიდი წუთის შემდეგ იძულებული გახდა დამჯდარიყო ამავე აეროპორტში. ამის მიზეზი იყო მარჯვენა ძრავში ცეცხლის გაჩენა, რომლის შედეგადაც დაიწყო ხანძარი. ავიალაინერის ეკიპაჟმა (მეთაური კ. ტარაშკინი) განახორციელა უსაფრთხოების ყველა ზომა და თავიდან აიცილა კატასტროფა. თვითმფრინავის დაჯდომის დროს ზუსტად მოქმედებდნენ ადგილობრივი საავარიო-სამაშველო სამსახურები. 38 მგზავრიდან და ეკიპაჟის 8 წევრიდან არავინ დაშავებულა.

შემთხვევის მიზეზს იკვლევს სახელმწიფო ავიასატრანსპორტო კომპანია „როსიას“ წარმომადგენელთა და ადგილობრივ სპეციალისტთა გაერთიანებული კომისია. ერთ-ერთი ვერსიით თვითმფრინავის ძრავში ფრინველი მოხვდა, რამაც გამოიწვია მისი აალება.

შემთხვევის მიზეზთა დასადგენად, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით შეიქმნა სამთავრობო კომისია საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის თავმჯდომარეობით.

განხორციელდა ოპერატიული ღონისძიება

მორიგი ოპერატიული ღონისძიების დროს პოლიციამ გამოავლინა საგზაო მოძრაობის დარღვევის შემდეგი ფაქტები: 209 პირი ავტომანქანას მართავდა მთვრალი, 666-მა გადააჭარბა სიჩქარეს, გასწრების წესები დაარღვია 113 პირმა, 87 აღმოჩნდა მართვის მოწმობის გარეშე, ხოლო 34 — სახელმწიფო ნიშნების გარეშე, ტექნიკური დათვალიერება არ ჰქონდა გავლილი 987 მანქანას, ხოლო 634 ტექნიკურად გაუმართავი იყო.

რეგისტრირებულია 25 ავტოსაგზაო შემთხვევა, გამოვლინდა ნარკომანიის ფაქტი, გაიხსნა სისხლის სამართლის ერთი დანაშაული.

ჯარისკაცებმა ჯვარი აღმართეს

სამშობლოს ერთიანობისათვის თავდადებულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მეორე მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა სეხაკის მთაზე აღმართეს ჯვარი, რომლის სიმაღლე 16 მეტრია. ჯვარი აკურთხა ფოთის ეპისკოპოსმა, მეუფე გრიგოლმა.

ჯვრის აღმართვის ინიციატორები არიან ბრიგადის მეთაურის მოადგილე პირად შემადგენლობასთან მუშაობის დარგში, კაპიტანი მერაბ მირცხულავა და ფიზიკური მომზადების სამსახურის უფროსი, კაპიტანი კობა გვაზავა. სამუშაოები მიმდინარეობდა ბრიგადის მეთაურის, პოლკოვნიკ ავთანდილ კვარაცხელიას ხელმძღვანელობით.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, ჩვენმა კორესპონდენტმა.

უკანასკნელ საათს

ტრაგედია ატაგში

დაბა ახალ ატაგში 17 დეკემბერს ღამით დაახლოებით 15 შეიარაღებული პირი შეიჭრა საერთაშორისო წითელი ჯვრის ჰოსპიტალში. თავდამსხმელებმა დახოცეს 6 მძინარე ექიმი, — ნორვეგიის, კანადის, ახალი ზელანდიისა და ისლანდიის წარმომადგენლები.

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მახაშევმა განაცხადა, რომ ეს პროვოკაციაა. საერთაშორისო წითელმა ჯვარმა შეწყვიტა მუშაობა ჩეჩნეთში და ამჟამად მიმდინარეობს მისი პერსონალის ევაკუაცია.

ჩამოვარდა შვეულმფრენი

გუშინ ფსკოვის მახლობლად კატასტროფა განიცადა ან-12 სამხედრო შვეულმფრენმა. დაიღუპა 17 კაცი, მათ შორის ლენინგრადის სამხედრო ოლქის მთავარსარდალი სერგი სელეზნიოვი მეუღლითურთ.

საკონსტიტუციო სასამართლო ვერდიქტი

გუშინ რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც შეუზღუდა უფლებები საგადასახადო პოლიციას. ერთი მხრივ, მას დაუტოვა უფლება აზღვევინოს ურჩ გადამხდელს დაფარული გადასახადი, მეორე მხრივ, კი გადამხდელებს მიანიჭა უფლება უჩივლონ პოლიციას სასამართლოში.

პრეზიდენტის პრესმდივნის განცხადება

რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა სერგი იასტრჟემბსკიმ გააქარწყლა რუსულ პრესაში დაბეჭდილი ცნობები იმის შესახებ, რომ ბორის ელცინი უახლოეს დღეებში განაახლებს მუშაობას კრემლში. პრეზიდენტი ჯერჯერობით რჩება რეზიდენცია „რუსში“, მაგრამ იგი განაგრძობს დადგენილი რეჟიმით მუშაობას. დგება დილის 6 საათზე, დღეში ოთხ საათს მუშაობს, ბევრს სეირნობს, დადის აუზში, თქვა პრესმდივანმა. უახლოეს ხანს არავითარი სამუშაო შეხვედრები არ არის გათვალისწინებული, თუ საჭირო გახდა, იგი ტელეფონით დაუკავშირდება პრემიერ-მინისტრს, დასძინა სერგი იასტრჟემბსკიმ.

პრემიერის სამძიმარი

ახალ ატაგში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, თქვა: „ეს აფეთქება მარტოოდენ ვანდალიზმის აქტი როდია. მისი მთავარი მიზანია ვითარების დესტაბილიზაცია, მიღწეულ მორიგებათა ჩაშლა“. პრემიერმა მიუსამძიმრა დაღუპულ უცხოელ მედიკოსთა ოჯახებს.

კულიკოვმა პროცესი წააგო

გუშინ ზამოსკვორეჩიეს სასამართლომ სამართლიანად ცნო გადამდგარი გენერლის ალექსანდრე ლებედის სარჩელი, რომელიც მოითხოვდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვისაგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას და მორალური ზარალის ანაზღაურებას 1 (ერთი) რუბლის ოდენობით მისი შეურაცხყოფისათვის.

კულიკოვმა ორი კვირის ვადაში უნდა დააკმაყოფილოს სასამართლოს მოთხოვნა.



საქართველოს რესპუბლიკა
№253. ოთხშაბათი, 18 დეკემბერი, 1996 წელი.

სიმართლე კი ასეთია

დაბნეული მკითხველი და წყლით პირსავსე კავშირგაბმულობა

ჩვენში დემოკრატიული ცხოვრების მშენებლობამ ბევრ მიღწევასთან ერთად ბევრი პრობლემაც წარმოქმნა. მართალია, პრესა ხელისუფლების მარწუხებისგან განთავისუფლდა, მაგრამ მასში იმდენი ტყუილ-მართალი იწერება, რომ მკითხველი დაიბნა, ვეღარ გაიგო რომელი ტყუილია და რომელი მართლაც მართალი. სიცრუის ტალღაზე აგორდა ბევრი უწყება, სტრუქტურა, სამინისტრო. ამას, რა თქმა უნდა, ვერ გადაურჩა კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, რომლის საქმიანობაზე არა ერთი და ორი მცდარი, ხშირად დაუზუსტებელი, ყურმოკრული ინფორმაცია ქვეყნდება.

ქვემოთ დასტამბულ საუბარში, რომელიც ამ დღეებში კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილესთან **ოთარ ბიწაძესთან** და საქართველოს ტელეცენტრის გენერალურ დირექტორთან **ნუგზარ ბექარიშვილთან** შეხვედრისას გაიმართა, შევეცადე ზოგი რამ დამეზუსტებინა.

— ხშირად იმ თევზის მდგომარეობაში ვართ, — მითხრეს მათ, — რომელსაც პირი წყლითა აქვს სავსე და სიმართლე ვერ უთქვამს. პრესაზე მოგახსენებთ, იგი არასაიმედო წყაროებზე დაყრდნობით ისეთ ნაკლოვანებებს მოგვაწერს, რაშიც სრულიად უდანაშაულონი ვართ.

ალბათ ხშირად მოგისმენიათ ტელედიქტორის ნაცნობი ფრაზა: „ბოდიშს გიხდით, ძაბვის ვარდნის გამო გადაცემა შეწყდა!" ან „ბოდიშს ვიხდით, უხარისხო ენერგომომარაგების გამო გადაცემა ხარვეზებით წავიდა!".

ეს ხდება დედაქალაქში, ტელეცენტრში, და წარმოიდგინეთ, აქედან წასული წუნდებული პროდუქცია, რომელსაც გზადაგზა კიდევ უამრავი ხარვეზი ხვდება, რა ხარისხით ჩააღწევს დედოფლისწყაროში, დმანისში, ბათუმსა თუ ლენტეხში. რადიოს, ტელევიზიის გამართული მუშაობა, სიგნალის, გამოსახულების თუ ხმის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაცემა მთლიანად დამოკიდებულია ტელერადიოკორპორაციის სტუდიებში დამონტაჟებული მოწყობილობა-დანადგარების ელექტროენერგიით მომარაგების ხარისხზე. და როცა ეს მოწყობილობანი (რესპუბლიკაში ასეთი მცირე და დიდი სიმძლავრის დაახლოებით 400 ობიექტია) მწვავედ განიცდიან ენერგიის დეფიციტს, ინფორმაციის გავრცელებაში ამით გამოწვეული ნაკლოვანებები მთლიანად ბრალდება კავშირგაბმულობას.

— და თქვენც გაჩერებული ხართ, მდგომარეობის შესაცვლელად არაფერს აკეთებთ?

— ნუთუ ასეთი წარმოდგენა შეგექმნათ? ჩვენ კარგად გვესმის სირთულეები, რომლებიც ენერგოკრიზისმა ქვეყანას შეუქმნა და ამიტომ ყოველი ღონისძიებით ვცდილობთ მის შემსუბუქებას. ამას ემსახურება კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის სამინისტროების მიერ შემუშავებული ერთობლივი პროგრამა, რომელიც მთელი რიგი პრობლემების გადაწყვეტას ითვალისწინებს.

გვინდა მოსახლეობას ვუთხრათ, რომ დღევანდელ პირობებში რის გაკეთებაც კი შეიძლება, ყველაფერს ვაკეთებთ — რეგიონებში ძირითადი საინფორმაციო წყაროები გადაიცემა სარეზერვო ავტონომიური დიზელგენერატორებით და აკუმულატორებით. სხვა საშუალება, არც ფინანსურად და არც ტექნიკურად, ამჟამად არ გაგვაჩნია.

— ალბათ ძვირი ჯდება ასეთი გადაცემები. გაზეთები სხვადასხვა ციფრს (4-6 მილიონ ლარს) ასახელებენ, სწორია?

— ეს თანხა ფაქტობრივად მართლაც იხარჯება, მაგრამ სამინისტროში გაწეული შრომის საფასურის მხოლოდ ნახევარი (3 მილიონ 200 ათასი) შემოდის, რაც ხელფასებსაც ძლივს ჰყოფნის. თუ ეს მდგომარეობა არ გამოსწორდა, უახლოეს მომავალში დარგი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდება.

— თქვენი მისამართით არის სხვა პრეტენზიებიც. აი, ჩვენს სასაზღვრო რაიონებში, როგორც გაზეთები წერენ, მეზობელი ქვეყნების გადაცემებს იღებენ, ქართულ რადიო-სატელევიზიო პროგრამებს კი ვერა. ამას რიღათი ახსნიდით?

— ისევ და ისევ ენერგოკრიზისით. ის მეზობელი ქვეყნები, რომლებსაც არც ენერგოკრიზისი აწუხებთ და მძლავრი ტექნიკითაც არიან აღჭურვილნი, თავიანთ პროგრამებს თანამგზავრული საკომუნიკაციო ქსელით ავრცელებენ, რომლის მიღება დედამიწის ყველა წერტილში შეიძლება. და რა გასაკვირია, რომ ახალქალაქის ან მარნეულის მცხოვრებლებმა, როცა დენი გამორთულია და ჩვენი სისტემა არ ფუნქციონირებს, მეზობელი ქვეყნის გადაცემები მიიღონ? ამას ვერავის აუკრძალავ.

— მაგრამ, ხომ შეიძლება ჩვენმა მოსახლეობამ სატელევიზიო პროგრამები კოსმოსური თანამგზავრის შემწეობით მიიღოს?

— ეს საკითხი ამას წინათ მთავრობის სხდომაზეც დაისვა, მაგრამ როგორ გადაწყდება, როცა ქვეყანას სახსრები არ გააჩნია? საამისოდ ჩვენ ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ვიყავით მზად. იქნება თუ არა სახსრები, საქმეც მაშინვე დაიწყება, თანაც ამას გააკეთებენ, არა უცხოელი, არამედ ქართველი სპეციალისტები.

— რადიოტალღებს რაღა დაემართა, ნუთუ იმპერიის დაშლამ მასზეც იმოქმედა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, „იმოქმედა". საქართველოს აქვს მძლავრი, გრძელ ტალღაზე მომუშავე რადიოგადამცემი, რომელიც არა მარტო ჩვენი, არამედ მოსაზღვრე ქვეყნების ნაწილობრივ ტერიტორიასაც მოიცავს, მაგრამ მის მიღებას ვერ ახერხებენ „უბრალო" მიზეზის გამო — მსოფლიო სტანდარტების საოჯახო რადიომიმღებები ამ ტალღაზე არ არის მორგებული (ეს საბჭოური მოდელის „უპირატესობა" გახლავთ). რა თქმა უნდა, გვაქვს საშუალო და მოკლე ტალღაზე მომუშავე რადიოგადამცემი სადგურიც, მაგრამ ის მხოლოდ 100-150 კილომეტრი რადიუსის ფარგლებში მოქმედებს.

გადაწყვეტილი გვაქვს უახლოეს მომავალში მოვახდინოთ რადიოქსელის მთლიანი რეკონსტრუქცია (ეს შეეხება აჭარასაც), რაც საშუალებას მოგვცემს რადიოპროგრამების გადაცემის ხარისხი მსოფლიო სტანდარტებს მივუახლოვოთ. თუმცა ამის გაკეთება ბევრად იქნება დამოკიდებული იმ თანხის (1 მილიონ 200 ათასი ლარი) გადახდაზე, რომელიც კავშირგაბმულობის სამინისტროს ამ ხაზით ადრე შესრულებული სამუშაოებისთვის ეკუთვნის, ამავე პროგრამით ჩაუტარდება რეკონსტრუქცია სადენებიან რადიომაუწყებლობას. კერძოდ, თბილისში დამზადდება რადიომიმღები, რომელიც ფიქსირებული სიხშირით მზის ბატარეებზე იმუშავებს და არსებულთან შედარებით გაცილებით იაფი ეღირება.

— სასიამოვნოა ამის გაგება, მაგრამ არ შემიძლია არაფერი გკითხოთ ერთი არასასიამოვნო ფაქტის თაობაზე — თურმე ერთ-ერთ ჩვენს რეგიონში 3-ტონიანი ტელეანძა მოუპარავთ და თურქეთში გაუტანიათ (რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე). ნუთუ ეს მართალია?

— მეტანი სიცრუეა: ლაპარაკია ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ტაბაწყურში მდგარ პასიურ სადგურზე (სიგნალს იღებდა და მიმართულებას უცვლიდა), რომელიც კი არ მოიპარეს, გაძარცვეს. იქ ჩვენ გვეყენა მზის ბატარეები, რომლითაც სადგური იკვებებოდა. იქვე იდგა საგზაო პოლიციის დანაყოფი, რომლის თვალწინაც ავაზაკებმა მოხსნეს და წაიღეს როგორც ბატარეები, ისე აკუმულატორები და სხვა ფასეულობანი. რა უნდა გვექნა? ავდექით და ამ წლინახევრის წინათ ანდა ასპინძის რაიონის სოფელ დამალაში გადავიტანეთ. იგი დღესაც მუშაობს.

— მთავრობაში გამართულ ამასწინანდელ სხდომაზე ითქვა, რომ აჭარაში ცენტრალური ტელევიზიის გადაცემებს ადგილობრივი გადაცემებით ცვლიან. ეს რაღას ან ვიღას ბრალია?

— თბილისიდან ტელევიზიის პირველი არხით სიგნალი ბათუმს ყოველთვის მიეწოდება, მაგრამ დიდი ენერგოდეფიციტის გამო მას ვერც ბათუმის გადამცემ სადგურში და ვერც მთლიანად აჭარის რეგიონში ვერ იღებენ. რადგან დენი არა აქვთ, რთავენ დიზელგენერატორებს და გადასცემენ ადგილობრივ პროგრამებს, რაც პრეზიდენტის ბრძანებულებით და ჩვენი სამინისტროს გადაწყვეტილებით აკრძალულია.

— გასაგებია. როგორც ჩანს, გაზეთები ზოგჯერ მართლაც ეყრდნობიან მცდარ, ჭორის დონეზე გავრცელებულ ინფორმაციას და უმართებულოდ გაკრიტიკებენ. თუმცა, ეს, ალბათ, არ იძლევა იმის საბაბს, რომ კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო პრესის გავრცელების მიმდინარე დიდმნიშვნელოვან კამპანიას გულგრილად მოეკიდოს.

— რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს კამპანია ორგანიზებულად ჩატარდეს და ხელმოწერმა პრესა უდანაკარგოდ და დაუგვიანებლად მიიღოს. ერთიც მინდა დავამატო: ვისაც კავშირგაბმულობისა და ფოსტის საქმიანობის შესახებ ხალხისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდება უნდა, ვთხოვთ ჩვენ მოგვაკითხოს. გარწმუნებთ, სამინისტროში მათ კარი ყოველთვის ღია დახვდებათ.

მშვენიერი წინადადებაა. მე პირადად არაერთგზის მქონია ჟურნალისტური კონტაქტები ამ სამინისტროსთან და არასოდეს გაეწბილებულვარ. რა თქმა უნდა, ისეთ მოშლილ ქვეყანაში, როგორიც ჩვენ ვართ, სხვა დარგებთან ერთად კავშირგაბმულობასაც უამრავი ნაკლი და პრობლემა დაუგროვდა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ მიმართებით არაფერი კეთდება. ამ რამდენიმე დღის წინ კახეთის გულში — გურჯაანში გაიხსნა თანამედროვე კვაზიელექტრონული ავტომატური სატელეფონო და საქალაქთაშორისო სადგური, რომელიც 4496 აბონენტს მოემსახურება. სადგურის საშუალებით გურჯაანელებს შეუძლიათ კავშირი დაამყარონ საქართველოს ნებისმიერ მხარესა და მსოფლიოს ქვეყნებთან. აქვე დამონტაჟდა ელექტროფოსტა, რომელიც პლანეტის კომპიუტერულ ქსელშია ჩართული. გურჯაანსა და კაჭრეთში საქართველოს სატელევიზიო პროგრამების მიღების გაუმჯობესების მიზნით დაიდგა ორი ახალი გადამცემი. რაც მთავარია, ინერგება თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგია და აპარატურა, იზრდება ახალი კადრები.

ამას რომ უყურებ, მომავლის იმედი გეძლევა. კაცი კი, მოგეხსენებათ, მომავლის იმედით ცოცხლობს.

ოთარ ხუციშვილი.

ადასტურებს თავის პატივისცემას...

საქართველოს საელჩომ მიიღო რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა, რომელშიც დადასტურებულია პატივისცემა საქართველოს მოსკოვის საელჩოს მიმართ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 1996 წლის 12 დეკემბრის № 7/2086 ნოტის პასუხად ნათქვამია:

1996 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარის ტემრიუკის რაიონის სტანიცა ტამანის პორტპუნქტში, რომელიც არ არის რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გამშვები პუნქტი, უკრაინის გემმა „ალმაზმა" კარჭაპის ბუქსირით განზრახ აუქცია გვერდი სასაზღვრო და საბაჟო კონტროლს, გადმოტვირთა კონტრაბანდა (200000 დოლარის ღვინოპროდუქცია) და გავიდა რუსეთის ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ.

ამ ფაქტის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

გემ „ალმაზის" ეკიპაჟს ა. წ. 4 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურის რეიდზე დაკავების შემდეგ წინადადება მიეცა წამოსულიყო ნოვოროსიისკის ნავსადგურში საქმის გასარჩევად. მაგრამ მან უარი თქვა შეესრულებინა ეს მოთხოვნა და განზრახ გამოიყენა მწყობრიდან ენერგეტიკული დანადგარი. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის საგამოძიებო ორგანოების გადაწყვეტილებით, ეკიპაჟი — 11 კაცი რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ავიაციით გაიგზავნა კრასნოდარის მხარეში გადაუდებელ საგამოძიებო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, ამ მოქმედების შესახებ სამუშაო წესით მიეწოდა ინფორმაცია აჭარის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს და ბათუმის ნავსადგურის საპორტო ხელისუფალთ საქართველოს ცენტრალური ორგანოების შემდგომი ინფორმირების მიზნით.

მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან, მათ შორის, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმების წესის სრულად დაცვა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არ მოეპოვებოდა ინფორმაცია გემ „ალმაზის" დაკავების შესახებ. ამ ფაქტიდან გამოვიტანთ სათანადო დასკვნებს.

რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გემის ეკიპაჟის გადაყვანის ოპერატიულობა, რუსეთის სამართალდამცველი ორგანოების აზრით, იმით აიხსნება, რომ გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება რსფსრ სსკ 90-ე მუხლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს დაკავების დღიდან არა უგვიანეს 10 დღე-ღამისა.

იმ გარემოების გამო, რომ გემის დაკავებას თან ახლდა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც გამოძიების ინტერესებისათვის ფართოდ არ გახმაურებულა, საგამოძიებო ღონისძიების განსახორციელებლად ნოვოროსიისკში გემ „ალმაზის" ეკიპაჟის წაყვანა არ იქნა აფიშირებული.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის საგამოძიებო ორგანოების მიერ საჭირო გადაუდებელ საგამოძიებო ღონისძიებათა მიღების შემდეგ გემის ეკიპაჟის წევრები ბათუმში დააბრუნეს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის გამოყენებით. ბუქსირის კაპიტანი საპროცესო წესით დაკავებულია და მის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება. არის საკმარისი საფუძველი ამ გემზე ყადაღის დადებად, მაგრამ უკრაინასთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გათვალისწინებით მიღებულია გადაწყვეტილება, არ განხორციელდეს ეს ღონისძიება.

ამჟამად გემი, ახლად დანიშნული კაპიტანი და ეკიპაჟი ბათუმის ნავსადგურში იმყოფებიან დატვირთვის სამუშაოების შესასრულებლად. ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გემ „ალმაზს" გაუფორმდება გასვლა დადგენილი წესით.

სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა ერთხელ კიდევ აღუთქვას საელჩოს თავისი ფრიად დიდი პატივისცემა.

მოსკოვი, 1996 წლის 16 დეკემბერი.

სოფელი

ბუნება მაინც არ გვაღონებდეს

შესამჩნევი ძვრები ხდება სოფლად, მიწამ, რომ იტყვიან, პატრონი იპოვა, მაგრამ იპოვა კი ყველგან? აგრარული რეფორმა მიმდინარეობს, დაინგრა ძველი, სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, მის ნაცვლად ასპარეზზე მოსახლეობის ახალი ფენა — ფერმერები და მოიჯარეები გამოდიან, ყალიბდება ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, ჯერ იქნებ საქმე ისე ვერ აეწყო, როგორც საჭიროა, მაგრამ ყველაფერი თანდათან დალაგდება, ოღონდ ამისთვის დროა საჭირო, დრო გაარკვევს ავსა და კეთილს.

მანამდე კი ჩვენი ვალია გვერდით დავუდგეთ, დავეხმაროთ სოფელს, ავსახოთ იქაური შუქ-ჩრდილები, რა უჭირთ, რა ულხინთ, რა სჭირდებათ.

ბოდბისხევის გამგეობაში სხვა დროსაც ვყოფილვარ, ვიცოდი, თავმჯდომარე რომ მენახა, აქ უთენია უნდა მოვსულიყავი.

ავტომანქანით მივდიოდი, მეუღლე და შვილიც აქ არიან. დაღმართს რომ დავუყევი, გზაზე შავებში შემოსილ დედაკაცს წამოვეწიეთ, ბიჭმა მანქანის გაჩერება არც კი მაცალა, მიახლოებისთანავე მოხუცი ავტომანქანაში შემოიპატიჟა.

ზემომაჩხაანელი (დედოფლისწყაროს რაიონი) ქალბატონი აღმოჩნდა.

— დეიდა, თითქმის ორი სოფელი გამოგივლიათ, ნუთუ ავტომანქანით არავინ შეგხვდათ? — ვკითხე მოხუცს.

— როგორ არაო, — გვითხრა მოხუცმა, — შამხვდნენ, მაგრამ მოხუცი ვიღას უნდა, ცოდო-მადლი დაიკარგა ამ ქვეყანაზე, ცოდო-მადლი. ადრე ხალხი ერთმანეთის პატრონი იყო. ახლა მარტო ფულიანი კაცი მძლავრობს, დარჩენილები სასის ბუმტივით ვართ. მარტო შევარდნაძემ რა ქნას, ის რომ იტყვის, სხვამ კიდევ უნდა შეამოწმოს, როგორ გაკეთდა მისი ნათქვამი, თორემ აქაურები, როგორც უნდათ, ისეთ კანონებს იგონებენ, ღმერთმა დაგლოცოთ, შვილებო, რომ შემამჩნიეთ, მოჭირდა და ამხელა გზაზე იმიტომ წამოვედიო, — გვითხრა მან ჩასვლისას ისე, რომ ვინაობა არ გაგვიმხილა.

— რომ არ მიჭირდესო! — ეს სიტყვები ყურში დიდხანს ჩამესმოდა. მართალი თქვა მოხუცმა, უჭირს სოფელს და ეს გაჭირვება ყველაფერში იგრძნობა. თუკი სოფელი გზით იწყება და მთავრდება, კრიტიკას ვერ უძლებს აქაური გზები.

განსაკუთრებით წყალწალებულია ე. წ. ბოხორის, ბოდბელან-ბოდბისხევისკენ და ფანანიდან ქვემო მაჩხაანისკენ მიმავალი გზები.

ლევიაანთ უბანში მცხოვრებ მოლოდინაშვილებს, მამუკელაშვილებს, ყაჯრიშვილებს, კანაშვილებს და სხვებს კი ზაფხულობით უწყლობა სტანჯავთ და ამის გამო ხშირად ერთმანეთს ეკინკლავებიან, არა ჩემი რიგი იყო, არა ჩემიო, არადა, უბანში წყლის გამო აყალ-მაყალი არ იქნებოდა, რომ ზემოურებს, ტუხაანთ უბანში მცხოვრებნი მთელ წყალს სარწყავად არ ხმარობდნენ, ამის გამო ლევიაანთ უბანს სასმელი წყალი აღარ ყოფნის. ახლა კი მოდის წყალი, მაგრამ, მილია დაზიანებული, იქნებ ღვთისნიერი ადამიანი გამოჩნდეს და მილი გააკეთოს, მაშინ გზაც გადარჩებოდა, თორემ ისეთი ორმოებია, სპილო კისერს მოიტეხს. ავტომანქანა რომ გამოჩნდება, ერთი ალიაქოთი იწყება, რომ ფეხით მოსიარულეებს ბინძური წყალი არ შეესხას. განსაკუთრებით სკოლისკენ მიმავალი პატარები წიოკობენ ხოლმე.

თურმე ნუ იტყვით, სოფლის თავკაცები, სანამ ხელმძღვანელად აირჩევენ, ხალხს გზების შეკეთებას ჰპირდებიან, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ხელმძღვანელები იცვლებიან, დაპირება კი დაპირებად რჩება. გზების შეკეთება ყველას ავიწყდება.

საკრებულოს დღევანდელი თავმჯდომარე თამაზ შაიშმელაშვილიც ორ დღეში აუცილებლად იწყებს გზის მოხრეშვას, მაგრამ უკვე აღარავის სჯერა და მათ შორის მეც.

როგორც ჩანს, რაიონის ხელმძღვანელები ამ ოღროჩოღრო გზებზე არ დადიან, თორემ ერთხელაც გზაში დარჩებოდნენ და მეორე დღეს ალბათ გზის შეკეთებისთვისაც იზრუნებდა ვინმე.

მანამდე? მანამდე თქვე კაიდედმამიშვილებო, ხომ გაიგეთ, რომ თქვენს თავზე თქვენვე უნდა იზრუნოთ? რით ვერ გაიგეთ, რომ თქვენ თვითონ უნდა მოიწყოთ თქვენი ცხოვრება? სოფლის ხევებში ხრეში ხომ ბევრია? შეკრებილიყავით სოფლის კაცები, ახალგაზრდები და გზაზე ხრეშს მაინც გაშლიდით, ან წყლის მილი რა გახდა ისეთი, რომ მის შესაკეთებლად უბანში კაცი არ მოიძებნა, გაინძერით, ხალხნო, თორემ ასე სოფელი ვერ აშენდება... ეს ფიქრები არ მშორდებოდა, სანამ თენგიზ ცაბუტაშვილთან მივიდოდი. იგი ორი თვეა, რაც ფირმა „ბოდბისხევის" თავმჯდომარედ აირჩიეს...

— ბატონო თენგიზ, თქვენი სოფელი ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო, წლების მანძილზე მას უნარიანი თავკაცები მართავდნენ. ახალმა სიომ დაუბერა და აქაურებმა კოლმეურნეობა გააუქმეს და ფირმა „ბოდბისხევი" ჩამოაყალიბეს. მაშინ თავმჯდომარე სხვა იყო, ახლა თქვენ ბრძანდებით, როგორ მიდის საქმე? რა პრობლემები გაქვთ, როგორ აყალიბებთ ახალ ურთიერთობას კერძო სექტორთან, იქნებ ამ საკითხებზე გვესაუბრა?

— კი, ბატონო, ვისაუბროთ, ჯერჯერობით დრო გვაქვს, თუმცა, ხომ ნახეთ, მისაღებში რამდენი ხალხია, ხელფასებისთვის არიან მოსული, ყველას ვერ ვაძლევთ ერთდროულად, უკმაყოფილებას ვერ ფარავენ და ვერც გაამტყუნებ.

ორი წელია კახეთში დიდი გაჭირვებაა. მოსავალი, რაც დავთესეთ, თითქმის გვალვამ მოსპო. ასეთივე მდგომარეობა გვქონდა მევენახეობაშიც, მასზე დახარჯული თანხების მესამედიც ვერ ავინაზღაურეთ. ყურძენი კარდენახის ღვინის მარანს ჩავაბარეთ, მაგრამ ფული დღემდე არ აგვიღია.

— კი, მაგრამ, ყურძენი ბოდბისხევიდან გურჯაანის რაიონში რატომ წაიღეთ? თქვენი მარნები გაავსეთ?

— ჩვენს ვენახებში შედარებით გვიანი რთველი იცის ხოლმე, რაიონის მარნებს ფული უკვე გამოელიათ, კარდენახში კი გვითხრეს, ერთ კვირაში გადაგიხდითო, ჩავაბარეთ, მაგრამ მოგვატყუეს და სწორედ ამის გამო ხალხს ხელფასები ვერ მივეცით.

ფინანსურმა გაჭირვებამ გამოიწვია ისიც, რომ ვენახები იჯარით გავეცით. ხალხმა აიღო, ვისაც რამდენის სურვილი ჰქონდა, ოღონდ ერთი პირობით, ვენახის დამუშავების ყველა ხარჯს თავად გაიღებენ, 20 პროცენტს კი ნატურით გადაუხდიან. რა გვექნა, სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ვიმეორებ, ფინანსები ძალიან გვიჭირს, აკი ვთქვი; ორი წელია ვთესავთ, მაგრამ უშედეგოდ, მოსავალს ან გვალვა სპობს, ან სეტყვა. მარტო წლეულს, გვალვის გამო 1500 ჰექტარზე დათესილი მზესუმზირა მთლიანად განადგურდა. მეცხოველეობის ფერმები კერძო პირებზეა გაცემული და თავიანთ პირუტყვს უვლიან.

— ბატონო თენგიზ, ძალიან მინდოდა რომელიმე ფერმერს შევხვედროდი?

— ვერ დაგეხმარებით, ამჟამად ზოგი იორზეა, ზოგი ალაზანზე, ან მილარზე. პირუტყვი იქ ჰყავთ და აქ რა უნდა გააკეთონ?

— მიწის რეფორმა როგორღა მიმდინარეობს, წაიკითხეთ ალბათ, მიწის რეგისტრაციის კანონიც შემუშავდა.

— როგორც ცნობილია, ათეულ წლობით დამკვიდრებულმა მიწათსარგებლობის ყოვლად გაუმართლებელმა მართვის სტრუქტურამ, როგორც ჩანს, მკვეთრად დააკნინა სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მთელი ქვეყანა მწვავე ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდო. დღევანდელი გაჭირვება მარტო ორი წლის უხმოსავლიანობის შედეგი არ არის, მას ფესვები უფრო შორსა აქვს.

— დღეისათვის რამდენი ჰექტარი მიწა გაქვთ მიხნულ-დათესილი?

— 625 ჰექტარი იჯარით რაიონიდან გადმოგვეცა. აქედან 350 ჰექტარზე საშემოდგომო ქერი და ხორბალი დავთესეთ. 275 კი საგაზაფხულოდ დაითესება. მადლობა ღმერთს, ტექნიკა შენარჩუნებული და გამართული გვაქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი არაშემოსავლიანი წლების მიუხედავად, მაინც შევძელით ნოემბრის თანხა რაიონის ბიუჯეტში დროულად შეგვეტანა. ისე რომ, სიღნაღის რაიონმა თუ საბიუჯეტო დავალება 101 პროცენტით შეასრულა, ამაში ბოდბისხეველთა წვლილიც არის.

პრობლემები? — ვერც კი ჩამოთვლით იმდენია, ყველაზე მეტად მაინც ის განჯავთ აქაურებს, რომ სოფელში არ არის ელექტროენერგია, საგონებელში არიან ჩავარდნილი, აღარ იციან, რა მოახერხონ, შეღამდება და წყვდიადშია მთელი სოფელი, არც ტელევიზორი, არც რადიო, არც გაზეთი, კინოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მაინც იმედით სუნთქავენ, ხვალინდელი, უკეთესი დღის იმედით ცხოვრობენ ზემო და ქვემო ბოდბისხევში გელაშვილები, მჭედლიშვილები, ყაჯრიშვილები, მათეშვილები, ჩემი დარბაისელი და იუმორით სავსე კახელები.

სოფელი მაინც სოფელია, თადარიგიანი, ბევრის შემძლე და გადამტანი, ცხოვრების დიდი სკოლა.

ნაზი იმნაიშვილი,
„სრ" სპეც. კორ.

ღირსეულნი

გზა გაყვანილი, გზა განვლილი...

გარდაბანში „თბილსრესის" მშენებლობა 1960 წელს დაიწყო. მას ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის" გარდაბნის „თბილსრესის" სამშენებლო სამმართველო აშენებდა და 23 წლის ინჟინერი პირველად იქ მივიდა სამუშაოდ. 6 თვეში ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად, ერთი წლის შემდეგ კი უბნის უფროსად დააწინაურეს.

— თავდაპირველად სამოქალაქო მშენებლობაზე ვმუშაობდი, — მიამბობს ბატონი ზურაბ ნეფარიძე, — ავაშენეთ 17 სამსართულიანი სახლი, 24 კოტეჯი (დაახლოებით 20 ათასი კვ.მ. საცხოვრებელი ფართით), ადმინისტრაციული შენობები, საყოფაცხოვრებო სათავსოები დამხმარე პერსონალისათვის, პურის საცხობი გარდაბანში, რამდენიმე სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, ორი საშუალო სკოლა, ორი პროფტექსასწავლებელი. ყველა შენობა „თბილსრესის" ხარჯთაღრიცხვით შენდებოდა. ამასთან, „საქენერგოს" მოუხდა ბეთანიაში აეშენებინა განათლების სამინისტროს ბაზა, მარტყოფში სკოლა-ინტერნატის კომპლექსი. „თბილსრესის" საფინანსო განაწილებით პირველად დაიწყო წყალგამწმენდი ნაგებობების მშენებლობა. თითქმის დავამთავრეთ და „ინმშენში" გადამიყვანეს სამმართველოს უფროსის მოადგილედ. ქსანში მინის გარის ქარხნის მშენებლობაც ჩვენ დავიწყეთ. 25 წელი ვიმუშავე „საქჰიდროენერგომშენში" — 18 წელი გარდაბანში, 7 — სხვადასხვა ობიექტზე.

ისე ლაპარაკობს ბატონი ზურაბი, თითქოს ეს ყველაფერი ჯადოსნური კვერთხის ერთი აქნევით გაკეთებულიყოს. მინდა შევაჩერო, ნეტა, როგორც ვხედავთ, ყველაფერი ასე ადვილად გასაკეთებელი იყოს-მეთქი. ასაკს თავისი გააქვს. ალბათ, ხვდება რისი თქმაც მინდა, და თვითონვე აგრძელებს:

— ასე მარტივად ნუ მოგეჩვენებათ. ვიცი, რაც უნდა მეთქვა. ადვილი არაფერია და მით უმეტეს, ასეთი მშენებლობები.

მართლაც ასეა, საამბობლად ადვილია — სულ რამდენიმე წინადადებაში ჩაეტევა წლობით ნაკეთები საქმე. მაგრამ ამ ერთ სიტყვაში — „ავაშენეთ" — რამდენი უძილო ღამე და ჭანცგამწყვეტი დღეა გათენებულ-დაღამებული.

და თითქოს არაფერი: 25 წელი მარტივად დაშალა — 18 გარდაბანში „თბილსრესზე" პლუს 7 დანარჩენ ობიექტებზე.

დიდხანს ვესაუბრე ბატონ ზურაბთან და არც ერთხელ არ უთქვამს „მე ავაშენე" და „მე გავაკეთე" — სულ იმას უსვამდა ხაზს, ქვეყნის ხელმძღვანელობისა და ხალხის თანადგომით, ერთად მუხლჩაუხრელი შრომით შევძელითო.

ეს, ერთი შეხედვით, მცირე დეტალიც კარგად წარმოაჩენს პიროვნებას.

გადავშალოთ ზურაბ ნეფარიძის ცხოვრების წიგნის კიდევ ერთი ფურცელი.

— 1985 წელს საავტომობილო გზების სისტემაში ჩამოყალიბდა სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სამმართველო — ეს ერთადერთი სამმართველოა მთელ სისტემაში. დამიძახა ბატონმა ბორის სალარიძემ, სამმართველოს უფროსად დამნიშნეს. ამის შემდეგ საავტომობილო გზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობას მივხედე. მთელ საქართველოში გვქონდა ობიექტები: ბათუმიდან თელავამდე, თბილისში, საქართველოს სამხედრო გზაზე — ყაზბეგამდე.

1990 წელს, მშენებლობათა შესუსტების შემდეგ...

სიტყვა შუაზე გაუწყდა, თვალებში წინანდელი გაუკრთა თითქოს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს.

ვცდილობ კითხვით შემოვაბრუნო მოსაუბრე, ისევ სასიამოვნო კალაპოტში ჩავაყენო ჩვენი საუბარი. ახლა აღმშენებლობა დაიწყო, სასიკეთო ძვრები იგრძნობა და დღევანდელ მდგომარეობაზე ვეკითხები.

— ბატონმა ბორის სალარიძემ საკითხი დააყენა მთავრობის წინაშე, რათა საგზაო ფონდი შეექმნათ. გახსოვთ, ალბათ, შარშან სექტემბერში პარლამენტმა დაამტკიცა ეს ფონდი. ახლა ამ ფონდიდან შემოსავლები უკვე არის და იმით ვსულდგმულობთ, იმით ვარემონტებთ გზებს. რესპუბლიკის გზები ახლა შედარებით საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია. თბილისიდან ქობულეთამდე მშვენიერი გზაა. განსაკუთრებით დაზიანებული იყო გურიის გზა და ისიც გაკეთდა.

მხოლოდ ორი სიტყვით — „ისიც გაკეთდა".

და მეტი არაფერი.

სიამაყით ნათქვამი ორი სიტყვა უსწრებს ოღონდ — „მშვენიერი გზაა".

არადა, რამდენი სამუშაო იყო ჩასატარებელი ჩოხატაური-ბახმაროს გზის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის რაიონებში გადასახვლელის აღსადგენად.

— გზების რეაბილიტაცია ქვეყნის სახელმწიფოებრივი პროგრამაა, — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის ბოლო სხდომაზე მას შემდეგ, რაც კონცერნ „საქავტოგზის" თავმჯდომარის ბორის სალარიძის ინფორმაცია მოისმინეს მთავრობის წევრებმა.

კონცერნ „საქავტოგზის" ხელმძღვანელობა პრეზიდენტის დასახულ კურსს მისდევს და ერთმანეთის მიყოლებით კეთდება: თბილისი-სენაკი-ფოთის, ფოთი-ბათუმი-სარფის, სამტრედია-საჯავახო-ლანჩხუთის, საშური-ახალციხის, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის, თბილისი-მარნეული-სადახლოს და სხვა ტრასები.

უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში პირველად ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები გორი-ცხინვალი-ონისა და გორი-როკის გზებზე, ამოქმედდა ასფალტბეტონის ქარხანა ცხინვალში. აქ ერთად მუშაობდნენ გორისა და ცხინვალის გზის მშენებლები. უკვე აღდგენილია ონი-კვაისის მონაკვეთი.

„საქავტოგზის" ხელმძღვანელმა მთავრობას მოახსენა, რომ მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზა მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან და პრეზიდენტის მითითებით დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მის გასწვრივ შესაბამისი ინდუსტრიის შესაქმნელად. ეს საქმეც გაკეთდა. გზის აღსადგენად წლეულს აქ 15 მლნ. ლარის სამუშაოები შესრულდა.

იმერეთის რეგიონში შეკეთდა გომი-საჩხერე-ზესტაფონის გზა ჭიათურამდე, აღდგენილია თერჯოლა-ტყიბულის, ქუთაისი-საირმის, სამტრედია-ვანის გზები, ნაწილობრივი აღდგენითი სამუშაოები ჩატარდა ქუთაისი-ალპანა-ამბროლაურის გზაზე. დაიწყო ქუთაისი-ხონის, ქუთაისი-ტყიბულის გზების აღდგენაც. მის დამთავრებას წლის ბოლოსათვის ვარაუდობენ.

ქუთაისის მისასვლელ გზას უკვე თანამედროვე სახე მიეცა. განახლდა მოძრაობა თბილისის შემოვლით გზაზე.

ყოველივე ამის შესახებ მთავრობის სხდომაზე ითქვა. სხვაც ბევრი ითქვა გაკეთებულ-გასაკეთებელის თაობაზე. დაიწერა კიდეც ჩვენს გაზეთში, მაგრამ საგაზეთო ფართი რას დაიტევს „საქავტოგზის" გაკეთებულის ჩამონათვალს. ამიტომ ნაწილი ვერ გამოქვეყნდა და ახლა შევეცადეთ თქვენთვის გვეცნო.

„გზები, გზები გვინდა!" — შევძახეთ მაშინ პირველ გვერდზე.

ასეა, როცა ბევრს და კარგად აკეთებ, როცა ქვეყნის ხელისუფლება ხედავს შენს შრომას და სათანადოდაც აფასებს, ამგვარი შეძახილი გამხნევებს კაცს, სტიმულს გმატებს და ახალ-ახალი აღმშენებლობისკენ გიბიძგებს.

მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტს უფრო მეტი მოთხოვნა აქვს. არ შეიძლება თვითკმაყოფილება დაგვეუფლოს:

— საქართველოს გზები თანამედროვე სტანდარტების დონეზე უნდა გამოიყურებოდეს და კონკურენტუნარიანი უნდა იყოს, — აცხადებს პრეზიდენტი და გჯერა, ასეც იქნება.

ამისთვის კი მხოლოდ სურვილი როდი კმარა.

— საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. ხომ არ ყოფილა თქვენი სამსახურის მიმართ რაიმე პრეტენზიები რომელიმე ქვეყნის სატრანსპორტო კომპანიის მხრივ? — ვეკითხები ბატონ ზურაბ ნეფარიძეს.

— პირიქით. ის კი არა, ჩვენ ადრე გზებზე მოსაცდელებსაც ვაშენებდით, პიგიენურ ადგილებსაც. მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით ვაშენებდით ტურისტებისათვის, მგზავრებისათვის გასაჩერებელ და დასასვენებელ ადგილებს საშხაპეებით, სასტუმროებით. მერე შეწყდა. სულ სამი ავაშენეთ. ერთი ქობულეთშია.

— ახლა თუ გაქვთ გეგმაში ასეთი მშენებლობები?

— ევროკავშირის ეგიდით გერმანელები აპროექტებენ სატრანსპორტო დერეფნის კომპლექსს. ჩვენთან არიან და სწავლობენ მოძრაობის ინტენსივობას. ალბათ, აქ გათვალისწინებული იქნება ბევრი ისეთი ნაგებობა, რომლის გაკეთებაც ჩვენ მოგვიხდება, მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ საპროექტო მოცემულობის სტადიაშია. ალბათ, მომავალი წლის მეორე ნახევრიდან იქნება გარკვეული, ვინ რა უნდა გააკეთოს.

— ბატონო ზურაბ, ქვეყნის პრეზიდენტმა მთავრობის სხდომაზე ხაზგასმით აღნიშნა, ბენზინგასამართი სადგურების სრული ინვენტარიზაცია უნდა მოხდესო.

— უდავოდ მართალი ბრძანდება ბატონი პრეზიდენტი. დღეს საქართველოს გზებზე ისეთი მდგომარეობაა, თქვენს მტერს. ყველა ნაგებობა, რომელიც ტრასაზე შენდება, თუ ის 50 მეტრზე მეტით არ არის მოშორებული, შეთანხმებული უნდა იყოს კონცერნ „საქავტოგზასთან". თვითნებურად ტრასაზე რაიმეს მშენებლობა დაუშვებელია. რაც შეეხება ასე ერთმანეთზე გადაბმულ ბენზინგასამართ სადგურებს, ეს არანორმალურად მიმაჩნია. წინათ, ძველ დროში კანონზომიერება იყო. ამ გასამართ სადგურებსაც „საქავტოგზის" სპეციალური საპროექტო ორგანიზაცია აპროექტებდა. ჩვენვე ვაშენებდით. ახლა ტრადიცია დაირღვა და კერძო ფირმები აშენებენ. კი ბატონო, ააშენონ, მაგრამ ტრასებზე მშენებლობა შეთანხმებული უნდა იყოს „საქავტოგზასთან".

— ბენზინგასამართ სადგურებთან დასასვენებელი, თავისმოსაწესრიგებელი კოტეჯების, პიგიენის სახლების აშენებაზე რა აზრის ბრძანდებით?

— ბატონ ბორის სალარიძეს ვესაუბრე, თერჯოლის რაიონში, სოფელ სიმონეთში, გზიდან მოშორებით რამდენიმე ნაგებობა უპატრონოდ არის მიტოვებული. ჯერ განათლების სამინისტროს ეკუთვნოდა, ახლა აგურის კომბინატის ბალანსზეა. ველაპარაკე მათ და ასეთი პიგიენის სახლების მშენებლობაზე თანხმობა მივიღე. თუ გვინდა, ჩვენი გზები მართლაც კონკურენტუნარიანი იყოს, ეს აუცილებელიც არის. საზღვარგარეთიდან მომავალი მგზავრებისათვის უნდა იყოს კვების ბლოკი, სასტუმრო, ავტოგასამართი, ავტოშემკეთებელი კომპლექსი.

ასეთი ობიექტების არა მარტო აშენება, არამედ დაპროექტებაც ჩვენ უნდა მოგვანდონ. ერთიან კომპლექსში გავაკეთებთ.

* * *

დიდხანს ვესაუბრეთ. ბატონმა ზურაბმა ბევრი რამ გაიხსენა, ზოგზე თვალებაბრწყინებული ლაპარაკობდა, ხანაც — მოიწყენდა.

ცხოვრება ასეა: ერთი ცნობილი გამოთქმისა არ იყოს — „ხან გაცინებს, ხან კი მწარედ გატირებს".

ბატონ ზურაბს კი მართლაც სასიხარულოდ აქვს საქმე: ახლახან ქვეყნის პრეზიდენტმა საქართველოს ენერგეტიკული ნაგებობებისა და საავტომობილო გზების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებაში შეტანილი დიდი წვლილისათვის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

— ძალიან დიდი მადლობელი ვარ ჩემი ძველი და ახალი კოლექტივის, ჩემი შრომა რომ ასე დააფასეს, — ამბობს ბატონი ზურაბ ნეფარიძე, — განსაკუთრებით დიდი მადლობა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს ასეთი მაღალი ჯილდოსათვის.

მახსენდება 70-იანი წლები. სტავროპოლში შენდებოდა თბოელექტროსადგური. საკავშირო მთავრობის ყურადღება იქით იყო მიპყრობილი. „საქჰიდრომშენის" ხელმძღვანელობამ იქ გაგვგზავნა. მთელი კავშირი აშენებდა ამ სადგურს. გაშვებას 5-6 თვე აკლდა და დიდი დაძაბულობა იყო. გაშვების დღე 1 მაისს დაემთხვა. მუდმივად იყო მომაგრებული ხელმძღვანელი მოსკოვიდან. ძალიან შიშობდნენ, გაშვება არ ჩაშლილიყო. ჩამოვიდა საკავშირო ენერგეტიკის მინისტრი, მას მოჰყვა გორბაჩოვი (მაშინდელი პარტიის სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი). ჩამოიარეს, ნახეს და ყველაზე უფრო მეტად ჩვენი უბანი მოეწონათ. ზავრიევმა სახალხოდ აღნიშნა ეს და შეკრებაზე მადლობა გამოგვიცხადა. რა დამავიწყებს იმ ბედნიერ წუთებს.

ახლა ასაკოვანი კაცი ვარ, მაგრამ მაშინდელ მადლობაზე ასჯერ მეტად გამეხარდა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისაგან ღირსების ორდენით დაჯილდოება. თითქოს მხნეობა მომემატა. ასაკს რაღას დავეძებ — თითქოს ისევ გავახალგაზრდავდი.

ვუსმენდი და ვგრძნობდი მისი სიტყვების სიწრფელეს.

საკუთარ თავზე რომ გქონდეს გამოცდილი ეს სიხარული, იქნებ იმიტომ? ვინ იცის!..

ბონდო მქინარაშვილი.



გენადი სელეზნიოვი გულახდილი იყო თავის გამოსვლებში“

თქვა პარლამენტის თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ პრესკონფერენციაზე, როდესაც შეაჯამა შავი ზღვის ქვე- ბის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის მერვე პლენარული სხდომისა და რუსეთის დერაციული საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის, გენადი სელეზნიოვის, რუს პარლამენტ- რთა ოფიციალური ვიზიტის შედეგები.

მან აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ასამბლეაში მონაწილეობდა ყველა წევრი – ახელმწიფო, აქედან ოთხი – პარლამენტის სპიკერის ხელმძღვანელობით, ასევე ბულგარეთის დელეგა- ია. დამკვირვებლის სტატუსი წელს ისრაელისა და ეგვიპტის პარლამენტარებმა მიიღეს. მოსალოდნელია ასამბლეის მუშაობაში ცენტრალური აზიის ქვეყნების ჩართვაც.

რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის წევრებსა და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის გენადი სე- ლეზნიოვის შეხვედრას საპარლამენტო ფრაქციებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლე- ბთან, ბატონმა ზურაბმა თქვა, რომ ამ შეხვედრისას კიდევ ერთხელ დადასტურდა საქართველოს პოზიცია, რო მხარის ურთიერთობა, აიგოს „სტრატეგიული პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემის, ინტერესების გა- თვალისწინების საფუძველზე, თუმცა დღეს ამ მხრივ საკმაოდ კრიტიკული სიტუაციაა შექმნილი. რასაც კი- დევ უფრო ამძაფრებს მრავალი ინციდენტი, რომელიც ხდება ჩვენს საზღვარზე და სამწუხაროდ მასში მონა- წილეობენ რუსეთის მესაზღვრეები, აჭარბებენ რა თავის უფლებამოსილებას“.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კვლავ დომინირებდა აფხაზეთის პრობლემა, რომლის წინ წა- მოწევა ქართულ მხარეს რუსმა პარლამენტარებმა დაასწრეს. მხარეები მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ საკი- თხი უწრაფეს გადაწყვეტას მოითხოვს, რადგანაც ეჭვის ქვეშ დგება „ურთიერთობის მთელი კომპლექსი, სა- მხედრო თანამშრომლობის ჩათვლით“.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ თქვა ისიც, რომ ქართული მხარისათვის მოულოდნელი იყო გენადი სელეზნიო- ვის გამონათქვამი პარლამენტის წინაშე, იმ შეხვედრების ატმოსფეროდან გამომდინარე, რაც მანამდე მათი ურთიერთობისას წარმოიშვა. კერძოდ, „პასაჟი საქართველოში ანტირუსული განწყობის არსებობის შესა- ხებ“.

სიტყვის დასასრულს პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სელეზნიოვის გულახდილი გამო- სვლა და ამგვარივე ხასიათის შეხვედრები კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩენს ორი ქვეყნის პოზიციებს შორის სხვაობას, რაც თავის მხრივ ადასტურებს, რომ ამ ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, სერიო- ზული მუშაობაა საჭირო. სწორედ ამ მიზნით უახლოეს მომავალში გაიმართება ერთობლივი სემინარი რუსეთ – საქართველოს პარლამენტართა მონაწილეობით.

ლელა მჭედლიძე.

ომენტარი

ანა ღოლობერიძე:

რლამენტში მყოფ ოპოზიციურ პარტიებს ერთიანების რეალური შესაძლებლობა არ აქვთ

ქართველოს პარლამენტმა ნიშვნელოვან კანონებზე იმუ- ერთ-ერთი უმთავრესი იყო ცვლილებების პროექტი „საქა- ველოს პარლამენტის რეგლა- ში ცვლილებების შეტანის შე- ბ“. პროექტი გულისხმობს პა- მენტში უმრავლესობისა და რესობის ინსტიტუტების გა- ზღვრასა და ჩამოყალიბებას. აღვნიშნო, რომ რეგლამე- ხსენებული ცვლილებების ის იდეა ახალგაზრდა დე- ტებისგან წამოვიდა და მეც ნია, რომ ეს იქნება გარა- პარლამენტის უფრო მოწე- ბული, ნაყოფიერი საქმი- ისა, – თქვა უმრავლესობის ერმა ლანა ღოლობერიძემ. უმენტზე მუშაობდა დეპუ- ა ჯგუფი და ჩამოყალიბდა, აზრით, საკმაოდ საინტერე- ოდელი, რომელიც გარკვეულ ად უახლოვდება დასავლურ ერატიას და კიდევ ერთი წი- ადგმული ნაბიჯია, ორპარ- ლი სისტემისაკენ, რომელიც დასავლური ტიპის დემოკრატიული მმართველობის დასაყრდენი. გათვალისწინებული გვქონდა დადგენილებით განგვესაზღვრა, ერთის მხრივ, უმრავლესობა და, მეორეს მხრივ, უმცირესობა. ორივე ჯგუფს ეყოლებოდა ლიდერი-სპიკერი, რომელთა შეთანხმების საფუძველზე კამათისა და დისკუსიის შემდეგ მიიღწეოდა საბოლოო გადაწყვეტილება. ამ მოდელს საკმაოდ დიდი წინააღმდეგობები შეხვდა და სავსებით გასაგებია. უარყოფითი რეაქციის მიზეზი: დღეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში მყოფ ოპოზიციურ პარტიებს არ გააჩნიათ გაერთიანების რეალური შესაძლებლობა. ფრაქციებთან მოლაპარაკებების, საერთო განხილვებისა და მსჯელობების შემდეგ პლენარულ სხდომებზე საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა გამოიტანა რეგლამენტში ცვლილებათა შეტანის მეორე პროექტი, რომელშიც ინსტიტუციონალურად არის ჩამოყალიბებული უმრავლესობა, ჩემი აზრით, სასურველი იქნებოდა აქვე განსაზღვრულიყო საპარლამენტო უმცირესობის ინსტიტუტიც.

ამჯერად მიმდინარეობს მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკული რეალიზება. ფრაქციის სხდომაზე განვიხილეთ უმრავლესობის დებულება. ჯერჯერობით საპარლამენტო უმრავლესობაში გაერთიანებულია ორი ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი“ და „იმედი“. მინდა აღვნიშნო, რომ უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები იქნებიან თანასწორუფლებიანნი, ყველა გადაწყვეტილება მიიღება პარიტეტულ საწყისზე, პოზიციათა შეჯერების საფუძველზე.

ვფიქრობ, ეს საინტერესო პროცესი პარლამენტის მუშაობას უფრო რეგულირებულს და ეფექტიანს გახდის. სინანულს გამოვთქვამ იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ოპოზიციის ასეთივე სტრუქტურირება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პრობლემაც მოგვარდება და პარლამენტი მთელი ძალისხმევით განაგრძობს კანონშემოქმედებით საქმიანობას.

ოცე საუკუნის მეკობრეობა

ქართველოს პარლამენტის თავდაცვისა უშიშროების კომიტეტის განცხადება

რთო საზოგადოებისათვის ილია, მიმდინარე წლის 4 მბერს საქართველოს ტე- რიულ წყლებში, კერძოდ, მის ნავსადგურში რუსეთის რაციის სასაზღვრო ჯარე- დააკავეს უკრაინის სატვი- გემი „ალმაზი“, რომლის კუთრე გახლავთ სააქციო გადოება „მოტორსტროი“ რის ნავსადგური სევასტო-). გემი დაფრახტული იყო რთველოს, კერძოდ, ქობუ- ის რაიონის სოფელ ხალის რნეობის მიერ ციტრუსების სატანად. დაკავების შემდეგ თის სასაზღვრო ჯარების მომადგენლებმა გემის ეკი- დააკავეს და რუსეთის ფე- აციის ტერიტორიაზე გაიყ- ს.

მხდარი ფაქტის გამო სა- ველოს პარლამენტის თა- ვისა და უშიშროების კო- ტს თავი მოვალედ მიაჩნია ცხადოს:

ირველს ყოვლისა, აღნი- ლი ფაქტი ჩვენ მხრივ შეი- ა შეფასდეს საერთაშორისო რთლის საყოველთაოდ აღი- ული პრინციპების უხეშ და- ვად და აღიქმება, როგორც ობრეობის, ამასთან არათუ რთველოს სუვერენიტეტის ოფის, არამედ მისი ფეხქვეშ ლეის მცდელობად.

ამშფოთებელია, რომ აღნი- ლი ფაქტი მოხდა იმ პერიო- , როდესაც საქართველო ეთის ურთიერთობა თან- ნ იძენს კონსტრუქციულ, ურ- თგაგებით ხასიათს. ამ ფო- უბრალოდ მიგვაჩნია რუ- ის ფედერაციის სასაზღვრო ის დეპარტამენტის ბოლო- ნდელი ქმედებანი, რომლე- ჩვენი მხრივ შეიძლება შე- ს როგორც საქართველოსა რუსეთის ფედერაციას შორის იერთობების დაძაბვის პრო- რება. არ შეგვიძლია არ აღ- ნოთ, რომ რუსეთის ფედე- ის სასაზღვრო ჯარებს არ ნიათ საქართველოს ტერი- იულ წყლებში მოქმედების და, შესაბამისად, სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა გემების დაკავების სამართლებრივი საფუძველი, მით უმეტეს, ამის შესახებ საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად.

ამასთან, გაკვირვებით მივმართავთ რუსეთის ფედერაციის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს – მოგვაწოდონ ინფორმაცია – ჰქონდათ თუ არა რუს მესაზღვრეებს მიღებული გემის დაკავებისთვის საჭირო ნებართვა საქართველოს ხელისუფლების რომელიმე ორგანოსგან.

ჩვენ არ ვართ წინააღმდეგი სამართალდამრღვევთა დასჯისა, მაგრამ ამისათვის არსებობს საერთაშორისო სამართალსა და ურთიერთობაში დამკვიდრებული პრაქტიკა და შესაბამისი პროცედურები.

საქართველო არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო – საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი და ამდენად, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული წესით, სამართალდამრღვევთა დაკავება შეიძლება მომხდარიყო ყოველგვარი ინციდენტის გარეშე. მაგრამ რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ ჩინოვნიკს ჯერ ისევ მყარად შემორჩა აზროვნების ძველი სტილი, რომელიც საშუალებას არ აძლევს საქართველო აღიქვას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რაც, ბუნებრივია, ჩვენი მხრივ ვერ აღიქმება ნორმალურად.

და, ბოლოს, საქართველოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობა ეფუძნება თანასწორობის პრინციპს; ნებისმიერი მცდელობა ამ პრინციპის უგულებელყოფისა ხელს შეუწყობს მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობათა დაძაბვას მხარეთა შორის.

იმედს ვიტოვებთ, რომ რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები გაგებით მოეკიდებიან ჩვენს განცხადებაში დასმულ საკითხებს და დროულად მოგვცემენ შესაბამის განმარტებებს.

მილი-მეჯლისის დელეგაცია თბილისს ეწვევა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მიიღო აზერბაიჯანის საპარლამენტო დელეგაცია აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის თავმჯდომარის მოადგილის აიაზარ ალიევის ხელმძღვანელობით.

შეხვედრაზე ისაუბრეს საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებულ ტრადიციულად თბილ ურთიერთობებზე, ორი ქვეყნის პარლამენტარების ინტენსიურ კონტაქტებზე. აღინიშნა, რომ მიზანშეწონილია ორი მეზობელი ქვეყნის კანონმდებლობის დაახლოება, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში და ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მილი მეჯლისის დელეგაციის მოსალოდნელი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

მეწარმეები პრესკლუბში

პარლამენტის პრესკლუბში გაიმართა ჟურნალისტებისა და ქართველი მეწარმეების შეხვედრა. მეწარმეებმა ისაუბრეს სფეროში არსებული პრობლემების თაობაზე. მიმოიხილეს საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის ქართული წარმოების შემდგომ განვითარებას.

„გვინდა ქართველმა ჟურნალისტებმა იცოდნენ, რა ხდება დღეს საქართველოს ეკონომიკაში, კონკრეტულად მრეწველობაში“, – განაცხადა შეხვედრაზე პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ბესო ჯუღელმა.

ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ აქვე დაეთვალიერებინათ საქართველოში წარმოებული კონკურენტუნარიანი პროდუქცია. როგორც აღინიშნა, უახლოეს მომავალში თბილისში გაიხსნება სუპერმარკეტი, სადაც მხოლოდ საქართველოში წარმოებული მაღალი ხარისხის პროდუქცია გაიყიდება.

შეხვედრას ესწრებოდა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ცქიტიშვილი.

კომიტეტის თავმჯდომარე

დავით აბაშიძე დაიბადა 1960 წელს თბილისში. 1976 წელს დაამთავრა 61-ე საშუალო სკოლა, 1982 წელს – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1982-1983 წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის უფროსი ლაბორანტია, 1985-1986 წლებში – საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მთავარი ეკონომისტი; 1989-1991 წლებში – ერთ-ერთი განყოფილების გამგის მოადგილე, განყოფილებისა, რომელიც სოციალური საკითხების სფეროსაც მოიცავდა. მომდევნო ორ წელიწადს იყო საქართველოს მთავრობაში ეკონომიკური რეფორმის კომისიის წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი და ეკონომიკის განყოფილების გამგის მოადგილე. 1993 წლიდან მუშაობდა შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურ დირექტორად. 1995 წლიდან პარლამენტის წევრია და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



პროფესიონალიზმი აუცილებელი ფაქტორი

ბატონი დავითი პარლამენტში ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კომიტეტის თავმჯდომარე გახლავთ.

– ბატონო დავით, თქვენი ბიოგრაფიიდან არ ჩანს, როგორ მოხვედით დიდ პოლიტიკაში...

– ჩემი მოსვლა პოლიტიკაში ბატონ ასლან აბაშიძესთან შეხვედრებმა განაპირობა. არაერთხელ გვემსჯელია სოციალურ საკითხებზეც... მან გადაწყვიტა რეკომენდაცია გაეწია და „აღორძინების კავშირის“ სიით მეყარა კენჭი, ასე რომ, პოლიტიკოსობას ვერ დავიბრალებ, გარკვეული აზრით, ბატონი ასლანის სატელიტი ვარ.

– უხერხული თუ არ იქნება, გეტყვით: თქვენი ბიოგრაფიის წაკითხვის შემდეგ კაცი იფიქრებს – სოციალურ საკითხებს გვარიანად უნდა იცნობდეს, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვა?

– ამ დარგისათვის მთლად უცხო არ უნდა ვიყო, თუნდაც იმიტომ, რომ ექიმი მშობლების ოჯახში გავიზარდე... მეეჭვებოდა, შევძლებდი თუ არა მე, ეკონომისტი ასეთი კომიტეტის თავმჯდომარე გავმხდარიყავი. ზურაბ ჟვანიასთან და გიორგი ბარამიძესთან მეგობრულმა საუბარმა დამარწმუნა, რომ, როცა ახალი სამედიცინო სისტემის ჩამოყალიბებაზეა ლაპარაკი, სწორედ ეკონომიკური კონტექსტით უნდა განხორციელდეს თანამედროვე პირობებში სოციალური სფეროს განვითარების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა... პარლამენტმა მხარი დაუჭირა ჩემს კანდიდატურას. ვსარგებლობ მომენტით და მადლობას ვუხდი კოლეგებს.

საქმიანობა როცა დავიწყეთ, უმთავრესად მივაჩნიეთ შეგვემუშავებინა სოციალური განვითარების კონცეფცია, გაგვერკვია საფუძველი. ამაში ძალიან დაგვეხმარა პარლამენტის თავმჯდომარე. მოქალაქეთა კავშირში შემუშავდა სოციალური განვითარების პროექტი, შეიქმნა საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი (ავტორთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა თენგიზ ჯგუშია, ჯგუფში შედიოდნენ ზაზა სოფრომაძე, თამაზ აქუბარდია, სხვანი). კავშირის ფორუმმა განიხილა ეს პროექტი, რომელიც შემდეგ ჩვენს კომიტეტში გადამუშავდა და დაიხვეწა. დღეს ქვეყანას აქვს ასეთი კონცეფცია, აქედან გამომდინარეობს კანონთა ერთობლიობა, შესაბამისი ჩამონათვალი. არსებითია, რომ განისაზღვრა სოციალური მოწყობის მოდელი, სახელმწიფოსა, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სოციალური პარტნიორობის პრინციპი. მას შეესაბამება სამედიცინო, საპენსიო, სოციალური და სხვა დაზღვევების მექანიზმები, რომლებიც სოციალური პოლიტიკის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა თუ შეიქმნება, მე ვფიქრობ, რომ შევასრულე პარლამენტში ჩემი მოვალეობა და სხვა ჩემთვის უფრო შესაფერის საქმეს გამოვნახავ...

– კარგად მოგეხსენებათ, საპარლამენტო კომიტეტის ძირითად მოვალეობად საკანონმდებლო საქმიანობა მიიჩნევა, პრაქტიკულად კომიტეტები ვერ ახერხებენ კანონპროექტების შემუშავებისა და შეტანისათვის მონიშნული ვადების დაცვას, რასაც „გეგმიური გარღვევა“ შეერქვა. თქვენთან რა ამბავია?

– მე მგონია, გეგმის გადაჭარბებით მივდივართ. გათვალისწინებულზე ორჯერ, თუ სამჯერ მეტი საკითხი გავიტანეთ, სოციალური განვითარების კონცეფციაზე უკვე გითხარით; გავიდა კანონები „საარსებო მინიმუმის შესახებ“, „სამედიცინო დაზღვევის“, „შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებების შეტანის“, „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის“, „პროფკავშირების“; შევუერთდით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციებს; განსახილველად მზად არის კანონები „სოციალური დაზღვევისა“ და „დასაქმების შესახებ“ – მათი განხილვა ვერ მოესწრო არა ჩვენი მიზეზით... ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნამუშევარი ერთი წლიდან – ნახევარი კონცეფციას მოვანდომეთ. გაიმართა ათეულობით კომიტეტის სხდომა, მიძღვნილი საჭირბოროტო საკითხებისადმი: ბავშვთა გაშვილებისა, ვეტერანებისა, სამედიცინო, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური, ნარკომანიული და სხვა.

დაგეგმილი გვაქვს ერთობლივი ღონისძიება განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტთან სამედიცინო განათლების საკითხებზე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტთან წვევამდელთა ჯანმრთელობისა და არმიაში სამედიცინო მდგომარეობის საკითხებზე. გაიმართა რამდენიმე გაფართოებული სხდომა – ერთობლივი საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან სოციალური ბიუჯეტის შესრულების თაობაზე, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყების კოლეგიების მონაწილეობითა და სხვა. ახლა თვითონ განსაჯეთ, გვაქვს თუ არა „გარღვევა“. პირდაპირ ვიტყვი – ჩვენი კომიტეტის საქმიანობას გეგმიდან ჩამორჩენილს ვერ უწოდებს კაცი...

– თქვენს კოლეგებთან, მონათესავე კომიტეტებთან თუ დაამყარეთ რაიმე კონტაქტები იმ ქვეყნების პარლამენტებში, რომლებსაც „ახლო საზღვარგარეთს“ ვეძახით (რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი)?

– ფართო კონტაქტები ჯერჯერობით არა გვაქვს და ეს დასანანია. აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის კომიტეტის თავმჯდომარე – კოლეგა ჩამობრძანდა და მას შევხვდით – ეს იყო და ეს.

– კომიტეტებში, როგორც ცნობილია, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები შედიან და იქმნება მათ შორის კონფრონტაციის საფრთხე, ყველა თავისი პარტიული ინტერესის დაცვას ლამობს. თქვენთან?

– არ ვიცი, როგორ არის სხვაგან, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ პარტიული ინტერესების გადალახვას, პარლამენტი უმაღლესი პოლიტიკური ორგანოა, სადაც შეუძლებელია გაექცე შენს საქმიანობაზე პარტიული ინტერესების გავლენას. კომიტეტში კი, მგონია, შევძელით ამის გაკეთება და არანაირი შეურიგებელი წინააღმდეგობა არა გვაქვს. პირიქით, ჩვენი კომიტეტის წევრებს ახასიათებთ ურთიერთკეთილგანწყობილება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა და ეს კარგ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ წინ პროფესიონალიზმის ფაქტორი წამოვწიოთ და არა პარტიულობისა; რა თქმა უნდა, მუშაობაში პარტიულ ინტერესებსაც ვითვალისწინებთ, მაგრამ ეს თვითმიზანი არ ყოფილა და არც იქნება.

– კერძო აფთიაქები, თუ გნებავთ, აფთიაქ-ჯიხურები უსაშველოდ მოგვიმრავლდა, (როგორც ბევრი სხვა რამეც). მედიკამენტები, სხვა სამკურნალო საშუალებები მაინც ძალიან ძვირია, კონკურენციის დროს ფასდაცემის პრინციპი ვერ მოქმედებს...

– კანონი წამლის შესახებ სერიოზულად ამკაცრებს მოთხოვნებს აფთიაქების მიმართ; ეს, რასაკვირველია, მტკივნეულ პროცესებს გამოიწვევს მათ მფლობელთა შორის; რას იზამ, ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ წამალი არის სპეციფიკური საქონელი, რომლის მომხმარებელსაც ხარისხის კონტროლის საშუალება არ გააჩნია, განსხვავებით, ვთქვათ, ტანსაცმლისაგან (პალტოს შეხედავ და „დაადგენ“, ვარგა თუ არა...); ამიტომაც სახელმწიფო იძულებული ხდება ხარისხის კონტროლი რეალიზატორს დააკისროს.

წამლის ვარგისიანობა შენახვის პირობებზეა დამოკიდებული: როგორც ნებავთ, ისე გაიგონ, მაგრამ ჩვენი პოზიცია ერთმნიშვნელოვანი და პრინციპულია: რომ ბაზარში, ქუჩაში და ღია დახლიდან წამალი არ უნდა იყიდებოდეს, გინდ ნესტიან სარდაფებში, საერთოდ, და, ანტისანიტარიის პირობებში; ჩვენი აზრით, ამ პოზიციას დიდი მხარდაჭერა დასჭირდება, რომ არ იქცეს მორიგ უშედეგო კომპანიად.

მომავალი წლის ბიუჯეტში [illegible] საკითხი და დადებითად გადაჭრის იმედიც მაქვს, რომ სამედიცინო პროდუქცია, პირველ რიგში, წამლები შეღავათიანად დაიბეგროს. რაც თავისთავად ფასებზეც იმოქმედებს. ვფიქრობ, საერთოდ, შეიძლება აღვნიშნოთ წამალმომარაგების მხრივ რაღაც დადებითი ტენდენციები.

– აფთიაქების სიჭარბეზე ვთქვით – არაუმაღლესი და უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების ლაშქარი? როგორ შეესაბამება მათი სიმრავლე სამედიცინო რეფორმის მოთხოვნილებას?

– ჩემი აზრით, შემოსეული სამედიცინო და სხვა სასწავლებლები რეფორმას კი არ პასუხობს, ერთენულ უბედურებად გვექცევა. ყველამ მშვენივრად იცის, რომ მათ უმეტესობას უაღრესად მწირი მატერიალური და კლინიკური ბაზა აქვს, ან სულაც არაფერი გააჩნია. ეს თავისთავად განაპირობებს სპეციალისტთა მომზადების დაბალ დონეს. დღეისათვის სამედიცინო კადრების, ჩემთვის დიდად საპატივცემულო სამედიცინო საზოგადოების წევრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს მათ რიცხვს, ვინც რეალურად შეიძლება დასაქმდეს ამ სფეროში. სწორედ ესაა სამედიცინო რეფორმის პირველი შემაფერხებელი ფაქტორი. უბედურება ისიც არის, რომ ეს ტენდენცია გრძელდება, რასაც კომერციული სამედიცინო სასწავლებლები უწყობს ხელს. მთელი პასუხისმგებლობით ვუცხადებთ იმათ, ვინც აპირებს სწავლის გაგრძელებას ასეთ სკოლებში, რომ მომავალი პროფესიული საქმიანობა, თუ უბრალო დასაქმება, ერთობ საეჭვოა. ეს სხობს ახლავე იცოდეს ხალხმა. მეტსაც ვიტყვი – ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რომ კომერციული სამედიცინო სასწავლებლების შეკვეცა სახელმწიფო მიდგომად იქცეს.

– ბატონო დავით, უთუოდ თქვენც არ გელევათ აკვიატებული იდეებით „აყვანილი“ მომსვლელნი, ისინი, ვისაც ხელთ აქვს კიბოს წამალი, ვინც არჩენს შიდსს, ვისაც ამოჰყავს თმები, ეგებ სულაც მკვდარს აცოცხლებს... როგორ ურთიერთობთ ასეთ ხალხთან?

– თუკი დღეს ვინმეს ხელეწიფება სხვათა პრობლემების გადაწყვეტა, სწორედ ასეთ ადამიანს მართებს უაღრესი სიფაქიზე და გულისხმიერება; საკვირველია, ჩვენც გვაქვს საკმაოდ ხშირი ურთიერთობა ასეთ პირებთან, მაქსიმალურად ვცდილობთ ახლოს მივიტანოთ გულთან მათი ნააზრევი, მათი საწუხარი, ზოგჯერ გამოგვდის, ზოგჯერ არა... ამასთანავე, მათ საყურადღებოდ გავიხსენებ: ედისონს უთხრეს თურმე – ბედი გიღიმისო; უპასუხია ეს ოხერი ბედი მაშინ მიღიმის, როცა 70 ათას ცდას ჩავატარებო... ჩერჩილს დღეში ასამდე იდეა მოსდიოდა თავში, კვირაში, მისივე აღიარებით, მხოლოდ ერთი გამოდგებოდა ხოლმე ღირებული...

მე მივმართავ იმ ადამიანებს, რომლებმაც „არ იციან, იდეებს რა უყონ“ – გულს ნუ გაიტეხენ და იმ მომენტს დაელოდონ, როცა შესაფერისი პირობები დაუდგებათ იდეის განხორციელებისათვის.

ესაუბრა
თამაზ ებანოიძე.

ქვეკომიტეტის თავმჯდომარე

თამაზ თხელიძე – პარლამენტის წევრი. აგრომომსახურებისა და სურსათის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი დეპუტატი ქარელის რაიონიდან, 28 დასახელებული დეპუტატობის კანდიდატიდან პირველ ტურშივე გამარჯვებული. მიიღო ხმათა რაოდენობის 47 პროცენტი.

დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ თამარაშენში. პროფესიით ისტორიკოს-ფილოლოგი, ეკონომისტი, ცოლშვილიანი. მუშაობდა თითქმის ყველა პარტიულ, სამეურნეო ორგანიზაციებში. პარლამენტის წევრობამდე იყო საქართველოს შაქრის კომბინატის გენერალური დირექტორი – საქართველოში ყველაზე მძიმე, ქარტეხილებით აღსავსე პერიოდში. ამ ურთულეს წლებში ქარხნის შრომითმა კოლექტივმა შეძლო მთლიანად შეენარჩუნებინა საწარმოს სახე. ქარხანა ყოველწლიურად მუშაობდა, რა თქმა უნდა იმ მოცულობით არა, მაგრამ მაინც.

სადაც არჩევანია — მუდამ მიმართლებს

ჩვენი საუბარიც სწორედ აქედან დაიწყო: – ყველაზე მეტად ნედლეულის შემოტანა გვიჭირდა. ადგილობრივ შაქრის ჭარხალს ვაწარმოებდით, მაგრამ მცირედ. სოციალური თვალსაზრისით ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რომ შეგვენარჩუნებინა ყველა თანამშრომელი. კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ, იმ უძველეს ხანაში საწარმოს რეკონსტრუქციაც კი წამოვიწყეთ, რაც ნაწილობრივ კიდეც განვახორციელეთ. ამაში დიდი წვლილი, რაღა თქმა უნდა, თვითონ კოლექტივს, მუშა-მოსამსახურეებს მიუძღვით. კომბინატი განადგურებას ჩვენ ერთად გადავარჩინეთ.

სტატისტიკა – 1989 წელი აგარის შაქრის კომბინატმა 2 მლნ 700 ათასი მანეთი ზარალით დაამთავრა, ამ დროისათვის მას უკვე წინა წლების 11 მლნ მანეთამდე დავალიანებაც ჰქონდა. 1990 წელს კი, მისი დირექტორობის პირველსავე წელს, მთლიანად დაიფარა სახელმწიფოს ვალები და იქიდან მოყოლებული კომბინატმა საკუთარი თანხით დაიწყო მუშაობა.

– შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად გადავწყვიტე ყოველი სეზონის ბოლოს მუშებისათვის თითო ტომარა შაქარი მიმეცა. ამან მათი დაინტერესება და საქმისადმი კეთილსინდისიერი მოპყრობა გაათმაგა. ხელფასი თუ სხვაგან 1000000-1500000 კუპონი იყო, ჩვენ მაშინ 20-30 მილიონ კუპონს ვიძლეოდით. გარდა ამისა, ვეხმარებოდით რაიონის თითქმის ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციას, სკოლებს.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონებმა გლეხისა და ფერმერის მიწასთან ურთიერთობა უნდა მოაწესრიგოს. აგრომომსახურება ერთადერთი დარგია, რომელიც იმ გაჭირვების ჟამს არ გაჩერებულა. პირიქით, გლეხის დაინტერესება მიწის მიმართ უფრო და უფრო მატულობს.

დეპუტატს აუცილებლად მიაჩნია, მხარი დაუჭიროს აგრარულ საკითხებში სწორ პოლიტიკას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის განმტკიცებისათვის.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი კანონია მისაღები პარლამენტში, რომელიც საბოლოოდ მოაწესრიგებს ფერმერების, მეწარმეებისა და მიწასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ფიქრობს და რეალობად ესახება ის დღე, როცა ქართველი თავად შესძლებს საკუთარი თავის დაკმაყოფილებას სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტებით. თუკი ჩვენ შევძლებთ და ავითვისებთ 250 ათას ჰექტარ მიწას, მაშინ გვექნება საკუთარი პურიც.

პრობლემების გადაწყვეტის ძირითად გზად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება მიაჩნია.

ერთი სიტყვით, დეპუტატს რეალური შედეგების მიღწევების დიდი იმედიც აქვს.

* * *

რაიონში უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი, უფრო მეტად კი სოციალური.

ქარელში ორშაბათი დეპუტატთან შეხვედრის დღეა – მძიმე, დატვირთული, მაგრამ საქმიანი დღე.

ამომრჩეველთაგან მას თითქოს აგარის შაქრის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა სოციალური საკითხები უნდა მიჰქონდეს გულთან სხვაზე მეტად, მაგრამ... ზოგ სოფელში გზაა შესაკეთებელი, ზოგან ტრანსპორტის საკითხია გადასაწყვეტი, არც უსამართლოდ უნდა დაიჩაგროს ვინმე... ყველას უნდა მოუსმინოს, მათი ტკივილი გაითავისოს.

დეპუტატის მუშაობის ქვაკუთხედი მრავალწახნაგოვანია, რთული, ეკლიანი, მაგრამ საპატიო.

ლია ჭიღლაძე.

ინფორმაცია

მეგობრები საფრანგეთიდან

პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ჟან კლოდ ეტიენი თანმხლებ პირებთან ერთად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ჟან კლოდ ეტიენს მიულოცა თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. ისაუბრეს ორმხრივი თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივებზე. ბატონმა ჟან კლოდ ეტიენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის ქვედა პალატის საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრები დიდ დაინტერესებას იჩენენ კონტაქტების გაფართოებაში და სასურველი იქნება თუ უახლოეს ხანში გამოიკვეთება კონკრეტული წინადადებები და საქმიანობის სფეროები.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დადებითად შეაფასა საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი საფრანგეთში, შეხვედრები საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის თავმჯდომარესთან ფილიპ სეგენთან და სენატის თავმჯდომარესთან რენე მონორისთან, აღნიშნა, რომ საფრანგეთი საქართველოსთვის მეტად ფასეულ მაგალითს წარმოადგენს ახალი დემოკრატიის ჩამოყალიბების გზაზე.

ბატონმა ჟან კლოდ ეტიენმა ხაზგასმით გამოჰყო საქართველოს პრეზიდენტის ბატონ ედუარდ შევარდნაძის საფრანგეთში დაგეგმილი ვიზიტის მნიშვნელობა, რომელიც თებერვალშია დაგეგმილი და აღნიშნა, რომ ამ ვიზიტისათვის საგანგებოდ ემზადებიან საფრანგეთის სენატში, სადაც უშუალოდ ბატონ ფილიპ სეგენის მონდომებით გამოიყო დარბაზი ლადო გუდიაშვილის ნამუშევართა გამოსაფენად.

ურთიერთ განვითარების პერსპექტივებზე

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესი, ფინანსური სტაბილიზაციის პერსპექტივები, ურთიერთობები ცნობილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რეფორმების მიმდინარეობასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის გზები, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისათვის მყარი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების საშუალებები – წარმოადგენს საკითხთა იმ ნუსხას, რომელიც განიხილეს ბულგარეთის ეროვნული კრების თავმჯდომარესთან ბლაგოევსტ სენდოვთან შეხვედრაზე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მონაცემებით, საქართველო, ეკონომიკური რეფორმების მიმდინარეობის თვალსაზრისით, ინარჩუნებს ლიდერი ქვეყნის რეპუტაციას ყოფილ სსრკ-ს სივრცეში. ისაუბრა საქართველოს მოქალაქეთა კავშირის, როგორც მმართველი პარტიის შექმნის ისტორიასა და მიზნებზე, მის სტრუქტურაზე და პრინციპებზე. როგორც ბულგარეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ ბლაგოევსტ სენდოვმა აღნიშნა, ბულგარეთის პარლამენტში ახლა მიმდინარეობს აქტიური საუბრები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ, დიდი სირთულეები ახლავს ლიბერალური საკრედიტო პოლიტიკის გატარებას. მისი თქმით, პარლამენტის უმრავლესობას სოციალისტური პარტიის წევრები შეადგენენ, თვითონ თავმჯდომარე არ არის არცერთი პარტიის წევრი, მაგრამ პარლამენტში აირჩიეს სოციალისტური პარტიის სიით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დაინტერესდა ბულგარეთის ინტეგრაციით ევროპულ სტრუქტურებში, ვრცლად ისაუბრა ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე პროექტის ცენტრალური აზია – კავკასია-ევროპის სატრანსპორტო დერეფნის – ტრასეკას განხორციელების მნიშვნელობაზე, მის როლზე შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში.

გვერდი მოამზადა
რუსუდან ლორთქიფანიძემ.

სიტყვით-მკვლელობა

(დასასრული)

კაკუბავასთან ამ დიალოგმა „პირისპირით" დამაინტერესა და ტელეეკრანიდან გაზეთის ფურცლებზე გადასულ ამ გადაცემის სხვა ნომრებსაც ჩავხედე და ერთ რამეზე მეტკინა გული – ჭეშმარიტების ძიების პათოსი, რომელიც თავდაპირველად მეტნაკლებად ახასიათებდა ამ გადაცემას, ახლა სინამდვილის ცალმხრივი ასახვის პათოსმა შეცვალა. მე მესმის, რა ძნელია, როცა შენთვის და მაყურებლისთვისაც საინტერესო გადაცემას ეკრანიდან გიხსნიან, როცა მოქმედი და იდეებით სავსე პიროვნება ძალაუნებურად ჩრდილში დგები... მაგრამ მაინც...

როდესაც გაზეთი „შანსი პლუს" თავის პუბლიკაციებში რესპუბლიკის პრეზიდენტის მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს განიხილავს და სხვადასხვა შეფასებას აძლევს მას, ჩემთვის ეს გასაგებია და მისაღები, რადგან აზრთა და შეფასებათა სხვადასხვაობის გარეშე, საზოგადოება არ ვითარდება, მაგრამ როდესაც „პირისპირში" წამყვანი ცდილობს მხოლოდ უარყოფითი კუთხით წარმოაჩენინოს თანამოსაუბრეს პრეზიდენტის მოღვაწეობა, ამას ობიექტურობასთან და თავად გაზეთის „შანსი პლუს" პოზიციასთან საერთო არაფერი აქვს. ხდება მიზანმიმართული პროვოცირება თანამოსაუბრისა, მისთვის სასურველი პასუხის მიწოდება... ოღონდაც პრეზიდენტის აუგი წამოაცდენინონ...

ერთი მაგალითი: დიალოგი ყოფილ ვიცე-პრემიერთან ავთანდილ მარგიანთან, სადაც წამყვანი დაჟინებით ცდილობს ავთანდილ მარგიანს „რაიმე" ათქმევინოს პრეზიდენტზე, ხან აქედან უვლის და ხან იქიდან. დააკვირდით კითხვებს და თავად განსაჯეთ: „ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი უფრო მაღლიდან მოდის, ანუ ხომ არ უშვებთ, რომ ეს პრეზიდენტის მიერაა, ასე ვთქვათ, ვიზირებულია?" „არავითარ შემთხვევაში," – უპასუხებს მარგიანი. იქვე [illegible]ლოგიური შეკითხვა: „და [illegible]ნ გგონიათ, რომ თქვენ [illegible] შევარდნაძემ არ ჩამო[illegible]ცილათ?!" – „არა." – კვლავ უპასუხებს მარგიანი. „კი მაგრამ..." ახლა სხვა მხრიდან უტრიალებს წამყვანი – „კი, მაგრამ, არჩევნებში თქვენმა ბლოკმა „პროგრესმა" კრახი განიცადა და ეს რა, შევარდნაძის გარეშე მოხდა? (რა შუაშია აქ შევარდნაძე? – კ.ი.) შევარდნაძეს რომ თქვენთვის მხარი დაეჭირა, თქვენც ისევე გაიმარჯვებდით არჩევნებში, როგორც გაიმარჯვა მოქალაქეთა კავშირმა, მაგრამ თქვენს ბლოკს მხარი არ დაუჭირა, თქვენ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ?"

წამყვანმა ამ კითხვით მარგიანი ვერ წამოიკიდა, იგი არაორაზროვნად უპასუხებს: – „არჩევნებში ჩვენ არ დავმარცხებულვართ. ჩვენი ბლოკის უმთავრესი მიზანი შევარდნაძისათვის მხარდაჭერა იყო და რაკი შევარდნაძე ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, ჩვენ ვთვლით, რომ გავიმარჯვეთ".

თითქოს ნათელი პასუხია, მაგრამ წამყვანი ახლა სხვა კუთხიდან უტრიალებს მოსაუბრეს... „თქვენ რა, გინდათ დამაჯეროთ, რომ ეს ყველაფერი შევარდნაძის გარეშე ხდება?"

მარგიანი: – „არჩევნებში, მე გითხარით, გამარჯვებად ვთვლი იმას, რომ შევარდნაძემ გაიმარჯვა"...

კვარაცხელია: – „ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ ფალსიფიკაცია მოხდა?" (რაკიდა „პროგრესმა" არ გაიმარჯვა. არადა როგორ უნდა გაემარჯვენა არჩევნებამდე ორი-სამი თვით ადრე შეკოწიწებულ პარტიას! თანაც სიტყვა „ფალსიფიკაცია" მარგიანს არ უხსენებია. კ.ი.).

მარგიანი (ისევ, უკვე მერამდენედ, თითქოს გაღიზიანებული ასე ერთი და იმავეს მტკიცების აუცილებლობით). – „მთავარია, რომ შევარდნაძე პრეზიდენტია. ესე იგი, საქართველო დემოკრატიის გზიდან არ გადაუხვევს, მორჩა და გათავდა" და რომ საბოლოოდ წერტილი დაუსვას ამ მიზანმიმართულ, დაჟინებულ კითხვებს, ცხადად ამბობს: „ისე ერთი დიდი შეცდომა კი დავუშვით შევარდნაძის მომხრეებმა. ყველამ ლიდერობა მოვინდომეთ (ქართულმა ხასიათმა იჩინა თავი). მარგიანს – ერთი ბლოკი, გოგუაძეს – მეორე ბლოკი, რჩეულიშვილს – მესამე, გულუას – მეოთხე, ნადარეიშვილს – მეხუთე, კვარაცხელიამ საერთოდ უარი თქვა არჩევნებზე"...

ამ პასუხით თითქოს უნდა დამთავრდეს შევარდნაძის თემა, მაგრამ წამყვანი უკვე პირდაპირ აყენებს – კითხვა-მოთხოვნას: – „ახლა კურსის შეცვლაზე კი არა, ომიც რომ წააგო, და პოლიტიკაც რომ წააგო იმ ხელისუფლების შეცვლაზე უნდა ელაპარაკობდეთ, მაგრამ ასე არ ხდება". რატომ, განა „პირისპირ" ძირითადად ამ თემას არ ავითარებს? მაგრამ სხვა აზრიც არსებობს ქვეყანაში და იმასაც ანგარიში უნდა გავუწიოთ, თუნდაც იმავე ავთანდილ მარგიანის აზრს. „ყველაფერი ერთი კაცის ზურგზე რომ გადავტეხოთ, არც ეს იქნება სამართლიანი. სხვათა შორის, ბევრ შეცდომას შევარდნაძე იმთავითვე ხედავდა, მაგრამ ყველაფერს თვითონ ვერ წყვეტდა და, ამიტომ, ამ შეცდომათა თავიდან აცილებაც ვერ შესძლო"... „რაც შეეხება ხელისუფლების შეცვლას, ეს ახლა დაუშვებელია. შევარდნაძეზე მეტის გაკეთებას ვერავინ შეძლებს. მისმა წასვლამ კი შეიძლება მართლაც გამოუსწორებელი ზიანი მოგვიტანოს".

მარგიანს თუ ვერაფერი აუგი ათქმევინა პრეზიდენტზე „პირისპირის" წამყვანმა, სამაგიეროდ სხვები მას ამ საქმეში მზადყოფნით პარტნიორობენ (აქ მხოლოდ ერთადერთი კაცის, აბონ ციციაშვილის არ მიკვირს, რადგან მას არც რეიგანი მოსწონდა თავის დროზე და, ბუნებრივია, ახლა არც შევარდნაძე მოეწონება, რა თქმა უნდა). ერთი კია, ხშირად ისინი კონკრეტულ პიროვნებასთან ერთად ზოგადად ხელისუფლებასაც სწამებენ ცილს.

მაგალითისთვის მოვიხმობ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გურამ მუჩაიძის ბრალდებებს: „ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების კურსმა საქართველოს დამოუკიდებლობა დააკარგვინა"...

„პარლამენტის არჩევნებში ფალსიფიცირების გზით მემარცხენე ძალები პარლამენტს გარეთ დარჩნენ"...

„ცრუ"-ს (ეტყობა, მუჩაიძე გულისხმობს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, რომლის აბრევიატურაც რუსულად ЦРУ-დ იკითხება) აგენტებმა უკვე შეაღწიეს თითქმის ყველა უწყებაში და თვით ხელისუფლებაშიც"...

ბოლოს, ყველაფერი, რა თქმა უნდა, შევარდნაძესთან მიდის და ვინმეს რაიმე რომ არ შეეშალოს, კვარაცხელია თავისი კითხვით აზუსტებინებს მუჩაიძეს ჩვენს სამომავლო არჩევანს:

– „ახლა რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ხელს უშლის შევარდნაძის ფაქტორი?

– მე თავის დროზე პარლამენტშიც კი დავაყენე საკითხი. ამგვარად – ან საქართველო, ან შევარდნაძე-მეთქი. რა თქმა უნდა, უშლის, ძალიან უშლის".

მოკლედ, არჩევანს აღარ გვიტოვებენ.

კაკუბავას მტკიცებით, შევარდნაძე „რუსეთის ემისარია", მუჩაიძის მტკიცებით – „ეკედლება ამერიკას". ძალზე იოლი გამოსათვლელია აქ ყველაფერი. მიზანმიმართულად მიმდინარეობს გაჭირვებული მოსახლეობის შესაბამისი ნაწილის ფსიქოლოგიური დამუშავება: პრეზიდენტი ყველა შემთხვევაში „სხვისი კაცია" და არა საქართველოსი.

მართალია, მუჩაიძე იქვე ბრძანებს, რომ „აგენტებმა ყოველთვის როდი იციან, თუ რას აკეთებენ. ხშირად ისინი ბრმა იარაღის როლში არიან". მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველამ ყველაფერი შესანიშნავად იცის.

* * *

დღეს არ ხდება არაფერი ისეთი, რაც არ მომხდარა ადრე. საქართველოს ისტორიული ბედი ის არის, რომ ადრეც და ახლაც დიდი სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესთა გზაჯვარედინზე არსებობდა. და სწორედ მათი ინტერესებით ბალანსირებამ და საკუთარ ინტერესთა ერთგულებამ გადაარჩინა იგი.

... საქართველოს მეფეებსა თუ მმართველებს მუდამ უხდებოდათ ამ ინტერესთა ზღვარზე დგომა და ბალანსირება და მაშინ, როდესაც უკანმოუხედავად ექცეოდნენ რომელიმე ერთი ქვეყნის ფარვატერში, სწორედ იქ განიცდიდნენ ხოლმე ყველაზე დიდ მარცხს.

ყველაზე დიდი პოლიტიკოსი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რომელმაც ბრწყინვალედ გამოიყენა დიდი სახელმწიფოების ინტერესთა დაპირისპირება, დავით აღმაშენებელი გახლდათ, რომელსაც ალბათ თავის დროზე, არა გაზეთში, არა ხმამაღლა, არამედ თუნდაც ძილში, ზოგი ვის ინტერესთა დამცველად თვლიდა და ზოგი ვის ინტერესთა.

არადა დავით აღმაშენებელი მხოლოდ საქართველოს, მსოფლიოს გზაჯვარედინზე დაბადებული ქვეყნის ინტერესებს იცავდა და მეტი არაფერი.

ასე რომ, აქ ახალი არაფერია.

* * *

ზემოთ ვთქვი, იქ, სადაც დაუცველია ქვეყნის პრეზიდენტის ღირსება, დაუცველია ყოველი ჩვენგანის ღირსებაც. ისე ყველაფერი კარგი აგიხლეთ, როგორც ეს სიტყვები ახლა. წერილი დამთავრებული მქონდა, როცა ხელთ ჩამივარდა გაზეთი „ალია" (30. XI-1. XII. 96) და ქეთი ხატიაშვილის წერილი შემაშფოთებელი სათაურით „აჭარა პროვოკაციების გზით საქართველოს დაქუცმაცებას აკანონებს". პირველ გვერდზე იწყება ეს წერილი და მეორეზეც გადადის და ეს შავი, მეთაური ასოებით დაბეჭდილი სათაური იქაც მეორდება. გული გადაუქანდება კაცს.

თავად წერილშიც არანაკლები წერია: „აჭარა საქართველოს აქუცმაცებს და პრაქტიკულად რუსეთის სპეცსამსახურების დავალებას ასრულებს"...

... „ასლან აბაშიძე პრინციპულად იცავს რუსეთის ინტერესებს"...

... „ის (მოსკოვი – კ.ი.) კარტების არევას ცდილობს და პროვოცირებას ასლან აბაშიძის უშუალო დახმარებით ახდენს. ეს უკანასკნელი კი შანტაჟის გზებს მიმართავს".

რა ხდება?

ნუთუ არ შეიძლება ნებისმიერი პრობლემის გაანალიზება ცილისწამებისა და ლანძღვა-გინების გარეშე? სწორედ ამ ლანძღვა-გინებას და ცილისწამებას ხომ უკანა პლანზე გადააქვს თავად პრობლემა? რა არის ეს? უვიცობა, უზრდელობა თუ სხვათა დავალებით ეჭვისა და კონფლიქტის შეგნებული გაღვივება და ბოროტი პროვოკაცია?

თუმცა ეს უკვე ჩემი საკვლევი არ გახლავთ და ამას აღარ შეველის წერილის ბოლოს მიწებებული ლელის ფოთოლი: „ვიმედოვნებთ, აჭარა საქართველოს დაშლის მიზეზი არ გახდება".

საჭიროა ყველაფრის გარკვევა და ყველაფრისა და ყველასთვის სახელის დარქმევა, რადგან უკვე იქამდე მივედით, როდესაც სიტყვა ანგარიშსწორების, მკვლელობის, ტერორის იარაღად გამოიყენება.

* * *

სხვათა შორის, სიტყვითმკვლელობა ქართულ სინამდვილეში მარტო ჩვენი დროის მოვლენა რომ არ არის, სულხან-საბას იგავ-არაკიდანაც ჩანს – „სიტყვით დაკოდილი". მაგრამ დღევანდელმა შესაძლებლობებმა სიტყვა მართლა სასტიკი ანგარიშსწორების იარაღად აქცია და თუ ეს ყოველივე არ შეჩერდა, ჩვენს ქვეყანასა და საზოგადოებაში დამანგრეველ პროცესებს განავითარებს.

* * *

სიტყვითმკვლელობა ხშირად წინ უძღვის ტყვიითმკვლელობას.

მაგალითი ჩვენი ისტორიიდან: ილია ჭავჭავაძის მკვლელობა სიტყვიერად საფუძვლიანად იყო მომზადებული და სწორედ ამიტომ ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს გაეხარდა კიდეც ეს ტრაგიკული და სამარცხვინო აქტი საქართველოს ისტორიისა.

მაგალითი მსოფლიო ისტორიიდან: ჯონ კენედის მოკვლას წინ შესაბამისი სიტყვითმკვლელობა უძღოდა.

მაგალითი ჩვენი დღეებიდან: ოცდაცხრა აგვისტოს პრეზიდენტის აფეთქებისა და მოკვლის მცდელობას პარლამენტსა და პრესაში წინ უძღოდა უპრეცედენტო სერიალი ამ ტერორისტული აქტის სიტყვიერი მომზადებისა, სახელმწიფოს მეთაურის მიზანმიმართული ლანძღვა-გინება.

ყველაფერი ითქმოდა იმისათვის, რომ გამართლებული ყოფილიყო ის ყოველივე, რაც მოხდა.

როდესაც კაცს ჯერ სიტყვით კლავ, შემდეგ მისი ტყვიით მოკვლა ბევრად ადვილია.

ვინ აკეთებდა ამას და რისთვის, ნებსით თუ უნებლიედ, იყო ეს დავალებით თუ შეუგნებლად, დროთა ვითარებაში ალბათ გაირკვევა.

* * *

სად არის ამ სიტყვითტერორიზმებისა და ენაგაგდებულობის საწყისი და საფუძველი?

იმ საზოგადოებრივ თავაშვებულობაში, რომელიც მარტო საბჭოთა სინამდვილიდან არ მოდის. საბჭოეთში დიახ მხოლოდ სახელმწიფოს შეეძლო ყოველგვარი მტკიცების გარეშე დაედანაშაულებინა ადამიანი და ფიზიკურად თუ მორალურად მოესპო. ეს მიდგომა ჩვენმა ზოგმა „ეროვნულმა მოღვაწემ" თუ პარტიამ ორგანულად შეითვისა და შანტაჟის ხერხად გამოიყენა. ახლა უკვე არა სახელმწიფო, არამედ ყოველი მათგანი თავად იქცა მოსამართლედ, ბრალმდებლად, ჯალათად. ეს იყო საზოგადოებრივი შანტაჟის მეტად ძლიერი საშუალება. გახსოვთ მუქარები: „მოღალატედ გამოვაცხადებთ?" რატომ, რა უფლებით, რის საფუძველზე? რატომ თვითონ არ იყო მოღალატე, სუკის აგენტი და პროვოკატორი ამ სიტყვების ავტორი?

დრომ ადამიანები გაათავისუფლა იურიდიული თუ მორალური პასუხისმგებლობისგან და საკუთარ წესიერებასა და სინდისს შეატოვა. თუ ჰქონდა კაცს, რა თქმა უნდა, ერთი ან მეორე.

თუ მიტინგომანიასთან ერთად ქუჩაში აღარ ისმის ეს ყოველივე, ჩვენს უამრავ გაზეთში, უმწიფარი თუ გამოცდილი სიტყვითმწერალნი და დეპუტატები თუ დეპუტატყოფილნი ერთმანეთს ეჯიბრებიან სიტყვით ანგარიშსწორებასა და სხვათა დაკვეთებით სიტყვითმკვლელობაში.

არ არის ქმედითი კანონი, რომელიც ადამიანსა და ქვეყანას დაიცავს სიტყვითმკვლელთაგან და ქვეყანაში ისევ შხამიან ყვავილად იშლება „მრგვალების" დროის აყვავებული სიძულვილისა და სხვა აზრთან შეურიგებლობის ლენცოფა.

ამ სიტუაციაში, ნუთუ, პარლამენტმა არ უნდა იმსჯელოს (თუნდაც დახურულ სხდომაზე) თავისი წევრის უღირს საქციელზე? განა უღირსი საქციელი მხოლოდ ქურდობაა და სხვა არაფერი?

ნუთუ ჟურნალისტთა ფედერაციამ არ უნდა დაიცვას ჟურნალისტის პროფესიული ღირსება და არ უნდა გაემიჯნოს ამ სიტყვიერ ტერორიზმს?

დაბოლოს, ნუთუ ქვეყანაში არ უნდა იყოს მკაცრი კანონი, რომელიც პრეზიდენტსაც და მოქალაქესაც რეალურად დაიცავს არა მხოლოდ დაქირავებული ტყვიითმკვლელებისაგან, არამედ დაქირავებული სიტყვითმკვლელებისაგანაც?

ბოლოს და ბოლოს დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს იმიტომ ხომ არ ვაშენებთ, რომ ვისაც მოეპრიანება ლანძღოს ამ სახელმწიფოს დემოკრატიული წესით არჩეული პრეზიდენტი.

დროა შევიმეცნოთ, რომ პრეზიდენტი ყველასია, მისიც, ვინც იგი აირჩია და იმისიც, ვინც მის არჩევას ხმა არ მისცა.

იმედია, ასეთი სახელმწიფოებრივი ცნობიერება ჩვენს საზოგადოებაში ნელ-ნელა ჩამოყალიბდება (საქართველო და ქართველი ხომ ისევ უბრუნდება თავის თავს!). ყოველივე ამას კი შესაბამისმა კანონმდებლობამაც უნდა შეუწყოს ხელი.

დროა, ამ ყოველივეს წერტილი დაესვას.

კანონიერი წერტილი.

უნდა გამკაცრდეს პასუხისმგებლობა პიროვნების შეურაცხყოფისათვის, უნდა შეიქმნას მკაცრი კანონი – სხვისი თუ საკუთარი სახელმწიფოს, დროშის, ჰიმნის, გერბის, პრეზიდენტის შეურაცხყოფისა და ცილისწამებისათვის.

დროა ჩვენმა პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომელიც დაიცავს არა მარტო პრეზიდენტისა და დეპუტატის ღირსებას, არამედ ყოველი მოქალაქის ღირსებას სიტყვითმწერალთა ხელყოფისაგან, მათი ხელყოფისაგან, ვისაც არად უღირს სხვათა დამცირება (რადგან სხვათა დამცირებით თვითამაღლებას ესწრაფვის) და ვინც მზადყოფნით ასრულებს შეკვეთილ სიტყვითმკვლელობას.

ეს კია, კანონი იმ ჩვენმა პარლამენტმა უნდა მიიღოს, რომელიც, მართალია, თვისობრივად განსხვავდება ძველი პარლამენტისაგან, მაგრამ, რომელმაც დღემდე მაინც არ შეაფასა თავისი წევრის, დეპუტატ ბორის კაკუბავას უღირსი საქციელი.

* * *

ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, მძულვარებით დამუხტული სიტყვა კვლავ აურევს ქვეყანას, ეს პროცესი თუ არ შეჩერდა, ტოტალურად გამოიწვევს ქვეყანაში აგენტების, გამყიდველებისა და მოღალატეების ძებნას, მათზე ნადირობას... ამჯერად სიტყვითმწერალნი ნადირობენ, მაგრამ ამ ნადირობას თეორიულად მაინც სხვა გაგრძელებაც შეიძლება მოჰყვეს, რაც ჩვენი დემოკრატიისათვის დამღუპველი იქნება... იქნებ დავფიქრდეთ ამაზეც?

დღეს უკანონობისა და ქაოსის დიქტატურაა პრესაში, დემოკრატია კი კანონისა და წესრიგის დიქტატურას ეყრდნობა, მისი ხარისხით განისაზღვრება.

იქნებ დადგა ამის დროც?

იქნებ დადგა, იქნებ კი არა, ნამდვილად დადგა დრო, პარლამენტმა მიიღოს კანონი პრესის შესახებ, რომელიც მარტო საზოგადოებას კი არ დაიცავს პრესისაგან, არამედ პრესასაც დაიცავს, დაიცავს მის ეკონომიკურ თუ შემოქმედებით თავისუფლებას.

სიტყვა – საწყისი ყოველივესი, მხოლოდ სიკეთის მომტანი უნდა იყოს ქვეყნისთვისაც და ყოველი ჩვენგანისთვისაც.

კობა იმედაშვილი.

ვინ ვინ არის

ამერიკული პრესა მადლენ ოლბრაიტის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ

ამა წლის დეკემბრის ამერიკული პრესა დღის მთავარ მოვლენად მიიჩნევდა პრეზიდენტ კლინტონის მიერ განხორციელებულ ახალ დანიშვნებს: სახელმწიფო მდივნად – მადლენ ოლბრაიტი, თავდაცვის მინისტრად – უილიამ კოენი, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორად – ენტონი ლეიკი და პრეზიდენტის მრჩეველად ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში – სემუელ ბერგერი. პრეზიდენტ კლინტონის აზრით, სწორედ ამ ადამიანებმა უნდა შეადგინონ ეროვნული უსაფრთხოების ახალი გუნდი.

ამჯერად ყურადღებას მადლენ ოლბრაიტის პიროვნებაზე გავამახვილებთ. თუმცა, ალბათ საინტერესოა 6 დეკემბრის „ვაშინგტონ პოსტის" ზოგადი ხასიათის კომენტარიც, რომ აღნიშნული კანდიდატურები უფრო ძველი საგარეო კურსის გაგრძელებას მიანიშნებენ, ვიდრე რაიმე სერიოზულ ცვლილებას, როგორც პერსონალური, ასევე თვით პოლიტიკური ასპექტით.

ამერიკის წამყვან გაზეთებში, უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ოლბრაიტი პირველი ქალია სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე და ჯერ არც ერთ ამერიკელ ქალს არ დაუკავებია ასეთი მაღალი პოსტი. თუმცა, მინისტრის თანამდებობაზე ქალები ადრეც დაუნიშნავთ, მაგრამ სახელმწიფო მდივნის თანამდებობა გამორჩეულად ითვლება და ამერიკულ პოლიტიკურ იერარქიაში, ვიცე-პრეზიდენტის, წარმომადგენელთა პალატის სპიკერის და სენატის პრო-ტემპორე პრეზიდენტის შემდეგ ეს მეოთხე პოსტია, რომლის მფლობელსაც პრეზიდენტის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში შეუძლია ახალ არჩევნებამდე დაიკავოს პრეზიდენტის თანამდებობა. თუმცა პირადად მ. ოლბრაიტი ამ ადგილს თეორიულადაც ვერ დაიკავებს, ვინაიდან კონსტიტუციის თანახმად მხოლოდ ამერიკაში დაბადებულ ადამიანს გააჩნია პრეზიდენტობის უფლება.

მ. ოლბრაიტი დაიბადა 1937 წლის 15 მაისს, პრაღაში, ჩეხოსლოვაკიელი დიპლომატის იოსებ კორბელის ოჯახში. კორბელი ჯერ 1938 წელს გამოექცა ნაცისტებს, ხოლო 1948 წელს – ჩეხოსლოვაკიის პროსტალინისტურ მთავრობას. 11 წლის მადლენი ამერიკაში ჩამოვიდა მამამისთან ერთად, რომელიც მალე დენვერის უნივერსიტეტის დეკანი გახდა.

ბაკალავრის წოდება პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგში მ. ოლბრაიტმა მიიღო 1959 წელს უელსლის კოლეჯში. მაგისტრისა და დოქტორის წოდებები რუსეთის შესწავლის სფეროში მიიღო ცნობილ კოლუმბიის უნივერსიტეტში. კარგად ფლობს ჩეხურსა და ფრანგულს, იცის აგრეთვე რუსული და პოლონური. როგორც 6 დეკემბრის „ვაშინგტონ პოსტმა აღნიშნა" მეტნაკლებად ესმის სერბულიც, „ყოველ შემთხვევაში, მთელი ამერიკული დელეგაციიდან, რომელიც 1991 წელს ვუკოვარში იმყოფებოდა და რომელსაც სერბებმა ქვები დაუშინეს, მხოლოდ მას ესმოდა დემონსტრანტთა შეურაცხმყოფელი სიტყვების მნიშვნელობა".

1978-81 წწ. იყო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომელი, 1982-93 – ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობათა განხრით (აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობით ეს უნივერსიტეტი საუკეთესოდ ითვლება აშშ-ში). 1993-96 წ.წ. მ. ოლბრაიტი აშშ ელჩია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

როგორც „ვაშინგტონ თაიმსი" აღნიშნავდა, ჰ. კისინჯერის შემდეგ, ოლბრაიტი მეორე სახელმწიფო მდივანია, რომელიც ამერიკაში არ დაბადებულა და ამავე დროს ებრაული წარმოშობისაა. ამერიკაში ემიგრანტების კარიერაზე ყურადღება 7 დეკემბრის „ფაინენშელ თაიმსმაც" გაამახვილა, რომელმაც გაიხსენა გერმანიიდან ჩამოსული ჰ. კისინჯერის, პოლონეთიდან ჩამოსული ზ. ბჟეზინსკის და აგრეთვე პოლონეთიდან ჩამოსული ქართული წარმოშობის ჯ. მ. შალიკაშვილის წარმატებული კარიერა აშშ-ის უმაღლეს პოლიტიკურ და სამხედრო იერარქიაში. სტატიის ავტორმა ჯ. მარტინმა ისიც აღნიშნა, რომ თუ კისინჯერი და ბჟეზინსკი ცივი ომის დროს მოღვაწეობდნენ, როდესაც გლობალური ხასიათის სტრატეგიული აზროვნება აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენდა, ოლბრაიტი და შალიკაშვილი ცივი ომის შემდგომ პერიოდში მოღვაწეობენ, როდესაც ერთმანეთთან სრულიად დაუკავშირებელი პრობლემების, მაგ. როგორიცაა ბოსნია ან რუანდა, სასწრაფო გადაწყვეტა ყოველდღიური საქმიანობის რუტინად იქცა.

სტატიის ავტორი აღნიშნავდა, რომ ამ ადამიანების წარმოშობამ განაპირობა მათი უდიდესი მადლიერება იმ ქვეყნის მიმართ, რომელმაც მათ ესოდენი პატივი მიაგო და ამავე დროს, ამ ხალხის შესაბამისი სიძულვილი ნებისმიერი ხასიათის ავტორიტარიზმის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ლიბერალური, ასევე კონსერვატორული პრესა ძირითადად კეთილგანწყობილად შეხვდა ოლბრაიტის დანიშვნის ფაქტს (თუმცა კრიტიკული ნოტებიც გაისმა) და საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა მის კანდიდატურას, რომელიც ახლო მომავალში სენატმა უნდა დაამტკიცოს. თუ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ჯ. ჰელმსის კეთილგანწყობას გავითვალისწინებთ, ოლბრაიტს არ უნდა გაუჭირდეს სენატის თანხმობის მიღება. „მე და ელჩ ოლბრაიტს ერთად ვემუშავია მისი გაეროში [illegible] ბას" აღნიშნავს სენატორი ჰელმსი.



ნიქსონის ცენტრის ეროვნული უსაფრთხოების პროგრამის დირექტორი პ. როდმანი თვლიდა, რომ ზ. ბჟეზინსკის პროტეჟე მ. ოლბრაიტი ძლიერი და მცოდნე ადამიანია და ამავე დროს დემოკრატიისათვის უჩვეულოდ მტკიცე პოზიციას დაიკავებს ნატოს გაფართოების საკითხში.

ევროპელ დიპლომატებს მიაჩნიათ, რომ მ. ოლბრაიტის პოლიტიკური და პიროვნული წარსული განაპირობებს მის დიდ დაინტერესებას ევროპის საქმეებით, თუმცა „იგი ყოველთვის დიპლომატად არ გამოიყურებოდა დიპლომატთა შორის". როგორც გაეროს ერთ-ერთი დიპლომატი ამბობდა, საგარეო პოლიტიკას მ. ოლბრაიტი პრესკონფერენციების მეშვეობით წარმართავდა.

„ვაშინგტონ თაიმსი" განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის დიპლომატთა ენთუზიაზმს, რომელთა ოპტიმიზმსაც იწვევს ოლბრაიტის მტკიცე პოზიცია ნატოს გაფართოებასთან და ბალტიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მოყვანილია ლატვიის ელჩის ო. კალნინსის სიტყვები იმის თაობაზე, რომ ოლბრაიტი, რომლის ოჯახმაც საკუთარ თავზე გამოსცადა კომუნისტების მოქმედება, სხვებზე უკეთ გაიგებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პრობლემებს. ასევე კომპლიმენტარული ხასიათის განცხადებები გააკეთა შვეციის ელჩმა ჰ. ლილიეგრენმა.

ჯეიმსთაუნის ფონდის საინფორმაციო ბიულეტენ „მონიტორში" (9 დეკ.) ხაზგასმულია რუსეთის საინფორმაციო წყაროების ნეგატიური რეაქცია ახალ უსაფრთხოების გუნდში „ანტირუსულად განწყობილი ქორების დომინირების" თაობაზე.

„ნიუ-იორკ თაიმსის" აზრით, ჩინეთსა და იაპონიაში მიაჩნიათ, რომ ახალი სახელმწიფო მდივანი და თავდაცვის მინისტრი თავის წინამორბედებზე ნაკლებად ერკვევიან აზიის საკითხებში. როგორც „ვაშინგტონ პოსტში" იყო აღნიშნული, ზოგიერთ აზიურ ქვეყნებში შიშობენ, რომ ოლბრაიტი მეტისმეტად შემტევი იქნება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხში.

ისრაელი პოზიტიურად არის განწყობილი პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების გუნდის მიმართ. ისრაელის საინფორმაციო წყაროებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ თავდაცვის მინისტრი უ. კოენი ებრაელი მშობლის ქრისტიანულად აღზრდილი შვილია, ხოლო ს. ბერგერი ებრაელია. ბ. ნათანიაჰუმ გამოაცხადა, რომ იგი დაიმედებულია სახელმწიფო მდივნის ახალი კანდიდატურით და ამერიკასთან მეგობრობის იმედი აქვს ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკებებში.

ი. არაფატმა განაცხადა, რომ მას არაფერი შეიძლება ჰქონდეს მ. ოლბრაიტის კანდიდატურის საწინააღმდეგო.

ფრანგულენოვანი აფრიკული ქვეყნები და გარკვეულწილად საფრანგეთიც ნეგატიურად აფასებენ ოლბრაიტის დაპირისპირებას ბუტროს გალისთან.

სტრატეგიული და საერთაშორისო სწავლების ცენტრის წარმომადგენელი ლ. ჯემისონი მ. ოლბრაიტს უ. კრისტოფერზე მაღლა აყენებდა და მიიჩნევდა, რომ მისი დანიშვნა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გააქტიურების მანიშნებელია.

სტატიის ავტორის ბ. ბარბერის აზრით, ბევრს არ მოსწონს მ. ოლბრაიტის „აგრესიული მრავალფეროვნება", რომელიც მისი გაეროში მუშაობის დასაწყისში, აშშ-ის შეიარაღებული ძალების ხშირი გამოყენების იდეის აქტიურ მხარ- [illegible] ჯერ კიდევ 70-იან წლებში მან დიდებული პოლიტიკური სკოლა გაიარა ისეთ ცნობილ პოლიტიკოსებთან, როგორებიც არიან სენატორი ე. მასკი და ზ. ბჟეზინსკი. რომელიც სხვათა შორის, მ. ოლბრაიტის დისერტაციის სამეცნიერო კონსულტანტიც კი ყოფილა (პრესის როლი ჩეხოსლოვაკიის 1968 წლის დემოკრატიულ მოძრაობაში). 80-იან წლებში ოლბრაიტი, ჯერ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის ჯ. ფერაროს მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკის სფეროში, შემდეგ კი პრეზიდენტობის კანდიდატ მ. დუკაკისის.

„ნიუ-იორკ თაიმსში" ბ. კროსეტი აღნიშნავდა, რომ სწორედ ოლბრაიტი იყო ბოსნიაში აშშ-ის სამხედრო ჩარევის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. კოლინ პაუელი იხსენებდა, რომ ამ საკითხზე კამათისას მ. ოლბრაიტმა იკითხა, „თუ რად უნდა ამერიკას ასეთი ნაქები არმია, თუ ვერასოდეს ვერ გამოიყენა იგი". ბ. კროსეტის იმავე სტატიაში, რომელშიც პაუელის სიტყვებია მოყვანილი, ხაზგასმული იყო ოლბრაიტის ახლო ურთიერთობა ჯ. მ. შალიკაშვილთან. ისინი სამშვიდობო ძალების წვრთნის ინსპექციისას დამეგობრდნენ.

ბ. კროსეტი ისევე, როგორც სხვა ავტორები ხაზს უსვამს მ. ოლბრაიტის დამოკიდებულებას 1937 წლის მიუნხენის გარიგების მიმართ, რომელმაც მას სამშობლო დააკარგვინა, როგორც თვით მ. ოლბრაიტი აღნიშნავდა, მან „იხილა, თუ როგორ დართეს დიქტატორს სხვა ქვეყნისაგან მიწების ჩამოცილების ნება და როგორ დაანგრია ამ ქმედებამ ეს სახელმწიფო". ოლბრაიტი ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს მსგავსი ქმედების გამეორებას და ეს თვალსაზრისი თავის პოლიტიკურ კრედოდ მიაჩნია. (აქედან გამომდინარე, ალბათ, მ. ოლბრაიტი სხვაზე უკეთ გაიგებს და გაითავისებს აფხაზეთის პრობლემას, მით უმეტეს, რომ სწორედ აფხაზეთის ლტოლვილების საკითხთან დაკავშირებით იმყოფებოდა საქართველოში). ცნობილი მიმომხილველი რ. ეპლი მას „მიუნხენის შვილს" უწოდებს.

ბევრი მიმომხილველი თვლიდა, რომ მ. ოლბრაიტის დანიშვნა, ბ. კლინტონზე ქალთა ორგანიზაციების ზეწოლამ (ამ არჩევნებში მნიშვნელოვანწილად, სწორედ ქალთა მხარდაჭერამ განაპირობა კლინტონის გამარჯვება) და ჰ. კლინტონისა და მ. ოლბრაიტის მეგობრობამ განაპირობა.

უკანასკნელი დღეების
საში ხშირად ისიც ალნი
ბოდა, რომ ამ არჩევანზე
კმაო გაელენა მოახდინა ა
რმაც. ეს კარგად ჩანს „
იორკ თაიმსის" იმავე 6
მბრის ნომერში გამოქვეყ
ტ. პურდუმის სტატიაში,
ალნიშნულია, რომ სწორე
ცე-პრეზიდენტმა გაამახ
პრეზიდენტის ყურადღება მ
ბრაიტისა და უ. კოენის
დატურებზე. ალნიშნულ
თხთან დაკავშირებით ს
ა. გორს ჰქონდა უკანას
ხანს ორი შეხვედრა ქალთ
განიზაციების წარმომად
ბთან. 7 დეკემბრის „ვაშინ
თაიმსში" ჟურნალისტი
ეფი ალნიშნავდა, რომ თ
ხელმწიფო მდივნობის ის
ნდიდატებს, როგორებიც
ოლბრუკი და თ. პიკერ
არიან, მეტი დიპლომატი
მოცდილება გააჩნდათ,
სენატორებს ს. ნანსა და
ჩელს უკეთ შეეძლოთ კ
სთან საერთო ენის გამ
ბ. კლინტონმა მაინც ოლ
იტი აირჩია, ვინაიდან იგ
ახლო იყო მის გარემოც
თვის. უპირველეს ყოვლ
. კლინტონისათვის, რომ
ძალზე აფასებს მ. ოლბრ
და რომელსაც აგრეთვე
უნდა, რომ ბ. კლინტონ
რიაში დარჩეს, როგორც
ზიდენტი რომელმაც პირ
დანიშნა ქალი ასეთ მაღ
ნამდებობაზე. მეორე
მწვავე ფაქტორად აგ
გორის მხარდაჭერა მ
რომელსაც არ მოსწონ
ჩელისა და ნანის კანდ
რები, ვინაიდან მომავალ
ნი ალბათ კონკურენცია
უწევენ მას საპრეზიდენ
ვარძლისათვის ბრძოლაში
სამე მიზეზად ავტორის
„ნიუ რიპაბლიკის" რედაქ
ა. გორის (კვლავ ა. გორი)
მეგობრის მარტინ პერ
მხარდაჭერა მიაჩნია, ვინ
პრეზიდენტი და მისი გარ
ამ ჟურნალის აქტიური
ხველები არიან. გორის
ბის მნიშვნელობას „ვაშინ
პოსტმაც" გაუსვა ხაზი.
რი კლინტონისა და ა. გ
კეთილგანწყობის მნიშვნე
„ფაინენშელ თაიმსმაც" ა
შნა, თუმცა დაამატა, რ
კლინტონის მხარდაჭერა
უნდა ყოფილიყო გადამწ
ფაქტორი. ეს კიდევ ერ
ადასტურებს იმ მოსაზრ
რომ ა. გორის გავლენა
ლი ადმინისტრაციაში, გ
ბით უფრო მნიშვნელოვა
დრე ეს ვიცე-პრეზიდენტის
დიციული, წარმომადგენლ
ფუნქციიდან შეიძლება
დინარეობდეს.
ევროპის პრობლემებთან
კავშირებით „ვაშინგტონ
სტმა" ლაბეჭდა ინგლისელ
ცნიერის, თავდაცვის საკ
შემსწავლელი სამეფო ი
ტუტის თანამშრომლის
ელის მოსაზრება, რომ
პელები „აპატიებენ ოლბრ
მის მანერებს, თუ იგი უ
სტოფერისაგან განსხვავ
აიძულებს პრეზიდენტს
ლად მიიღოს საგანგებო
წყვეტილებანი". მისივე ა
ოლბრაიტის ამოცანა იქნ
როპისა და ამერიკის წ
მდეგობის დაძლევა ევრ
უსაფრთხოებისათვის ა
ბელი პასუხისმგებლობი
ნაწილების საკითხში.
რაც შეეხება ახლო ა
ვლეთს, თუმცა ამ რეგიონ
ოლბრაიტს ევროპასთან
რებით ნაკლები გამოცდ
აქვს, მაგრამ გაეროში
ობის შედეგად იგი საკმა
რგად იცნობს ამ რეგიონ
ბლემებს. ვაშინგტონის
აღმოსავლეთის პოლიტიკ
სტიტუტის აღმასრულებე
რექტორის რ. სატლოფ
ოლბრაიტი და უსაფრთ
ახალი გუნდი ერკვევა
გორც ახლო აღმოსავლე
ლიტიკაში, ასევე ამ რე
დიპლომატიაში.
ვირჯინიის უნივერსიტე
პროფესორის და ერო
უსაფრთხოების საბჭოს
ლი თანამშრომლის უ.
აზრით, ოლბრაიტის ერ
ურთულესი ამოცანა ი
ბა, რომ იგი „საკმაოდ
იყოს ბ. ნატანიაჰუს მიმ
ამავე დროს არ დაგ
ტიისრაელური ქმედებ
ბუქდილება". ძალზე მნიშ
ვანი და ძნელი იქნება
აზრით, ახალი პოლიტ
მუშავება ირანისა და
მიმართ, ვინაიდან ზურ
ქცევა ამ ქვეყნებისადმ
კიდევ არ არის პოლიტ

გენადი სელეზნიოვი: საქართველოს რუსეთი მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნია

მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ გენადი სელეზნიოვმა განაცხადა, რომ თბილისში რუსეთის დეპუტაციისათვის გაწეული მეგობრული მიღება, გამართული საუბრების ტონი და შინაარსი მოწმობენ, რომ საქართველოს რუსეთი მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად მიაჩნია.

სელეზნიოვმა დაადასტურა თავისი პოზიცია, რომ დაცული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ლტოლვილები დაბრუნდნენ გალის რაიონში და გაფართოვდეს ეკონომიკური პარტნიორობა მეზობელ ქვეყანასთან. როგორც მას მიაჩნია, ამისათვის დაბრკოლებები არ არსებობს.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტარებს, ისინი მზად არიან განავითარონ ურთიერთკონტაქტები და გააქტიურონ თავიანთი საქმიანობა საპარლამენტთაშორისო ასამბლეის ფარგლებში, ხოლო რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბირო უახლოეს ხანს მოახდენს საქართველოსთან დიდი ხელშეკრულების რატიფიკაციას.

სელეზნიოვმა შეფასება მისცა საქართველოს პარლამენტის სხდომაზე მისი გამოსვლის დროს მომხდარ ინციდენტს, როცა რადიკალურად განწყობილმა ფრაქციამ 11 კაცის შემადგენლობით დატოვა სხდომათა დარბაზი. „თუმცა ამგვარი კაზუსები წამლავენ კარგ ურთიერთობას, — აღნიშნა სელეზნიოვმა, — მაგრამ მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ამ ინციდენტის მიუხედავად, ორი ქვეყნის პარლამენტების ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში არ გაუარესდება“.

ვარშავის მეცნიერებისა და კულტურის სასახლეში გაიხსნა ახალი ჩეჩნური ცენტრი.

ვარშავის თავზე ჩეჩნეთის დროშა ფრიალებს

ვარშავისა და კრაკოვის ხელისუფალთა ინიციატივით პოლონეთის დედაქალაქში გაიმართა „მრგვალი მაგიდის“ სხდომა ჩეჩნეთის აღდგენის, კავკასიის მშვიდობისა და რუსეთის დემოკრატიის საკითხებზე. სხდომაში მონაწილეობდა აგრეთვე კრაკოვის ჩეჩნური საინფორმაციო ცენტრი.

„მრგვალი მაგიდის“ საპატიო სტუმარი იყო ალა დუდაევა. ჩეჩნეთის რესპუბლიკის მთავრობის სახელით ესწრებოდნენ პირველი ვიცე-პრემიერი ნუხაევი და საგარეო საქმეთა მინისტრი რუსლან ჩიმაევი.

ეს შეუწყნარებელია, განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ეს არის ჩარევა რუსეთის საშინაო საქმეებში.

არამწეველებს სამუშაოდან ითხოვენ

ფრანგები საქვეყნოდ არიან ცნობილნი თამბაქოს წევის სიყვარულით, წერს ბრიტანული „სანდი ტაიმსი“. ისინი ეწევიან ბევრს და მხოლოდ კარგ სიგარეტს. არამწეველ ფრანგს პრაქტიკულად ვერ ნახავ, და თუ ასეთი აღმოჩნდა კიდეც, მას დაუყოვნებლივ აიგდებს მასხრად საზოგადოების მწეველი ნახევარი. ბევრი ფრანგისათვის თამბაქოს წევა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. თამბაქოს წევის საწინააღმდეგო ნებისმიერი კამპანია მათ დროის და ფულის ფუჭ კარგვად მიაჩნიათ და ირონიულად ეკიდებიან. ზოგჯერ თამბაქოს სიყვარული ისეთ დონეს აღწევს, რომ აბსურდულად გამოიყურება. მაგალითად, არამწეველი ფრანგები საზოგადოებაში მოკვეთილნი ხდებიან და გაცილებით მეტი შანსი აქვთ სამუშაოდან დათხოვნისა, ვიდრე მათ მწეველ თანამშრომლებს. და ვერავითარი სასამართლო ვერ დაეხმარება საზოგადოების არამწეველ ფენებს თავიანთი უფლებების აღდგენაში. ამასთან დაკავშირებით სტატიის ავტორი არამწეველ ფრანგებს სთავაზობს სამუშაო ადგილის შენარჩუნების ორ ხერხს. პირველი ხერხია — დაიწყეთ წევა და რაც შეიძლება მალე. ანდა, ულაპეთ თანამშრომელთა სიგარეტის კვამლი, რაც გაცილებით უფრო მავნედ ითვლება, ვიდრე საკუთრივ მწეველობა, დაასკვნის „სანდი ტაიმსი“.

მარლონ ბრანდო... დღეს და გუშინ

როგორც მარლონ ბრანდოს მიაჩნია, მისი სიმსუქნე ერთი იმ მთავარ მიზეზთაგანია, რომელიც სამარეს უახლოებს. ახლა იგი 72 წლისაა და იწონის 140 კილოგრამს (პირველი სურათი), ვინაიდან ყოველთვის უყვარდა კარგი სმა-ჭამა (მეორე ფოტოზეც ბრანდოა, ოღონდ — 30 წლისა). მიუხედავად ასეთი „სიმძიმისა“, ბრანდო ენერგიის ნაკლებობას არ უჩივის. უკვე დაიწყო ახალი მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმის გადაღება, სადაც იგი მაფიოზური კლანის ბოსს განასახიერებს.





ქაღალდებმა არ შეგვჭამოს

საინფორმაციო რევოლუციას ჯერ კიდევ არ მიუღწევია მსოფლიო მასშტაბისათვის და კაცობრიობას უკვე უხდება ბრძოლა მისი თანამდევი უარყოფითი შედეგების წინააღმდეგ. ინფორმაციის მძლავრი ნაკადი დაატყდა თავს სხვადასხვა დონის მმართველ მუშაკებს.

მალზე ძნელია, ზუსტად განსაზღვრო ამ ნაკადის მოცულობა. მაგრამ გამოანგარიშებულია, მაგალითად, რომ ყოველდღიურად მარტო ტექნიკური ინფორმაციის სფეროში ფიქსირდება 20 მილიონი სიტყვა. ბეჯით მუშაკს, რომელიც წუთში 1000 სიტყვას კითხულობს, ამ ტექსტებზე ყოველდღიურად 8 საათის მუშაობის პირობით შეუძლია ასეთი მოცულობა ერთ თვეში მოინელოს. და როდესაც იგი უკანასკნელ გვერდს გადაფურცლავს, აღმოჩნდება, რომ ამ დროის მანძილზე დაგროვებია კიდევ ხუთ წელიწად-ნახევარი კატორღული შრომის ინფორმაცია.

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ ინფორმაციული გაცვლის დარგში დაწინაურება ბევრს მიაჩნდა სიკეთედ, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავაადვილოთ კომერციული კონტაქტები, უზრუნველვყოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და კარდინალური გადაწყვეტილებების სწრაფი მიღება საქმიანობის ნებისმიერ დარგში. სინამდვილეში ნაჭარბი ინფორმაცია (ასეთი ტერმინი კი უკვე დამკვიდრდა სპეციალისტთა გარემოში) პირდაპირ ახრჩობს ბიზნესის მრავალ დარგს. „ინფორმაციის სიჭარბე ისევე სახიფათოა, როგორც მისი ნაკლებობა“, — ამტკიცებს ლონდონელი ფსიქოლოგი დოქტორი დევიდ ლუისი.

დოქტორ ლუისის აზრით, ინფორმაციის ახლანდელმა სიუხვემ, რომელმაც ლამის წალეკოს ფირმებისა და კომპანიების შტაბბინები, შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის ანალიზის დამბლა და გააძნელოს ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღება. სრულიად განსხვავებული, მრავალფეროვანი ცნობების ნაკადში, რომლებიც ხშირად ერთმანეთს ეწინააღმდეგება, გაცილებით უფრო რთულია იპოვო საკვანძო ინფორმაცია, ვიდრე იპოვო ალმასის თვალი ნეხვის გროვაში.

სულ ცოტა ხნის წინათ საკონკურენტო ბრძოლის ნაცად ხერხად მიაჩნდათ ინფორმაციის დამალვა. ახლა გაქნილი იურისტები წარმატებით იყენებენ ნაჭარბი ინფორმაციის იარაღს, თავზე აყრიან კონტრაჰენტებს უამრავ უმაქნის ცნობას და ამის შედეგად ურევენ გზაკვალს. ეს „კარგ ტაქტიკად“ ითვლება.

ბიუროკრატებსაც გაუცრუვდათ იმედი: მათ ეგონათ, რომ ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე საშუალებები თავიდან ააცილებდა მმართველობით აპარატს ქაღალდის სამუშაოს. გამოვიდა კი პირიქით. კომპიუტერის პრინტერები, ფაქსები, ელექტრონული ფოსტა ყოველ წუთს ახვავებენ სამუშაო მაგიდებზე წერილების, ცნობების, მემორანდუმების, დიაგრამების, გრაფიკების, ტექნიკური ანგარიშების, სქემების გროვებს, რომელთა დამუშავებას ან თუნდაც გადარჩევას სულ ახალ-ახალი კლერკები სჭირდება.

ყოველივე ეს მხოლოდ ერთი მხარეა პრობლემისა. მეორე და, ალბათ, უფრო დამაფიქრებელი კი ის არის, რომ მთელი ეს ქაღალდ-ელექტრონული დომხალი საფრთხეს უქმნის მილიონობით მოსამსახურის ჯანმრთელობას. დოქტორი ლუისი განგაშს ტეხს იმის გამო, რომ პროფესიონალები, რომლებსაც საქმე აქვთ ინფორმაციის დამუშავებასთან, შეუძლოდ გრძნობენ თავს. ამ ახალ დაავადებას ლუისი უწოდებს „ინფორმაციული დაღლილობის სინდრომს“, და გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგი მალე დამკვიდრდება ჩვეულებრივ სამედიცინო ლექსიკონში. დაავადების სიმპტომებია გალიზიანება, მთელი ორგანიზმის დაძაბული მდგომარეობა, უმწეობის გრძნობა, კუჭის ტკივილები, მხედველობის მოშლა. ყოველივე ამას კიდევ გაუძლებს კაცი. მაგრამ დაავადებას შეიძლება მოჰყვეს გამოუსწორებელი შედეგები, თუკი ინფორმაციული დაღლილობის სინდრომით დასნეულებული სპეციალისტი სამსახურებრივი მოვალეობის გამო იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ადამიანთა უსაფრთხოებასთან არის დაკავშირებული. ინფორმაციის მალი ცვლით დაძაბულ-დაქანცული ტვინი ვარდება პანიკის მდგომარეობაში, კარგავს აწყობილი მუშაობის უნარს და არაადეკვატურად აღიქვამს ინფორმაციას. ამას კი შედეგად მოსდევს მცდარი დასკვნები და ლოგიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტები, საბედისწერო შეცდომები.

როგორ ვებრძოლოთ ნაჭარბი ინფორმაციის ნაკადს? როგორ გადავურჩეთ ინფორმაციის ნიაღვარს? შეიძლება კომპიუტერი ისე დავაპროგრამოთ, რომ იგი უფრო გულმოდგინედ ახარისხებდეს შემოსულ ცნობებს და იწუნებდეს, არ უშვებდეს უმაქნის ინფორმაციას. მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ დაწუნებულ ნაწილში არ დარჩა ყველაზე არსებითი? თანაც, ინფორმაციის საბოლოო შეფასებას დღესდღეობით ვერ ანდობ თუნდაც ყველაზე მძლავრ ელექტრონულ მანქანას.

საეჭვოა, რომ თვალსაწიერ მომავალში მოვარდნილი ინფორმაციული ნიაღვრის დონემ კლება იწყოს. ალბათ, ინფორმაციული უღელი, რომელშიც კაცობრიობამ საკუთარი სურვილით გაყო თავი, კიდევ უფრო დამძიმდება. პრობლემის გადაჭრის საიმედო ხერხები ჯერჯერობით არ ჩანს. ასე რომ, იმათ, ვინც უკვე დღეს გრძნობს ჭარბი ინფორმაციის ზეწოლას, ალბათ, უჯობთ ყურად იღონ უბრალო რჩევა: მოამზადეთ გვარიანი კალათა უმაქნისი ქაღალდის გადასაყრელად.



„კანონიერი ქურდები“ მსოფლიო ასპარეზზე გადიან

დღეს რუსეთის დიდი მაფიოზების უმრავლესობამ დიდბურჟუაზიული პეწი და საქმოსნის ალღო შეიძინა. საკუთარი ქვეყანა უკვე ეპატარავებათ. ისინი გლობალიზაციის მცნებას აღგავენ და მთელ მსოფლიოში უქმნიან საფრთხეს მოქალაქეთა მშვიდობასა და ბაზრების სტაბილურობას.

უკვე დიდი ხანია, რუსეთელთა ავადსახსენებელი ბანდები მოქმედებენ რაიონებში, სადაც სულ ორიოდ წლის წინათ რუსი თვალით არ ენახათ. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ რუს მაფიოზებს იდეალური ადგილი უპოვიათ... ინგლისის ყოფილ კოლონიაში, კარიბის ზღვის მარგალიტ ანტიგუაში. აქ მოქმედი ოფშორული ბანკების შეღავათიანი წესები კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის ეგზოტიკურ კუთხეს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქ გაიხსნა 27 ოფშორული ბანკი, რომელთაგან ოთხი რუსეთის წარმომადგენლებს ეკუთვნით, და ერთი — უკრაინისას.

სპეციალისტთა შეფასებით, რუსეთიდან გამოტანილი 40-დან 60 მილიარდამდე დოლარი საზღვარგარეთ მოხვდა, ძირითადად, არალეგალური გზით. ამავე დროს რუსეთის ცენტრალური ბანკის სტატისტიკურ მონაცემებში სავალუტო ოპერაციების შესახებ ფიგურირებს ხოლოდ 680 მილიონი დოლარი, რომელიც 1993 წლის იანვრიდან წლევანდელ ივნისამდე ექსპორტირებული. ამავე დროს, შვეიცარიაში „ალპსაველურ ანგარიშებზე“ ანაბრების თანხა 1993-1994 წლებში 8 პროცენტით გაიზარდა. ამას ადარებს შვეიცარიის ეროვნული ბანკი.

აღნიშნული ციფრი, რა თქმა უნდა, მოიცავს რუსეთის კაპიტალსაც, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს ორგანიზებულ დამნაშავეობასთან და მხოლოდ ეძებს საიმედო ნავსაყუდელს, სანამ რუსეთში ეკონომიკური სიტუაცია გამოსწორდებოდეს, მაგრამ აქ არის აგრეთვე ნარკობარონების, ავტომანქანის სპეკულანტების, სუტენერებისა და გამომძალველების დიდძალი ფულიც.

რუსეთში არის დაახლოებით 150 მაფიის „ნათლია“, რომლებსაც უზენაეს ავტორიტეტებად ცნობენ 5 700 ბანდასა და ჯგუფში გაერთიანებული ხელქვეითები. დღეს ისინი 40 ათას საწარმოსა და ათასამდე ბანკს აკონტროლებენ.

რამდენადაც საზღვარგარეთთან საქმიანი ოპერაციები რუსეთში წარმოუდგენლად მომგებიანია, ცხადი იყო, რომ ადრე თუ გვიან მაფიოზები გლობალური მასშტაბით დაიწყებენ აზროვნებასა და მოქმედებას. დღეს მათ აინტერესებთ ყველაფერი, რაც იოლად საღდება საზღვარგარეთ, — ნარკოტიკები და მეძავები, ნავთობი და ლითონი. მიჯნას, რომელიც ლეგალურ ვაჭრობას არალეგალურისაგან ყოფს, თითქმის ვერც გაავლებ.

მაგრამ ანტიგუა და ვენესუელა — ეს მაინც მაფიის ბოსთა ეგზოტიკური სათადარიგო „აეროდრომებია“. როდესაც მათ უჩნდებათ ხოლმე სურვილი ფართო გაქანებით „ამუშაონ“ თავიანთი ფული, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო ეკონომიკის ცენტრებს მიაპყრობენ ყურადღებას. ასე „აღმოაჩინეს“ რუსებმა ამერიკა.

ნიუ-იორკის სამართალდამცველმა ორგანოებმა შეძლეს თავიანთ ანგარიშზე ჩაეწერათ პირველი წარმატება, რომელმაც შურით აღავსო კოლეგები მრავალ ქვეყანაში. აგვისტოს ბოლოდან მიმდინარეობს მონია ელსონის გასამართლება, რომელიც აშშ-ში რუსეთის მაფიის წინამძღოლად ითვლება. იგი იტალიაში დააპატიმრეს და ახლა ემუქრება სამუდამო პატიმრობა პეროინუმის ვაჭრობისა და მკვლელობებისათვის. რუსეთის მაფიის ქსელი სულ უფრო ღრმად ვრცელდება შეერთებულ შტატებში, ხოლო ნიუ-იორკიდან დასავლეთ ევროპაში მიდის.

თაღლითობა ამერიკაში მოკალათებული ბევრი რუსული ბანდის საქმიანობის უსაყვარლესი სფეროა. ამას წინათ გამოააშკარავეს არალეგალური იმიგრანტების იატაკქვეშა ორგანიზაციები, რომლებიც ხელოვნურად უწყობდნენ ავარიებს ახალი ავტომანქანების მფლობელებს და მოითხოვდნენ ჯარიმის გადახდას ვითომდა დაზარალებულთა მიერ დაშვებული დაზღვევის წესების დარღვევისათვის. ბანდის მეთაურს ჰყავდა 180-მდე კაცი, მათ შორის ადვოკატთა კანტორებშიც.

მნიშვნელოვან ზარალს იწვევს საწვავის არალეგალური ოპერაციები, რომელთა შედეგად ამერიკის ხაზინა წელიწადში სულ ცოტა მილიარდ დოლარს კარგავს. თხევად საწვავს, რომლის გადასახადი არ იბეგრება, მაფია ჰყიდის, გადასახადით დასაბეგრი სადიზელო საწვავის სახით და ამრიგად ჯიბეში იდებს მომხმარებელთა საგადასახადო ანარიცხებს.

კრიმინალური პოლიციის გამობრძმედილი თანამშრომელიც კი ვერ გაავლებს მკაფიო მიჯნას ეკონომიკის სფეროში მოკალათებულ „ჩვეულებრივ“ დამნაშავეებსა და მეტ-ნაკლებად არალეგალურ სპეკულანტებს შორის, რომლებიც იყენებენ კვოტების, ლიცენზიებისა და სხვა წესების ურთულეს ნაკრებს, რისი მეშვეობითაც რუსეთის სახელმწიფო თავის ინტერესებს იცავს.

ის, ვინც 1991 წელს (იმ დროს, როდესაც რუსეთის ნავთობი მსოფლიო ბაზრის ფასის ათ პროცენტზე ნაკლები ღირდა) შეძლო კანონიერად თუ უკანონოდ ჩაეგდო ხელში ექსპორტის ლიცენზია, თვალის დახამხამებაში გახდა მულტიმილიონერი. დასავლეთ ციმბირში მოპოვებული ნავთობის მესამედი (მსოფლიო ბაზრის ფასებით 18 მილიარდი დოლარის ღირებულების 150 მილიონი ტონა ნავთობი) 1991 წელს არალეგალურად ნაშოვნი ლიცენზიებით გაიყიდა.

კორუფცია ჩვეულებრივი საქმეა რუსეთსა და თანამეგობრობის ქვეყნებში. რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ანატოლი კულიკოვის მონაცემებით, მოხელეები, რომლებიც ლიცენზიის გაცემისათვის ქრთამს იღებენ, ჯიბეში იდებენ მოგების 30-დან 50-მდე პროცენტს. ეს ფული შედის საზღვარგარეთის ბანკების ანგარიშებზე, ან ინვესტირდება უძრავ ქონებაში საზღვარგარეთ. კულიკოვისავე თქმით, 1995 წლის იანვრიდან აგვისტომდე რუსეთი ყოველთვიურად ჰკარგავდა ორ მილიარდ დოლარს არალეგალურ საგარეო ვაჭრობაზე.

ასეთ გარიგებებს გამომძიებლები მეტწილად მკვლელობით დამთავრებული ინციდენტების შემდეგ იგებენ ხოლმე. მაგალითად, ქართველი მეწარმე დავით სანიკიძე, რომლის ავსტრიის შტაბ-ბინა ვენის ყველაზე მდიდრულ სასტუმრო „მარიოტში“ მდებარეობდა, ითვლებოდა ერთ-ერთ უკეთილშობილეს ბიზნესმენად, თუნდაც პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან მისი ვითომდა ახლო ნაცნობობის წყალობით. შარშან ივლისში სანიკიძე კილერებმა მოკლეს. და მხოლოდ ამის შემდეგ გაეცნო ავსტრიის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური რაზმი — „ორგანიზებული დამნაშავეობის წინააღმდეგ მებრძოლი ოპერატიული გუნდი“ ქართველი მეწარმის საიდუმლო დოსიეს. გამოირკვა, რომ სანიკიძე — ავსტრიის სამშენებლო საწარმოს მმართველი და სანახევროდ სახელმწიფოსათვის კუთვნილი საქართველოს ავიატრანსპორტო კომპანია „ორბის“ პრეზიდენტი — (მეტსახელად „დათო“) იყო საერთაშორისო განგსტერული სინდიკატის „ნათლია“, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად შეერთებულ შტატებშიც მოქმედებდა. მისი „საქმიანობის“ უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენდა ეგრეთ წოდებული „სადაზღვევო პოლისების“ მიცემა აღმოსავლეთში მოქმედი დასავლელი მეწარმეებისათვის, უფრო ზუსტად — გამომძალველობა.

„დათოს“ ბედმა უმუხთლა. მოსკოვისა და თვით ბერლინისაგან განსხვავებით „ნათლიებს“ ვენა მიაჩნიათ „მშვიდ ოპერატიულ სივრცედ“, სადაც შეიძლება დადო გარიგებანი და არ შეგეშინდეს იმისა, რომ შუბლში ტყვიას მიიღებ.

დედაქალაქის პოლიციის უფროსი პეტერ შტიკლი ამტკიცებს, რომ ყოველწლიურად თანამეგობრობის ქვეყნებიდან ავსტრიაში შემოდის სულ ცოტა 20 მილიარდი შილინგი.

რუსეთის ორი ათასზე მეტი კრიმინალური ჯგუფი ფულის გაწმენდაზეა დასპეციალიზებული. მათი ნახევარი განაგებს ლეგალურ ეკონომიკურ სტრუქტურებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ფულის გატანა.

საზღვარგარეთ ფულის გადატანის ერთ-ერთი ყველაზე იოლი ხერხია იმპორტული ანგარიშების გაყალბება. იმპორტიორი იღებს მომეტებულ თანხას და გადარიცხავს სხვაობას, ვთქვათ, შვეიცარიაში ან ავსტრიაში. ასეთი ოპერაციები ხშირად ხორციელდება რუსეთის მფლობელობაში არსებული ოფშორული ფირმების მეშვეობით. ამგვარი ფირმების უსაყვარლესი ადგილსამყოფელია ხმელთაშუა ზღვის კუნძული კვიპროსი, სადაც რუსებს უვიზოდ შეუძლიათ ჩასვლა. 11 დიდ რუსულ ბანკსა და ათასობით ცრუმაგიერ ფირმას კვიპროსში თავისი შტაბბინები აქვს.

თანამეგობრობის სამხრეთ სახელმწიფოებში გავლენის მქონე მაფიოზური ჯგუფები ამჯობინებენ სტამბოლს, ხოლო დასავლური ორიენტაციის „ნათლიები“ ცდილობენ ისარგებლონ რეფორმების გამტარებელი ქვეყნების ანუ პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის პოლიციური სამსახურების საყოველთაოდ ცნობილი სისუსტით.

ფულის გაწმენდის საწინააღმდეგო ეგრეთ წოდებულ ღონისძიებათაგან ბევრი მართლაც რომ კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. მაგალითად, შვეიცარიის საბანკო საზოგადოება ახლა რუსეთის გადასახადებს ნაღდი ფულით იღებს მხოლოდ სამ, და არა 50 ფილიალში, როგორც ეს წინათ იყო. კონკურენტებს „კრედიტანშტალტ-ბანკ“ აქვთ ეგრეთ წოდებული „რუსული სალაროს სარკმლები“ მხოლოდ ვენეციასა და ციურიხში, სადაც ექსპერტები — როგორც ბანკირები განმარტავენ — „იძლევიან საჭირო კითხვებს“. ერთი რუსული ბანკის მეთაურმა, რომელიც კვარტალში ერთხელ ჩამოდის ხოლმე ციურიხში, თქვა: „მე სულაც არ ვგრძნობ თავს ციურიხში არასასურველ სტუმრად. შვეიცარიელები, უპირველეს ყოვლისა, ბანკირები არიან — მათ უყვართ ფული“. მაგრამ კერძო პირებს იგი მაინც ავსტრიას ურჩევს: „იქ უბრალო ნომრიანი ანგარიშები აქვთ და ყველაფერი უპრობლემოდ ხორციელდება“.

გერმანიაში კი პრობლემას უქმნიან?

ბერლინი, ამტკიცებს ექსპერტი იუნგერ როტი, — ეს არის რუსეთის მაფიის „გერმანული ცენტრი“. რუსეთიდან ჩამოსულ 15 „ნათლიას“, როტის თქმით, მუდმივ საცხოვრებელ ადგილად აურჩევია გერმანია, ხოლო ოთხ მათგანს მის დედაქალაქში დაუდევს ბინა.

ზოგიერთი მოსკოველისათვის ბერლინი უკვე ლამის გარეუბანი გახდა. მთავარია, ჯიბის ფული იყოს. არცთუ იშვიათად ბერლინის აეროპორტებში ჩამოდიან ახალგაზრდა რუსები, რომლებსაც გატენილი პლასტმასის პარკებით ჩამოაქვთ ფული. ბევრნი ტაქსით მიემგზავრებიან საქმიან შეხვედრაზე მიუნხენში, ან მაინის ფრანკფურტში. სხვები დიდი ხნით ჩერდებიან ბერლინის ყველაზე ძვირფას სასტუმროებში, ან იჯარით იღებენ რამდენიმე თვით სართულებსა და ვილებს ფეშენებელურ გრუნევალდში.

ბერლინის პოლიციას საამაყოდ აქვს ის, რომ ახალგაზრდა რუსი მეწარმის 27 წლის ლეონჩიკოვის შარშანდელი მკვლელობის შემდეგ დედაქალაქში მსგავსი დანაშაულობანი თითქმის არ ყოფილა. ანდა, ეგებ იყო, მაგრამ უბრალოდ ვერ გახსნეს? ორი თვის წინათ კილერებმა კიდევ ერთი დარტყმა მიაყენეს უცხოურ მაფიას. ვილმერსდორფის რაიონში მოკლეს 56 წლის მაქრო კაკაჩია, როგორც ამტკიცებენ, ქართული მაფიის ერთ-ერთი წინამძღოლი.

ბერლინში, როგორც ჩანს, არსებობს ერთგვარი შრომის განაწილება ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, ძალადობის გზით მოქმედებას არცთუ იშვიათად მისდევენ ქართველი და ჩეჩენი პროფესიონალები. ბერლინის კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, ჩეჩენი კილერები ყოველ მკვლელობაში 6 ათასამდე მარკას იღებენ. ერთი გამომძიებლის თქმით, მან იცის ოთხი კილერი ბერლინში, რომლებსაც პოლიცია ვერაფერს უმტკიცებს. ყველაზე ავბედითი და ყველაზე „ინტელიგენტური“ დაჯგუფებაა, ალბათ, მოსკოვის ოლქის დოლგოპრუდნის ბაზის გერმანული ფილიალი, რომელიც, კერძოდ, მისდევს ფულის გამოძალვას ბერლინში მცხოვრები თანამემამულეებისაგან.

სულ ცოტა ასი იმპორტ-ექსპორტის ფირმა ემსახურება დანაშაულებრივი კაპიტალის წმენდას. ეს ფირმები ახორციელებენ ფიქციურ ან ნამდვილ მიწოდებას. ერთი მათგანი ეწეოდა ათასობით საბალე მერხის ექსპორტს, რომლებიც, როგორც საანგარიშებო დოკუმენტებიდან ირკვევა, რუსეთში ცალობით გაუყიდიათ თვითღირებულებაზე 20-ჯერ უფრო მეტად. მაგრამ კრიმინალური პოლიცია ეჭვობს, რომ მთელი ეს სკამები უბრალოდ სანაგვეზე მოისროლეს. ფირმას სჭირდებოდა მხოლოდ გასამართლებელი დოკუმენტები.

რუსეთის მაფიის ზედაფენას აშკარად მიაჩნია ბერლინი ყოფნის ყველაზე ოპტიმალურ ადგილად. მისი ერთ-ერთი უპირატესობაა პოლონეთის საზღვრის სიახლოვე. მეორე პლუსია სსრ კავშირიდან ჩამოსულთა სიმრავლე. ბერლინში რეგულარულად ცხოვრობს 20 ათასამდე ყოფილი საბჭოთა მოქალაქე, რომელთაგან ბევრს გერმანიის ქვეშევრდომობა აქვს. ეს არის იდეალური სათამაშო ასპარეზი, სადაც შეგიძლია დაიმალო ან აიყვანო თანაშემწენი. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე კონტაქტებს გერმანელ მეწარმეებთან. როგორც წესი, ესენი არიან მომწოდებლები, კონსულტანტები დაბეგვრის საკითხებში და ფინანსური მომსახურების გამწევი ფირმების მფლობელები. საქმე ეხება კონტაქტებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ დასავლეთის ჯარების ჯგუფის გაყვანამდე. სსრ კავშირის ხალხებთან მეგობრობას, რომელსაც ასე აღიდებდნენ გდრ-ის დროს, ახლაც გამოაქვს ნაყოფი.

მაფიასთან კავშირის არსებობის დამტკიცება თითქმის შეუძლებელია. ბერლინის კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები უჩივიან შრომის კატასტროფულ პირობებს. ამ მიმართულებით მომუშავე 20-მდე კაცი მოვალეა გამოავლინოს უამრავი რუსი დამნაშავის მაქინაციები. ხოლო ფული, რომელიც თავზე საყრელი აქვთ მათ ყურადღების ობიექტებს, ქრონიკულად აკლიათ სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებს. ბერლინის სისხლის სამართლის საქმეთა სამხარეო უწყების მოკვლევის ჯგუფს, რომლის გამგებლობაშიც რჩებიან მაფიოზები, აქვს ერთადერთი პერსონალური კომპიუტერი, ერთი მობილური ტელეფონი და ერთი ფაქს-აპარატი. ყოველივე ეს, ერთად აღებული, ღირს იმ თანხაზე ნაკლები, რომელსაც ნორმალური რუსი მაფიოზი ოქრო-ვერცხლში თუ განსაცმელში ხარჯავს კურფიურსტენდამის მიმდებარე ქუჩებში ხანმოკლე გასეირნებისას.

„ვირტშაფტსვოხე“,
დიუსელდორფი.

მუქთამჭამელი ჭიანჭველები?

ბელგიის გაზეთი „გრენც ეხო“ აქვეყნებს მასალას, რომელიც ეძღვნება ესპანელ მეცნიერთა კვლევის შედეგებს. გაზეთის ინფორმაციით, მკვლევრებმა მთლად გააცამტვერეს საყოველთაოდ გაბატონებული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ჭიანჭველა ყველაზე გამრჯე არსებაა ჩვენი დედამიწის ზურგზე. უამრავი კვლევისა და დაკვირვების შედეგად ბიოლოგებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ჭიანჭველები სიცოცხლის მეტ ნაწილს ატარებენ პარაზიტულ ცხოვრებაში. ხოლო მუშაობით, მეცნიერთა მტკიცებით, ჭიანჭველები მხოლოდ მაშინ მუშაობენ, როდესაც ამას მათი დედოფალი — დედაჭიანჭველა მოითხოვს. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ „მშვენიერი მეუფის“ ბრძანების შესრულებისთანავე ჭიანჭველები ნერვული შოკისაგან იხოცებიან.

საუკეთესოთა შორის საუკეთესონი

რუსი სვეტლანა მასტერკოვა და ამერიკელი მაიკლ ჯონსონი წლის სპორტსმენებად დაასახელეს. მონტე-კარლოში მძლეოსნობის საერთაშორისო სამოყვარულო ფედერაციის ტრადიციულ სამეფო მეჯლისზე მათ პრიზები გადასცა მონაკოს ტახტის მემკვიდრე უფლისწულმა ალბერმა.

სვეტლანა მასტერკოვა, რომელსაც ამ სურათზე ხედავთ, ატლანტის ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონია — 800 და 1500 მეტრზე რბენაში.

მუზეუმი სახლში

54 წლის აქსელ დიტცი არის მხატვარი, გრაფიკოსი, დიზაინერი. გარდა ამისა, თავისუფალ დროს იგი აგროვებს ყველაფერს, რაც ჰაერნაოსნობასთან არის დაკავშირებული. ამ ფოტოსურათზე დიტცს ხედავთ მიგ-21 თვითმფრინავის კაბინაში, რომელიც საცხოვრებელი ბინის „სამუზეუმო“ ოთახში უდგას.

უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების— OMRI -სა და „პლანეტა-ურტეს“ მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი

საქართველოს რესპუბლიკა

ხელმოწერას დაუყოვნებლივ გაგიფორმებენ...

ჩვენს გაზეთსა და, საერთოდ, საქართველოს სხვა ჟურნალ-გაზეთებზე 1997 წლის პირველი ნახევრისთვის თბილისელებს ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ ქ. თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ (ყოფილი „სოიუზპეჩატი“) ხელმოწერის რაიონულ უბნებში, რომელთა მისამართები და ტელეფონის ნომრებია:

სამგორის რ-ნი — მოსკოვის გამზ. 18. ტელ: 71-32-87
გლდანის რ-ნი — მუხიანის 4 ა, 4 კორპ. ტელ: 62-75-32
ნაძალადევის რ-ნი — დ. გურამიშვილის გამზ. №30. ტელ. 60-80-22
ჩუღურეთის რ-ნი — ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. 14. ტელ: 95-87-36
ისნის რ-ნი — ქეთევან წამებულის (ყოფ. შაუმიანის) გამზ. 61. ტელ: 74-14-47
დიდუბის რ-ნი — აკ. წერეთლის გამზ. 73. ტელ: 34-75-51
მთაწმინდისა და კრწანისის რაიონები — რ. თაბუკაშვილის ქ. 12
ვაკის რ-ნი — ჭავჭავაძის გამზ. 46. ტელ: 22-64-58
ცენტრალური ოფისი — გამსახურდიას გამზ. 42. ტელ: 37-47-49, 93-43-97

ორგანიზაციებს შეუძლიათ თავისთან მიიწვიონ „მაცნეს“ წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად.

ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა: სახლში, სამსახურში, უახლოეს საფოსტო განყოფილებაში, „მაცნეს“ ცენტრალურ ოფისში.

„საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერის მსურველებს ამასთანავე ვაცნობებთ, რომ მათ ხელმოწერის გაფორმება შეუძლიათ „საქპრესის“ საქალაქო და რაიონულ ფილიალებში, აგრეთვე ჩვენს კერძო გამავრცელებლებთან, რომლებიც დროულად და უდანაკარგოდ მოგაწვდიან გაზეთებს:

შპს „უწყებანი“ — მ. კოსტავას ქ. 14 ტელ: 93-64-72; 93-22-86
შპს „ექსპრესი“ — ივანე ჯავახიშვილის ქ. 86. ტელ: 93-66-78; 96-23-11.

გამოიწერეთ ყოველდღიური გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სამშობლოს სიყვარულის მასწავლებელი

იმ დღეს გამომცემლობა „მერნის“ მთავარი რედაქტორის ოთახში ბლომად მოეყარათ თავი მწერლებს, რაზე აღარ ბჭობდნენ. მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებზე, პოლიტიკაზე, ჩვენს შეჭირვებულ ყოფაზე.

ამ დროს კარი შემოაღო „დილის“ თანამშრომელმა, ახალგაზრდა პოეტმა შერმადინ ქალდანმა, რომელმაც თან მოიტანა საყმაწვილო ჟურნალის ახალი, სექტემბერ-ოქტომბრის ნომრების მოზრდილი შეკვრა, რედაქციას გადაეწყვიტა „მერნის“ საფირმო მაღაზიაში მათი გაყიდვა.

რომ იტყვიან, უმალ დავიტაცეთ ნომრები და სულმოუთქმელად შევუდექით კითხვა-თვალიერებას. ცოტა ხანიც და გაისმა მოწონებისა თუ აღტაცების შეძახილები:

„პოლიგრაფიული დონეც ამას ჰქვია!“

„მხოლოდ პოლიგრაფიული, შინაარსი?! როგორი ჰარმონიაა ფორმასა და შინაარსს შორის?

შესანატრია მხატვრის პროფესიონალიზმი და ბავშვებისადმი მისი უსათუთესი დამოკიდებულება! რა სიყვარულითაა შესრულებული ნახატები?!“

„ესთეტიურადაც გამორჩეულია და ჭეშმარიტი შემეცნებითობითაც!“

„ახლა ამისთანა ჟურნალის გამოცემა, ჩემო კარგო, გმირობის ტოლფასია!“

შერმადინ ქალდანმა არცთუ სხვათა შორის თქვა:

— ეს ნომერი სამიათას ხუთასი დოლარი დაგვიჯდა, აქ რომ დაგვებეჭდა, კიდევ უფრო მეტს გადაგვახდევინებდნენ. ქართული ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ბატონ ვანო ჩხარტიშვილის მამულიშვილური თავგამოდება რომ არა, ამ სახით იგი ვერ გამოვიდოდა.

ამ წერილს არ ვწერ იმისათვის, ყოველმხრივ თანადგომის ღირს „დილას“ პოპულარიზაცია რომ გავუწიო. კალამი ხელში ამ საბავშვო ჟურნალის ქვეყნისთვის მართლაც და განუზომელი მნიშვნელობის შეგნებამ ამაღებინა. მინდა ხმამაღლა შევუძახო ჩემს ათასგვარ წვრილმან საზრუნავში ჩაყვინთულ ხალხს: მთავარს მიხედეთ, ბატონებო, მთავარს! მთავარზე უმთავრესს — ჩვენს ბავშვებს, მათს უმრავლესობას და უდიდებულესობა ჩვენს ბავშვებს, რომელთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდა-აღუზრდელობაზეც იქნება დამოკიდებული ხვალინდელი საქართველოს ბედი თუ უბედობა.

ჩვენ ათეულ წლობით ვიყავით უსამშობლო ადამიანები, საბჭოთა კავშირი რომ მოგვაკერეს სამშობლოდ, მანქურთული სინდრომით დავავადდით და ბარე ორმა საქართველოს ისე დავუწყეთ ყურება, როგორც გერი უცქერის თავის ავ დედინაცვალს. ჩვენ კომუნისტური იდეოლოგიით ნასაზრდოებმა, ბუნებრივია, შვილები ვერ აღვზარდეთ ქართულ-ეროვნული იდეოლოგიით, რაკი ქართულ ეროვნული იდეოლოგიით ვერ აღვზარდეთ მომავალი თაობა, ჩვენი ეროვნული სატკივრებისადმი, პრობლემატიკისადმი, მწერლობისადმი გულგრილნი და ნიჰილისტურად განწყობილნი აღმოჩნდნენ ისინი.

კომუნისტური მსოფლმხედველობით გაჯერებული ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის საბავშვოებიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ-ორ გაბედულ რედაქტორს, ყოველგვარი ეროვნული პრობლემატიკისადმი წაყრუებას ასწავლიდნენ ჩვენს პატარებს, საკუთარი ისტორიის ნაცვლად დამპყრობლის ისტორიას პიტნასავით გვატენიდნენ ცხვირში ჩვენ და ჩვენს შვილებსაც. ყოველივე ამის შედეგი სახეზეა: არ გაგვაჩნია მყარი, ერთიანი ეროვნული ცნობიერება, წილნაყარი ჭეშმარიტ პატრიოტიზმთან, მაღალ ზნეობრიობასთან. ან კი ქურდულ-კომუნისტური ქვეყანა რატომ უნდა ყოფილიყო დიდი მამულიშვილების სამჭედლო. თუმცაღა თითო-ოროლა გოლიათი მაინც შვა ქართულმა ეროვნულმა წიაღმა.

ამ პატარა წერილში ხშირად ვახსენებ ეროვნულ სულს, ეროვნულ ცნობიერებას, სულისკვეთებას, ამას იმის ღრმა შეგნებით ვაკეთებ, რომ ღრმად ეროვნული ამავე დროს ღრმად ინტერნაციონალურიც არის.

საქართველოს სიყვარულისაკენ მიმავალი გზა ამ საყმაწვილო ჟურნალზე გადის, საქართველოს დიდი კულტურისკენ მიმავალი გზა, უპირველესად, ამ საყმაწვილო „დილაზე“ გადის.

ბავშვი რომ აკვნიდან ძირს ჩამოვა, იგი მეორე აკვანში „დილაში“ უნდა გადავსვათ, იქ დედის რძესავით უნდა ვაწოვოთ მას მშობლიური სიტყვის ლაზათი, მშობლიური ფლორისა და ფაუნის სიყვარული, აქ უნდა შეისისხლხორცოს და გაიცნობიეროს ვინ არის, როგორი ისტორიის მქონე ერის შვილია და როგორ უნდა ემსახუროს მას. ეს სიყვარული „დილას“ შეუძლია რელიგიასავით, რელიგიური აუცილებლობით შეასწავლოს თავის პაწია აღსაზრდელებს. ჟურნალმა რომ თავისი ზენაარი მისია შეასრულოს, ამისათვის, ცხადია, არ კმარა მისი ოდენ მაღალმხატვრულობა, ამისათვის, პირველ რიგში, მისი სახელმწიფოებრივი ფინანსური უზრუნველყოფაა აუცილებლად საჭირო. ისე, როგორც აკეთებენ ამას სკანდინავიის ქვეყნებში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვაგან. თუნდაც ბატონი ვანო ჩხარტიშვილისთანა დიდსულოვანი და ქველმოქმედი ადამიანების წყალობაზე კი არ უნდა იყოს უზარმაზარი ეროვნული მნიშვნელობის მქონე „დილა“, არამედ, ვიმეორებ, თვით ხელისუფლებამ, პარლამენტმა უნდა დააკანონონ მისი სახელმწიფო ფინანსური უზრუნველყოფა.

პირდაპირ ცოდვაა „დილა“ და ისიც ასეთი, ყველა ქართველმა ბავშვმა რომ არ წაიკითხოს. ჩვენი ქალაქების, დაბების, რაიონების, სოფლების გამგეობებმა ეგებ ათათი ცალი მაინც შეიძინონ, რომ ბიბლიოთეკებს დაურიგონ შვილთა ჩვენთათვის ნოყიერი საზრდოს მისაცემად.

ტაგუ მეგურიშვილი.

ვეღარ მოასწრეს

სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოსა და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად მოსკოვსა და ახალციხის რაიონის სოფელ კლდეეთში, მცხოვრებმა ორმა მოქალაქემ პოლიციაში წარმოადგინა შ. კურტანიძის მიერ სარეალიზაციოდ გამზადებული 10 ათასი და 900 ამერიკული ყალბი დოლარები.

აფხაზეთის მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა საბჭო ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს ბატონ გიორგი ციციშვილს ძმის

დავით ციციშვილის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პურის მრეწველთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა პურპროდუქტების სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი

დავით შალვას ძე ციციშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ანონსი

ხვალ მარო მაყაშვილი 95 წლისა გახდებოდა



ხუთი წელი მოათია სახელოვანი ქართველი ქალის, 1921 წლის ინტერვენციის დროს კოჯორ-ტაბახმელის ფრონტზე სათნოების დად წასულ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის მეორეკურსელის მარო (მარიამ) მაყაშვილისადმი მიძღვნილმა, კრებულმა ერთ-ერთ გამომცემლობაში, მაგრამ სტამბამდე ვერა და ვერ მიაღწია — მას „შარავანდედი“ ჰქვია და ეს ჩემი წმიდათა-წმიდა წიგნია, 1990 წლის 19 თებერვალს (მისი ტრაგიკული დაღუპვის დღეს) დავბეჭდე პირველი ნარკვევი ამავ სათაურით იმდროინდელ რესპუბლიკურ პრესაში, გამოვაქვეყნე ფრაგმენტებიც მისი ფრიად საინტერესო დღიურებიდან, „საქართველოს რესპუბლიკაში“ და სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც დავბეჭდე პორტრეტული ნარკვევები მის შესახებ.

მარო მაყაშვილის დღიურები მატიანურია! მას პატარ-პატარა მოთხრობებიც ჰქონია. 1924 წელს ქართველი მწერლები გრიგოლ რობაქიძის თაოსნობით მისი დღიურების, მოთხრობების და მისდამი მიძღვნილი ლექსების გამოქვეყნებას აპირებდნენ თურმე, მაგრამ არც მაშინ იყო, როგორც ჩანს, ნაკლები გასაჭირი.

ახლა ნარკვევებს დღიურის ფურცლებთან ერთად ლექსები და ფოტომატიანეც ერთვის, რაც ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა პოეტ კოტე მაყაშვილის უმცროსი ასულის, ქალბატონ ნუცა მაყაშვილის წყალობით, რისთვისაც დიდად ვემადლიერები. გამომცემლობიდან წამოვიღე წიგნი და იგი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი შპს „პრესის“ საკომპიუტერო ცენტრში.

ეს უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მთავარია ქაღალდი ანუ უქაღალდობა. საჭიროა როგორც საბეჭდი (ოფსეტი, 65 გრ.) ასევე საყდე (ცარცი) ქაღალდი ანუ — თანხა 2000 ლარამდე.

წიგნი 6 ფორმიანია, სტამბა გარანტირებულია, ვეძებ ქველმოქმედ ადამიანს, ანდა ორგანიზაციას, რომელიც გამიწევს თანადგომას წიგნის საბოლოო ხორცშესხმაში. ვჩქარობ, ძალიან მინდა ეს საახალწლო საჩუქარი მიეძღვნას მის ნათელ ხსოვნას!.

ნანა ღვინეფაძე.

P. S. მოუთმენლად ველი გამოხმაურებას!

ტელ. 99-55-01.

ხსოვნა

ქეთინო მგელაძე-მიქაუტაძ

გულს მოუხაროდა შენსკენ ყოველთვის — ღიმილს შემოგვახარებდი და სითბოს შემოგვაფრქვევდი უშურველად, ჩვენს ჭმუნვას თუ სიხარულს სრულად გაითავისებდი, გაგვათამამებდი, დაგვამშვენებდი და თვითაც მშვენდებოდი ამით.

ყოველი ჩვენთაგანის გულის მესაიდუმლე შენ იყავი, ყველას მოსარჩლე და დამცველი, ზოგჯერ ლმობიერი მსაჯულიც; გულით განიცდიდი ჩვენს მარცხს და გულით გიხაროდა გამარჯვება ჩვენი.

ამიტომ მოვისწრაფოდით შენი ტკბილი კერისაკენ: დილით, საღამოს, ღამეგვიანს. მუდამ წრფელი, გულ და ხელგაშლილი გვხვდებოდი, ალბათ, შენი დიდებული მამის ერთი ლამაზი მეგობრის სიტყვები გახსენდებოდა — მეგობრობა სადღეღამისო არისო.

ნათელ სხივს აფრქვევდა გულიანი გამოხედვა შენი და ეგ სხივები გვასხივოსნებდა ჩვენც ათეული წლების მანძილზე.

იმ ჩვენს ბოლო საღამოსაც, ალბათ, გული გიგრძნობდა იდუმალს — ლხენით, ღიმილით, მოფერებით გაგვავსე და ასე წახვედი იმავღამ... ალბათ, ერთმა მგრძნობიარე გულმა ვერ გაუძლო ყველას გულის განცდას, ორი გული კი შენ არ გქონია.

არც თუ ადვილია იმის თქმა, შენ უფრო გიმტყუნა შენმა გულმა, თუ ჩვენ — შენი გულის სითბოს ჩვეულთ.

ცდილობდი, შენ პირველს მიგეღო ყველა დარტყმა — ალბათ, ამიტომ მიდიხარ პირველი ჩვენი კარგი მეგობრობიდან. მამაკაცებმაც იშვიათ „თავაზიანობა“ გამოვიჩინეთ — გზა პირველს შენ დაგითმეთ!

ვუწყით — შენსა და ჩვენს რეზოსთან, ლამაზ დედასთან და დასთან, სათაყვანებელ შვილებსა და შვილიშვილებთან ერთად ბევრჯერ მწვავედ მოგინატრებთ... გაგვიჭირდება... მაგრამ არ გემშვიდობებით! ჩვენთან იქნები ყოველ ცისმარე, ყოველ ღიმილში, ყოველი ჩვენი თავყრილობა შენი სუნთქვა იქნება, შენი გულით დაიწყებს ფეთქვას, შენს სასმისს ასწევს... მერე? მერე კი, როდისმე, კვლავ ყველა ერთად ვიქნებით...

მეგობრები.

გახსენება

გრიგოლ ქომოშვილი

17 დეკემბერს 70 წელი შეუსრულდებოდა ღირსეულ მამულიშვილს, საქართველოს ჭეშმარიტ მოქალაქეს, გენერალ-მაიორ **გრიგოლ ქომოშვილს**, რომელიც ზვარაკად შეეწირა სამშობლოს ერთიანობას. იგი აფხაზმა სეპარატისტებმა სასტიკად აწამეს და დახვრიტეს 1993 წლის 28 სექტემბერს.

გრიგოლ ქომოშვილი 43 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქვეყნის უშიშროების დაცვას, ხოლო 1978 წლიდან ამ სამსახურის უფროსი იყო აფხაზეთში. მეტად რთულსა და დაძაბულ სიტუაციაში მტკიცედ იცავდა ჩვენი ქვეყნის ინტერესებს.

ოჯახთან ერთად მეგობრებსა და ახლობლებსაც ძლიერ გვაკლია მაღალი ზნეობის ჭეშმარიტი მამულიშვილი.

სამარადისო ხსოვნა იყოს მისი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შინაგან საქმეთა ორგანოებისა და პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი, საგამოძიებო დარგის თვალსაჩინო წარმომადგენელი, პოლიციის პოლკოვნიკი

ბორის იასონის ძე კვარაცხელია

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შპს „საქპრესის“ კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე საზოგადოების თანამშრომელს ქალბატონ მზია ბუკიას ძმის

რეზო ერასტის ძე ბუკიას

გარდაცვალების გამო.

ტურიზმის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლექტივი იუწყება თავმჯდომარის მოადგილის ომარ მარგველაშვილის მამის — ბატონ

ალექსანდრე მარგველაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

კულტურა

სომხეთის თეატრის მოღვაწეთა სამსჯავროზე

16 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა სცენური ხელოვნების მოღვაწეთა ჯგუფი სომხეთიდან, რომელსაც მეთაურობს ერევნის გ. სუნდუკიანის სახელობის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვაგე შახვერდიანი. სტუმრები მოძმე რესპუბლიკიდან საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ იმ მიზნით, რათა გაეცნონ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებს, ნახონ მისი ახალი ნამუშევარი — სპექტაკლი „ენეშანი არტაშესის გამო“. ამ ნამუშევრით საქართველოში უძველესმა სომხურმა თეატრმა სექტემბერში გახსნა თავისი 139-ე სეზონი. მისი გმირები შეიყვარა ბევრმა თბილისელმა მაყურებელმა, მაღალი შეფასება დაიმსახურა დამდგმელის — ახალგაზრდა რეჟისორის, ერევნის თეატრალური ინსტიტუტის დიპლომანტის სამველ სტეფანიანის ნამუშევარმა. ეს არის მისი დებიუტი დიდ სცენაზე და აი ახლა იგი გამოაქვთ სომხეთის თეატრის მოღვაწეთა სამსჯავროზე.

ძველი სომხური სახელმწიფოებრიობის (ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნე) ჩამოყალიბების პრობლემისადმი მიძღვნილ ისტორიულ დრამას საფუძვლად უდევს ძველი რომაული და ძველი სომხური წყაროები. პიესის ავტორები არიან სამველ პოღოსიანი და სლავა სტეფანიანი.

ახლახან თბილისის სომხურმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა კიდევ ერთი — ამჯერად სათვალავით მეშვიდე პრემიერა მატვერიანის „ჩემი ქალიშვილის საქმრო“, რომელიც რეჟისორმა არმენ ბაიანდურიანმა დადგა. საახალწლო დღეებში ბავშვებს აქ ელით შეხვედრები ოვანეს თუმანიანის ნაწარმოების მოტივების მიხედვით შექმნილი ზღაპრის „ჩახ-ჩახ მეფის“ გმირებთან. სპექტაკლს დგამს რეჟისორი მირონ ჩილაკიანი.

აღიძრა საქმე

მოსპეს დოკუმენტები

ინფორმაციის თანახმად, რომელიც საქინფორმის კორესპონდენტმა თენგიზ ჩხიკვაძემ ფოთის პროკურატურის ხელმძღვანელობისაგან მიიღო, ადგილობრივი № 2 სამკერვალო ფაბრიკის 1989-1992 წლების პერიოდის საბუღალტრო დოკუმენტაცია მთლიანად განადგურებულია. ეს აღმოაჩინა ფოთის კონტროლის პალატამ ამასწინანდელი შემოწმების დროს. „კონკრეტული“ დამნაშავე მისთვის ცნობილი არ არის.

ამ ფაქტის გამო ფოთის პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე და ამასთან დაკავშირებული ყველა მასალა გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის საქალაქო განყოფილებას. რაც შეეხება ფაბრიკის დირექტორს გ. ღლონტს, მის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო გარჩევა.

რაც შეეხება დანაშაულის დანარჩენ მონაწილეებს, მათი გვარები ჯერაც უცნობია, განსაზღვრული არ არის აგრეთვე ფაბრიკის მთავარი ბუღალტრის როლი. საიდუმლოებით არის მოცული ისიც, თუ რა იყო ამ დოკუმენტებში.

საქინფორმი.

მოგზაურობა

შეჩერდი, წამო!

ამასწინათ თბილისში, გინესის მრავალგზის რეკორდსმენის, დედამიწის გარშემო მარტოდმარტო ველომოგზაურის ჯუმბერ ლეჟავას სახლში ალიასკიდან ბარათი მოვიდა: კონვერტში ჯუმბერ ლეჟავას ფერადი ფოტოსურათი იდო, რომელიც ორ დასაპალნებულ ველოსიპედთან იდგა. სურათის მეორე მხარეზე კი ეწერა:

„მისტერ ჯუბი,

აი, მე უკვე ალიასკაზე ვარ. ამჟამად, ღვთის შეწევნით, კოდიაკიდან გწერთ. იმედი მაქვს, ღვთის წყალობა არც მომავალში მომაკლდება. კოდიაკზე 21 სექტემბერს ჩამოვედი.

მარად თქვენი ტ. ჩოიაკისი.

ველოსიპედისტი ვინიპეგიდან.

ამ ბარათის მიღებამ ორმაგად გაგვახარა. ჯერ ერთი, ძალიან სასიამოვნო იყო იმის დაფიქსირება, რომ თურმე თბილისში ფოსტა და საფოსტო მომსახურება ჯერ კიდევ არსებობს... უფრო მეტი, მიუხედავად იმისა, რომ კონვერტზე მისამართი არასწორად იყო მითითებული, საფოსტო განყოფილების მუშაკებს უზრუნიათ, ზუსტი მისამართი დაუდგენიათ და ძვირფასი ბარათი ადრესატის ოჯახისათვის ჩაუბარებიათ. ასე რომ, მადლობა საფოსტო განყოფილების მესვეურებს, რომლებიც ქავთარაძის ქუჩას ემსახურებიან.

ასევე დიდი მადლობა იმ კეთილშობილ კაცს შორეულზე-შორეული ვინიპეგიდან (კანადა), გზაში წამიერად რომ შეხვდა ჩვენს მამაც მოგზაურს, სურათი გადაუღო, დაბეჭდა და თბილისში გამოგზავნაც არ დაიზარა. მართალია, თავად ჯუმბერ ლეჟავა მომავალი საუკუნის დასაწყისამდე ვერ ჩამოვა საქართველოში, მაგრამ ვინიპეგელი ველომოგზაურის გამოგზავნილი ფოტოსურათი თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ჯუმბერ ლეჟავას არქივში, რომელიც უკვე თოთხმეტი ათას უნიკალურ კადრს ითვლის და მსოფლიოს ორმოცდაჩვიდმეტ ქვეყანაშია გადაღებული. თითოეული კადრი ხომ თითო სიცოცხლეა, თითო შეჩერებული წამია!

ვინ იცის, საუკუნის ბოლომდე კიდევ რამდენი ათასი კადრი შეემატება ჯუმბერ ლეჟავას არქივს...

ჯუმბერ ჯიშკარიანი.

სურათზე: ბატონ ტ. ჩოიაკისის მიერ ალიასკიდან გამოგზავნილი ფოტო.

ახლაც ფალავნობენ

კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს ბევრი სახელოვანი ფალავანი აღუზრდია. აქ ქართული ჭიდაობა სპორტის საყვარელ სახეობად იყო მიჩნეული. მის შესანიშნავ ფანდებს ბავშვობიდანვე ეზიარნენ ძმები ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები, რომელთაც ეროვნული სპორტისადმი სიყვარული და ერთგულება დღესაც შემორჩათ. ძმებმა ერთად გაიარეს დიდი სამამულო ომის მშფოთვარე დღეები. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ჯარისკაცის ფარაჯა ქართული ჩოხით შეცვალეს და ჭიდაობის ნახევრხმოყრილ წრეში საპაექროდ გავიდნენ. მომადლებული ნიჭით დაჯილდოებულმა ძმებმა სწრაფად აუღეს ალღო ჭიდაობის ნებისმიერ სახეობას — სამბოს, თავისუფალს, ძიუდოს. მათ მკერდს მრავალი საკავშირო ჩემპიონატის გამარჯვებულის ოქროსა და სხვა სინჯის მედალი ამშვენებს.

დიდი სარბიელიდან წასვლის შემდეგ ძმებმა ნინიაშვილებმა თავი გამოიჩინეს სამწვრთნელო მუშაობაში. საკმარისია ითქვას, რომ მათ 180-ზე მეტი სპორტის ოსტატი აღუზარდეს საქართველოს, არაერთი ბრწყინვალე და კარგი პედაგოგი მოუმზადეს ქვეყანას, ქრისტეფორე და აკაკი ნინიაშვილები საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელები, საკავშირო კატეგორიის მსაჯები, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკები არიან.

ახლახან საქართველოს ჭიდაობა სამბოს ფედერაციამ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში საიუბილეო საღამო მოუწყო ამ შესანიშნავ ადამიანებს, რომლებმაც ნახევარი საუკუნე გალიეს პედაგოგიურ-აღმზრდელობით მოღვაწეობაში.

საყვარელ პედაგოგებზე გულთბილად ილაპარაკეს ჩვენი სპორტის სახელოვანმა ვეტერანებმა.

შალვა ქორიძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის („ლელო“) ფოტო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბაში ხოშარაულის 29.